რეფორმა: საქართველოს უშიშროების მინისტრის ვახტანგ ქუთათელაძის მოხსენება გვ. 4 **მეცნიერება:** უფალო, როგორ დაგვეღალე! გვ. 5

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №200 (3241) ოთხშაბათი, 28 ივლისი, 1999 წელი. ფასი შეთანხმებით.

ორბიტაზე

საქართველოს მეცნიერებს ძალუძთ მხარი გაუსწორონ მსოფლიოს უმაღლესი რანგის მეცნიერულ მიღწევებს, ძალუძთ შეაბიჯონ არა მარტო კოსმოსში, არამედ მსოფლიო მეცნიერების წიაღშიც

რუსი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები სადგურ „მირის“ გადარჩენას ცდილობენ

რუსეთის კოსმოსურ სადგურ „მირის“ გადასარჩენად მოსკოვის ოლქის ქალაქ კოროლიოვიდან სტარტი აიღო ავტოკრუიზმა, რომლის მონაწილეებიც არიან კოსმოსური სამეცნიერო-სამრეწველო გაერთიანება „ენერგიას“ თანამშრომლები, აგრეთვე ცნობილი მეცნიერები, მწერლები და ჟურნალისტები.

როგორც მოსკოვის კოსმოსური კვლევის ცენტრში პრაიმ-ნიუსს აცნობეს, 1 აგვისტოდან სახელმწიფო ოფიციალურად წყვეტს „მირის“ დაფინანსებას, რაც იმას ნიშნავს, რომ სადგური გადავა თავისუფალი ფრენის მდგომარეობაში და შესაძლოა მისი ლიკვიდაცია მოხდეს.

აქციის ორგანიზატორების განცხადებით, სადგურის შესანარჩუნებლად საჭიროა 650 მილიარდი რუბლის შეგროვება.

ავტოკრუიზის მონაწილეები რამდენიმე ავტობუსითა და მსუბუქი ავტომანქანით გაივლიან ქალაქებს ნიჟნი ნოვგოროდი, ყაზანი, ქვემო ტაგილი, ვორონეჟი, ორენბურგი, სანქტ-პეტერბურგი და კრუიზს 15 აგვისტოს მოსკოვში დაასრულებენ.

აქციის ორგანიზატორთა მტკიცებით, ახალ საერთაშორისო კოსმოსურ სადგურ „ალფაზე“ რუსეთის მონაწილეობა კოსმოსურ პროექტებში მხოლოდ 6 პროცენტი იქნება, რაც, მათი განცხადებით, სამამულო კოსმოსური მრეწველობისათვის კატასტროფის ტოლფასია.

სადგურ „მირზე“ გასულ პარასკევს გამოცდა გაიარა საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტში ქართველი მეცნიერების მიერ შექმნილმა უნიკალურმა ანტენა-რეფლექტორმა.

რეფლექტორის ხელმეორე გამოცდა „მირზე“ დღეს არის დაგეგმილი.

პრაიმ-ნიუსი.



ბოლო ათწლეულის კატაკლიზმების მიუხედავად, რომლებმაც ძირფესვიანად შეურყიეს საძირკველი ჩვენს წინანდელ ცხოვრებას, ზოგჯერ კი სრულად გაანადგურეს მათი მატერიალური ბაზა, საქართველომ, როგორც ამას მოწმობს ბოლო პერიოდის მოვლენები, საბედნიეროდ, შეძლო შეენარჩუნებინა ყველაზე ძვირფასი კაპიტალი – თავისი ინტელექტუალური პოტენციალი. სწორედ მისი არსებობა გვისახავს იმედს, რომ ახლანდელი და მომავალი თაობები შეძლებენ გამოიყვანონ დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო ნამდვილი აღორძინების ფართო გზაზე. თითქოსდა ჩვენი ჯერ კიდევ მოუწყობელი ცხოვრება ვერ გვაძლევს ასეთი ოპტიმიზმის საფუძველს – მართლაც რომ ძალიან ბევრი რამ გვაკლია ახლანდელ ეტაპზე. მაგრამ, ამავე დროს, თუ თვალს გადავავლებთ მოვლენებს, ძნელი როდია შევნიშნოთ ის ყლორტები, რომლებიდანაც პერსპექტივაში უნდა გაიზარდოს სტაბილურად განვითარებული ქვეყნის ეკონომიკა. ასეთი დასკვნის სასარგებლო ერთ-ერთ არგუმენტად სრულიად მოულოდნელად ახლახან წარმოგვიდგა მორეულ კოსმოსში საქართველო-რუსეთის ერთობლივი ექსპერიმენტი, როცა ორბიტაზე მთელი მსოფლიო თვალს ადევნებდა ქართველ მეცნიერთა და სპეციალისტთა მიერ შექმნილ სასწაულს – რეფლექტორს, რომელიც რამდენიმე წუთში უზარმაზარ კოსმოსურ ანტენად გადაიქცა.

სწორედ ამ მოვლენას მიეძღვნა 27 ივლისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოს სხდომა. საბჭოს წევრებთან ერთად, სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, სახელმწიფო მინისტრი ვაჟა ლორთქიფანიძე, მთავრობის წევრები, მეცნიერებათა აკადემიის, მთელი რიგი უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელობა, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

სხდომა გახსნა ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა რამაზ ხუროძემ, რომელმაც აღნიშნა, თუ რაოდენ უნიკალურია წარმატებით განხორციელებული ექსპერიმენტი, რომელიც დასაბამს იღებს ოთხმოციანი წლების დამდეგიდან, როცა სტუდენტთა

იხ. მე-2 გვ.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის

განკარგულება

1999 წლის 26 ივლისი. ქ. თბილისი

გ. ბერუაშვილის, ც. ლექავას და ნ. ნერგაძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილის, ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის დაჯილდოვდნენ ღირსების ორდენით საქართველოს განათლების დარგის მუშაკები:

გიორგი ბერუაშვილი – გორის რაიონის სოფელ ერედვის არასრული საშუალო სკოლის დირექტორი;

ციალა ლექავა – ოზურგეთის ინდუსტრიულ-პედაგოგიური კოლეჯის დირექტორი;

ნორა ნერგაძე – კასპის ტექნიკური კოლეჯის დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

ე. შევარდნაძე.

დღეს

ვაქვეყნებთ საქართველოს ორგანულ კანონს

„საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანულ კანონს

„საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს კონსტიტუციურ კანონს

საქართველოს კონსტიტუციაში დამატების შეტანის შესახებ

იხ. მე-3 გვ.

პრეზიდენტი

ტყეების გადასარჩენად შემოდგომაზე მასობრივი გამოსვლები უნდა მოვაწყოთ

გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მოისმინა ინფორმაცია საქართველოს სატყეო მეურნეობის დარგში არსებული პრობლემებისა და მათი გადაწყვეტის გზების შესახებ.

თათბირზე სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ გივი ჯაფარიძემ ყურადღება გაამახვილა თბილისის შემოგარენში შავი ფიჭვის ხმობის თაობაზე. შესაბამისი კომისიის დასკვნით, ფიჭვების ხმობა გამოწვეულია გვალვებით და მშრალი ზამთრით. მეტყევეების მონაცემებით, ამ საუკუნეში ყველაზე ხანგრძლივი გვალვები 1998 წელს იყო.

ფიჭვების ხმობის პროცესი, თავის მხრივ, მთლიანად ტყის დასუსტებას და ხანძრის საშიშროებას უწყობს ხელს. თბილისის მერის, ვანო ზოდელავას განცხადებით, მეცნიერული სამუშაოები აუცილებელი იყო იმის დასადგენად, თუ რა გზით უნდა ვებრძოლოთ ხეების ხმობას. „მეცნიერები და სატყეო დეპარტამენტი რა თანხაზეც შეჩერდებიან, ქალაქის მერია მზად არის დასახმარებლად, ოღონდ, მზა დასკვნა გვჭირდება“, – აღნიშნა ვანო ზოდელავამ.

ამდენად გადაწყდა გამოიხშიროს ტყე დაზიანებული ხეებისაგან და, გადაეცეს ქართული ჯარის ნაწილებს შეშის სახით.

პრეზიდენტ შევარდნაძის განცხადებით, ყოველი მოჭრილი ხის ადგილას ახალი ხე უნდა დაირგოს. „შემოდგომაზე მასობრივი გამოსვლები უნდა მოვაწყოთ ტყეების გასაშენებლად. თუ რამეში უნდა ჩაიდოს სახსრები, უპირველესად, სანერგე მასალაში. ტყის გაშენება, რეაბილიტაცია ეროვნული საქმეა“, – აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური – საქინფორმი.

გამარჯობათ!

მაღლის გუდაში გამოყვანილი ყველი და სირაქლემები

სირაქლემამ თავი სილაში ჩარგო და, – ეს რა კარგი რამ ყოფილა, ვერც ვერავის ვხედავ და ვერც ვერავინ დამინახავსო, – თვითკმაყოფილმა გაიფიქრა.

სამწუხაროდ, ამ ფრინველის სინდრომით შეპყრობილი ადამიანები, სხვებთან ერთად, უწინარესად, საკუთარ თავს რომ იტყუებენ და იარხეინებენ, ჩვენი ცხოვრების მრავალ სფეროში ერთობ მოგვიმრავლდნენ. მათ შორის, ცხადია, ბიზნესშიც.

გააკეთებს მავანი ბიზნესმენი „სდელკას“ – შემოიტანს საზღვარგარეთიდან იაფფასიან და უხარისხო რაიმე ნაწარმს, აქ ძვირად გაყიდის და, როდესაც გასასტუმრებელს გაისტუმრებს (ამაში, ცხადია, სახელმწიფო ბიუჯეტი ნაკლებად იგულისხმება) და მონაგებს მეჯღანუაშვილის სიხარბით გადაითვლის,

იხ. მე-2 გვ.

ექსკლუზივი

ანატოლი სობჩაკი: ჯუმბერ პატიაშვილს არა აქვს მორალური უფლება, იყოს საქართველოს პრეზიდენტი

ინტერვიუ ანატოლი სობჩაკთან, რომელიც თბილისის 9 აპრილის მოვლენების გამომძიებს სსრკ უზენაესი საბჭოს კომისიას ხელმძღვანელობდა

– 10 წელი გავიდა თბილისში მომხდარი აპრილის ტრაგედიის შემდეგ, მაგრამ დღესაც ღიად რჩება ბევრი საკითხი. ბოლოს და ბოლოს, ვინ გასცა ბრძანება დემონსტრანტების წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის ჩატარებაზე?

– ბრძანება გაიცა პოლიტბიუროს წევრთა ჯგუფის გადაწყვეტილების შემდეგ. თათბირს, რომელსაც ხელმძღვანელობდა ეგორ ლიგაჩოვი, ესწრებოდა ძალოვანი სტრუქტურების ყველა ხელმძღვანელი. მიხეილ გორბაჩოვი მოსკოვში არ იყო, ამიტომ ამ

იხ. მე-3 გვ.

პოლიტბიუროს სხდომაზე 7 აპრილს შევარდნაძე არ იყო. მე დარწმუნებული ვარ, იქ რომ ყოფილიყო, ჯარის გამოყენებას არ დაუშვებდა.



ინფორმაცია

მეცნიერება – ქვეყნის საზღვრების სადარაჯოზე

საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტი და სასაზღვრო უწყება აგვისტოს დასაწყისში ხელშეკრულებას გააფორმებენ, რის შედეგადაც ინსტიტუტი საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს ხუთ გასაშლელ ხიდს და თხუთმეტი სასაზღვრო-სათვალთვალო კომპლექსისათვის თანამედროვე ელექტრონულ მოწყობილობებს მოაწვდის, – აცნობა პრაიმ-ნიუსს სასაზღვრო ძალების სარდალმა ვალერი ჩხეიძემ.

მისი თქმით, ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა კოსმოსიდან საქართველოს სახელმწიფო საზღვრების ელექტრონული სისტემით გაკონტროლების თაობაზე.

ანაკლია – რეალური პერსპექტივა

ანაკლიაში საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის მშენებლობის საინვესტიციო წინადადებებს და ბიზნეს-გეგმას მოამზადებს ერთობლივი ქართულ-ამერიკული კომპანია „ანაკლია“, – აცნობა პრაიმ-ნიუსს საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის საინვესტიციო პოლიტიკის სამმართველოს უფროსმა ჯუანშერ მხეიძემ.

მისი თქმით, „ანაკლიას“ დამფუძნებლები გახდებიან ამერიკული კომპანია „ნოვა მენეჯმენტ ინტერნეიშნლი“ და საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური. ამჟამად პორტის მშენებლობისთვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის საკითხი წყდება.

პორტის მშენებლობა, სავარაუდოდ, 2001 წელს დაიწყება.

საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის მერაბ ჩხენკელის თქმით, ნავსადგურის მშენებლობის პირველ ეტაპზე 700 მილიონი დოლარი იქნება ინვესტირებული.

პოლიტიკური პროვოკაცია

„პოლიტიკური პროვოკაცია“ უწოდა რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარემ ივლიანე ხაინდრავამ აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ასლან აბაშიძის განცხადებას ოფიციალური ბათუმის მიერ ყარსის ხელშეკრულების რამდენიმე პუნქტის შესაძლო ამოქმედების შესახებ.

პრაიმ-ნიუსთან ინტერვიუში ხაინდრავამ განაცხადა, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით, ყარსის ხელშეკრულების ამოქმედება ნონსენსია, რადგან მოსკოვმა და თურქეთმა მას ხელი მოაწერეს საბჭოთა რუსეთის მიერ 1921 წელს საქართველოს ანექსიის შემდეგ.

ასლან აბაშიძემ 26 ივლისის პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ბათუმი აამოქმედებს ხელშეკრულების იმ პუნქტს, რომლის მიხედვითაც აჭარას თურქეთის რესპუბლიკიდან საზღვაო ტრანსპორტით ტვირთების განბაჟების გარეშე შემოტანის უფლება აქვს, რაც თავისუფალი ეკონომიკური ზონის მოთხოვნებს უტოლდება.

ხაინდრავას თქმით, საქართველოსა და თურქეთს შორის 1992 წელს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ნახსენებია ყარსის შეთანხმება მხოლოდ სასაზღვრო საკითხებში.

ყარსის ხელშეკრულების სხვა პუნქტები, ფაქტობრივად, გაუქმებულია და მასზე აპელირება ვოლუნტარიზმის გამოხატულებაა, – დაასკვნა ხაინდრავამ.

მეთევზეობაში პირველი უცხოელი ინვესტორები გამოჩნდნენ

დანიურმა კომპანიამ „ზღვის კალმახმა“ საქართველოში კომპანია „ქართული კალმახი“ დააფუძნა, – აცნობეს პრაიმ-ნიუსს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს დეპარტამენტ „საქთევზში“.

დანიური კომპანია საქართველოს მეთევზეობის დარგში პირველი ინვესტორია.

დანიელებმა ბათუმის ლაბორატორიაში 250000 ლიფსიტა გამოიყვანეს და თეთრიწყაროს საკალმახე მეურნეობაში გაუშვეს. იგივეს აპირებენ ოზურგეთისა და ლაგოდეხის მეურნეობებში.

ქვირითთან ერთად, დანიელებმა თევზის საკვებიც შემოიტანეს.

ამ კომპანიის წარმომადგენლები იმედოვნებენ, რომ საქართველოს ბაზრის გაჯერების შემდეგ, კალმახის რეალიზაცია მეზობელ ქვეყნებშიც მოხდება.

ინფორმაციები მოგვაწოდა პრაიმ-ნიუსმა.

ჩვენ

„მთას ვიყავ, მთობა ვერა ვქენ...“

ერთი სოფელი ნაქორწილევი იყო.

მეორე – თიბვაზე იყო წასული.

ერთიც კარგი საქმეა და მეორეც.

თანაც თუ მაინცა და მაინც არ ცხელა ამ ხვატიან ზაფხულში.

არადა, თუ კოჭბანს, ან გორანას მიდიხარ და გზა არ იცი, სიონის გადასახვევთან რომ აგრილდება (იერის სიგრილეა), იკითხე და გეტყვიან: – მარცხნივ შეუხვიეო.

მიჰყვები მარცხნივ განტოტებულ შარაგზას და პირველი, რასაც ყურადღებას მიაქცევ, ის არის, რომ მანქანა, რომელიც აქამდე ორმოებს შორის თუმც ფილიგრანულად მიჰყავდა გოჩა უსტიაშვილს, მაგრამ მაინც ხან სად ჩაუვარდებოდა ბორბალი, ხან სად, რადგან ნალმების აფეთქებისგან გადათხრილივით იყო უდროობასთან ნაომარი და დამარცხებული სავალი ესე, გამართულად იწყებს სიარულს და პირველსავე ინფორმაციას სწორედ ამის თაობაზე იგებ კოჭბანის თემის საკრებულოს თავმჯდომარისგან ვაჟა ჯავახიშვილისგან: სოფელმა თავისი სახსრებით აღადგინა გზა. ახლა ერთი კერძო ფირმისთვის ათას ლარს თუ იშოვნიან, ხიდამდე „დალატკავენ“.

იშოვნიან, ალბათ...

იხ. მე-3 გვ.



ბორანაულას უნიკალურ ხიდზე.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით შეიქმნა გამოჩენილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის შოთა ნიშნიანიძის დამკრძალავი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ვ. ლორთქიფანიძე (თავმჯდომარე), თ. წივწივაძე, ნ. ამაღლობელი, ჭ. ამირეჯიბი, ი. ანდრიაძე, ი. ზოდელავა, ა. კალანდაძე, რ. მეტრეველი, დ. მჭედლური, ტ. ჭანტურია.

შოთა ნიშნიანიძის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

შოთა ნიშნიანიძის დამკრძალავი კომისიისაგან

შოთა ნიშნიანიძის პანაშვიდი გაიმართება 28 ივლისს 17 საათზე.

მისამართი: იაკობ ნიკოლაძის ქუჩა №6, ბინა №5.

გამოსვენება: 29 ივლისს 15 საათზე საქართველოს მწერალთა კავშირიდან.

დაკრძალვა მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდების პანთეონში.

უკანასკნელ საათს

წლეულს 217 ადამიანზე მეტი – რუსეთისა და უცხოეთის მოქალაქეა გატაცებული ჩრდილოეთ კავკასიაში, – განაცხადა რუსეთის შსს მინისტრმა ვლადიმერ რუშაილომ გუშინ მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე. გუშინვე ჩეჩენთა ტყვეობიდან გაათავისუფლეს რუსეთის თავდაცვის სამინისტროს 5 სამხედრო მოსამსახურე.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ ისრაელის პრემიერ-მინისტრი ეჰუდ ბარაქი მალე შეხვდება პალესტინელთა ლიდერს იასირ არაფატს. ეს იქნება პირველი საქმიანი კონტაქტი ორ ლიდერს შორის.

ვაშინგტონში ოფიციალურ ვიზიტად მყოფი რუსეთის პრემიერ-მინისტრი სერგეი სტეპაშინი გუშინ აშშ ვიცე-პრეზიდენტს ელ გორს შეხვდა. მოლაპარაკების თემა თანამშრომლობის ფორმატის გაფართოება იყო. ოფიციალურ სადილზე სერგეი სტეპაშინმა თქვა, რომ კომუნისტები ველარ გაიმარჯვებენ და ხელისუფლების სათავეში ვერ მოვლენო.

ფინანსები

ლარის კურსი

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 27 ივლისიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

გერმანული მარკა	1	1.0146	ლარი
აშშ დოლარი	1	1.8600	ლარი
ევრო	1	1.9800	ლარი
რუსული რუბლი	1	0.0760	ლარი.

ამინდი დღეს

დასავლეთ საქართველოში

ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ. სუსტი ქარი.

დაბლობში: ღამით +13+18; დღისით +25+30.

მთაში: ღამით +11+16; დღისით +23+28.

მაღალ მთაში: ღამით +7+12; დღისით +18+23.

აღმოსავლეთ საქართველოში

ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ. სუსტი ქარი.

ბარში: ღამით +15+20; დღისით +27+32.

მთაში: ღამით +10+15; დღისით +25+30.

მაღალ მთაში: ღამით +5+10; დღისით +21+26.

თბილისში

ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ. სუსტი ქარი.

ღამით +18+20; დღისით +30+32.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

საქართველოს რესპუბლიკა
№200. ოთხშაბათი, 28 ივლისი, 1999 წელი.

ორბიტაზე

საქართველოს მეცნიერებს ძალუძთ მხარი გაუსწორონ მსოფლიოს უმაღლესი რანგის მეცნიერულ მიღწევებს, ძალუძთ შეაბიჯონ არა მარტო კოსმოსში, არამედ მსოფლიო მეცნიერების წიაღშიც

(პირველი გვერდიდან)

საკონსტრუქტორო ბიუროს ახალგაზრდა სპეციალისტთა ჯგუფმა წამოაყენა იდეა, რომლის რეალიზაციას მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა. და მაინც, ამ იდეას მხარი დაუჭირა რესპუბლიკის მაშინდელმა ხელმძღვანელმა ედუარდ შევარდნაძემ, რომელიც მას შემდეგ მუდამ მხარში ედგა ენთუზიასტებს, კოსმოსური ტექნიკის ახლანდელი გენერალური კონსტრუქტორის ელგუჯა მეძმარიაშვილის მეთაურობით, ვისაც წინა დღით მიენიჭა სამშობლოს უმაღლესი ჯილდო – პირველი ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენი. ამიტომ სხდომაზე ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე პროექტის ხელმძღვანელად დაასახელეს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და მიულოცეს მას ესოდენ რთული პროგრამის განხორციელება. აქვე წაიკითხეს უმაღლესი სასწავლებლის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილება ედუარდ შევარდნაძისათვის ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ.

სხდომაზე გამოვიდნენ ელგუჯა მეძმარიაშვილი, რომელმაც ქვეყნის პრეზიდენტს გადასცა ექსპერიმენტის განხორციელების რამდენიმე ფრაგმენტის გამოსახულება, აგრეთვე მისი მასწავლებელი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ყოფილი რექტორი, აკადემიკოსი თეიმურაზ ლოლაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი, აკადემიკოსი იფერი ფრანგიშვილი, ტექნიკური უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი გოჩა ჩოგოვაძე, აკადემიკოსი ჯუმბერ ლომინაძე და სხვები, რომლებმაც ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სახსრებით შეზღუდულმა საქართველომ, სწორედ ინტელექტუალური პოტენციალის მეშვეობით, კოსმოსური ტექნოლოგიის დარგში შეძლო გასულიყო მაღალგანვითარებული ქვეყნების დონეზე. ახლა ისახება სავსებით რეალური შესაძლებლობა, რათა შეიქმნას სატელეკომუნიკაციო სისტემა, რომელიც მოემსახურება აღორძინებულ „დიდ აბრეშუმის გზას“. გაიხსენეს არცთუ შორეული წარსული, როცა, კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის უნიკალური მოწყობილობის გადასარჩენად იძულებული გახდნენ სასწრაფოდ დაემალათ იგი. შემდეგ ააგეს უფანჯრებო სპეციალური შენობა და იქ გადამალეს. ასე გადაარჩინეს ფასდაუდებელი აპარატურა ფერადი ლითონების სახით ქვეყნის ფარგლებს გარეთ გატანისაგან.

სხდომაზე ითქვა, რომ მკაცრი კონკურენციის პირობებში ქართველ მეცნიერთა ნახელავმა გაუძლო მძიმე გამოცდას და მას მიენიჭა უპირატესობა მსოფლიოში ცნობილი ფირმების პროდუქციასთან შედარებით. მიღწეული მიჯნა პროექტის ავტორების წინაშე სახავს უზარმაზარ პერსპექტივას, რადგან ანტენას შეუძლია ჰქონდეს მრავალმიზნობრივი დანიშნულება. მაგალითად, სხდომაზე გამოითქვა იდეა, რომ რეფლექტორი შეიძლება გამოიყენონ მზის სითბოს კონცენტრაციისათვის. ამავე დროს, უცხოელ პარტნიორებთან ფართო თანამშრომლობის პერსპექტივა „პოლიტექნიკური ინტელექტის“ წარმომადგენლებისგან მოითხოვს დიდ ძალისხმევას, რათა არ დათმონ ამ საქმეში ლიდერობა.

სხდომაზე გამოვიდა საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. მან თქვა:

ბატონო რექტორო, პატივცემულო სამეცნიერო საბჭოს წევრებო, პატივცემულო საზოგადოებრიობავ!

მადლობას მოგახსენებთ დიდი ნდობისათვის. მოგეხსენებათ, მრავალი ქვეყნის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის დიპლომი მაქვს, მაგრამ ეს ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი საჩუქარია, ყველაზე დიდი დაფასებაა, რისთვისაც გულწრფელ მადლობას მოგახსენებთ. შევეცდები მომავალშიც ვითანამშრომლო თქვენთან და ვილვაწო ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ.

გულწრფელად მოგილოცავთ ყველას, უწინარესად, ავტორებს, იმ დიდ წარმატებას, რომელსაც სავსებით სწორად უწოდეს მსოფლიო მასშტაბის პროექტის განხორციელება. მეც იგივე შეფასება მივეცი პირველსავე წუთებში, როცა გავიგე, რომ ექსპერიმენტი წარმატებით განხორციელდა.

მაშინ მომეცა საშუალება ეს დიდი გამარჯვება, უწინარეს ყოვლისა, ბატონ ელგუჯა მეძმარიაშვილისთვის მიმელოცა. დღეს კიდევ ერთხელ ვულოცავ ჩვენი ქვეყნის ღირსეულ შვილს, ღირსეულ მეცნიერს, რომელსაც დიდი საქმეები ელის თანამოაზრეებთან, კოლეგებთან ერთად.

კარგია, რომ ასეთი ფართო საზოგადოებრიობა შეიკრიბა. ბედნიერი ვიქნებოდი, რომ იმას, რაც დღეს ამ დარბაზში ხდება, მთელი საქართველო უსმენდეს და გაიგოს, რა მოხდა. არადა, მოხდა ძალიან მნიშვნელოვანი რამ, უწინარესად იმ თვალსაზრისით, რომ ქვეყანას, რომელიც ჯერაც კიდევ მკვიდრად ვერ დგას ფეხზე და კრიზისიდან გამოსვლის ფაზაშია, მის მეცნიერებს ძალუძთ მხარი გაუსწორონ მსოფლიოს უმაღლესი რანგის მეცნიერულ მიღწევებს, ძალუძთ შეაბიჯონ არა მარტო კოსმოსში, არამედ მსოფლიო მეცნიერების წიაღშიც. ესაა ჩვენი ხალხის ნიჭიერების კონკრეტული გამოსხივება, დიდ, მსოფლიო მნიშვნელობის პროექტში.

ერთ რამეს ვიტყოდი: შეიძლება ქვეყანას 10-12 კოსმონავტი ჰყავდეს, მაგრამ მომზადება და კოსმოსში გაშვება არ ნიშნავს მეცნიერებაში გარღვევას. მიმაჩნია, რომ მთელი ჩვენი სამეცნიერო პოტენციალი ამ პროექტით აისახა. კარგად მახსოვს ყველა დეტალი. არ შემიძლია განსაკუთრებული მადლობა არ გადავუხადო თეიმურაზ ლოლაძეს. თავის დროზე, ცენტრალური კომიტეტის არსებობის პერიოდში, ბატონმა თეიმურაზმა მიმიპატიჟა სტუდენტურ ლაბორატორიაში. მაშინ რას წარმოვიდგენდით, რომ უნიჭიერესი ახალგაზრდების პატარა წამოწყება ასეთ დიდ საქმედ გადაიქცეოდა. მაგრამ მიმაჩნია, რომ დიდი მეცნიერის და ყველა სახელმწიფო მოღვაწის ვალია, შენიშნოს და მხარი დაუჭიროს ყველაფერს, რასაც მომავალი აქვს – იქნება ეს მეცნიერებაში, ხელოვნებაში, ლიტერატურაში, სოფლის მეურნეობასა თუ მრეწველობაში – ნებისმიერ სფეროში. მეამაყება, რომ თავის დროზე მხარი დავუჭირე იდეას. მე სიამოვნებით წამოვიყვანე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის დასათვალიერებლად. ასევე სიამაყით შევთავაზე ბატონ კუჩმასა და სხვა მრავალ უცხოელ სტუმარს ენახათ, თუ რა არის ნამდვილი საქართველო. ნამდვილ საქართველოზე მსჯელობა ჯიხურების მაგალითით არ შეიძლება. იგი დროებითი მოვლენაა. მადლობელი ვარ, რომ ასახელეთ ჩვენი ქვეყანა, ხალხი. თქვენ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეთ ქვეყნის დამოუკიდებლობის მშენებლობის საქმეში, და არა მარტო მშენებლობაში, არამედ მისი გარანტიების შექმნაში. სახელმწიფოს, თუნდაც დამოუკიდებელს, რომელსაც ფუნქცია არა აქვს, რომელიც არ სჭირდება სხვა სახელმწიფოებს, – დამოუკიდებლობის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდება.

ჩვენ ისე „ვუყვარვართ“ ბევრს, რომ ჩვენი სანუკვარი ოცნების – დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად კიდევ ბევრი ბრძოლა გვჭირდება, რათა არასოდეს არავისი სატელიტი არ გავხდეთ. საქართველო არის და იქნება დამოუკიდებელი ქვეყანა. დამოუკიდებლობის განმტკიცებას კი ისეთი საქმეები სჭირდება, თქვენ რომ გააკეთეთ. ამ დარბაზში გამოსულებმა სხვა მნიშვნელოვან პროექტებზეც ილაპარაკეს. მეც შემიძლია სხვა მაგალითების მოყვანა, თუნდაც, სტაბილური იზოტოპების ინსტიტუტში განხორციელებული პროექტები, რომლებიც მსოფლიომ აღიარა. ასეთი ბევრი შეიძლება ჩამოვთვალოთ, რაც ჩვენი სახელმწიფოებრივი სიამაყის განსაკუთრებული საგანია. არ შემიძლია არ ვახსენო ბატონები გოჩა ჩოგოვაძე, რამაზ ხუროძე, ის ოცდაათივე კათედრა, ჩვენი მათემატიკოსები, ფიზიკოსები, სხვები, რომელთა შრომა და ნააზრევი ჩადებულია ამ დიდ პროექტში. ყველას დიდ მადლობას მოგახსენებთ ჩვენი ქვეყნისა და ხალხის, პირადად ჩემი სახელით.

ელგუჯა მეძმარიაშვილი დაჯილდოვდა საპატიო და იშვიათი ორდენით – პირველი ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით. არავის არ უნდა დავწყვიტოთ გული, ეს ეპოქალური მოვლენაა და ყველა მონაწილის შრომა სათანადო ჯილდოთი უნდა აღინიშნოს. წინასწარ ვულოცავ ყველა მათგანს.

სხვათა შორის, კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტში ნაფიქრი და ნააზრევი მარტო კოსმოსთან არ არის დაკავშირებული. ელგუჯა მეძმარიაშვილის დაჯილდოების პროექტში ვახსენე საქართველოს თავდაცვის სფეროში შეტანილი წვლილი, რამაც ზოგიერთი შეაშფოთა: სად კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტი და სად საქართველოს თავდაცვაო. ეჭვიც კი გაუჩნდათ, ახალი ატომური ბომბი ხომ არ შექმნესო. არა, ეს ჩვეულებრივი ნაგებობებია, ოღონდ არაჩვეულებრივ პირობებში. აქ შემოთავაზებულ თითოეულ პროექტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის, აქედან გამომდინარე, ჩვენი დამოუკიდებლობისათვის. ამისათვის დიდ მადლობას მოგახსენებთ.

ვეთანხმები აქ გამოსულ ორატორებს – განხორციელებულ პროექტს უზარმაზარი მომავალი აქვს. რა თქმა უნდა, მოხდება მისი შემდგომი მოდერნიზაცია, გაუმჯობესება, კიდევ უფრო გაიზრდება მისი კონკურენტუნარიანობა. მართალია, თქვენ გაიმარჯვეთ უმკაცრეს გამოცდაში, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, მიღწეულს არ დასჯერდებით.

პროექტს უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს „დიდი აბრეშუმის გზის“ მშენებლობის თვალსაზრისით. ცნობილმა მეცნიერმა, აკადემიკოსმა საგდეევმა ერთ-ერთმა პირველმა შენიშნა ის პოტენციალი, რომელმაც საქართველო საკვანძო პუნქტად უნდა აქციოს „დიდი აბრეშუმის გზის“ კოსმოსური კომუნიკაციებით მომსახურების თვალსაზრისით. ეს მისთვის დიდი აღმოჩენაა. ერთ-ერთი პირველი, ვინც საქართველოს ეს გამარჯვება მოულოცა, სწორედ საგდეევი გახლდათ. როგორც აქ ახსენეს, დღის წესრიგში რეალურად დგება საქართველოს, აზერბაიჯანის, უკრაინის, ცენტრალური აზიის ქვეყნების რკინიგზის კავშირგაბმულობის თანამედროვე საშუალებებით უზრუნველყოფის პრობლემა. სასიხარულოა, რომ საქართველოს მეცნიერები, პირადად თქვენ, წამყვან როლს ასრულებთ ამ საქმეში.

მინდა ერთი რამ განვაცხადო: არა აქვს მნიშვნელობა, რამდენ ხანს ვიქნები პრეზიდენტი. ჩემი მიზანი იყო, არის და კვლავაც იქნება ზრუნვა საქართველოს მეცნიერების განვითარებისათვის. მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი მეცნიერების მქონე ქვეყანას დიდი მომავალი აქვს.

ჩვენმა მთავრობამ პარლამენტთან ერთად გამოძებნეთ საშუალებები, რათა აღვნიშნოთ ყველა ნიჭიერი მოსწავლისა და სტუდენტის შრომა, მათი შრომა, ვისაც უკვე შუბლზე აწერია, რომ დიდი საქმეების კეთება შეუძლია საქართველოსთვის. სახელმწიფოს ზრუნვა კიდევ უფრო გაძლიერდება ნიჭიერი ახალგაზრდებისათვის. მე უკვე განვაცხადე, რომ 2001 – 2002 წლებისათვის საქართველოში საშუალო განათლება უფასო იქნება. სახელმწიფოს მომძლავრებასთან ერთად, შევეცდებით გავზარდოთ სახელმწიფოს შეკვეთების რაოდენობა უმაღლეს სასწავლებლებში, უნივერსიტეტებში. მეამაყება, რომ განვლილი ნგრევისა და განუკითხაობის წლების მიუხედავად, რომელიც ძვირად დაგვიჯდა, საქართველოში არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი და სკოლა არ დახურულა. პირიქით, ზედმეტად ბევრი გაიხსნა. მაგრამ ყველაფერი გაიცხრილება, დაიწმინდება. რა თქმა უნდა, არ ვაპირებთ უახლოეს მომავალში რეპრესიების მოწყობას და მათ დახურვას. თუმცა, მსოფლიო რეკორდსმენები კი ვართ – 250 უმაღლესი სკოლა გვაქვს, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რამდენიმე წელიწადში საქართველოში დარჩება მხოლოდ ის უმაღლესი სასწავლებლები, რომლებიც გასაქანს აძლევს ნიჭიერებას, დიდ სამეცნიერო პოტენციალს და ქვეყნის აღმშენებლობას უწყობს ხელს.

ბატონმა რამაზ ხუროძემ ბრძანა: არ იქნებოდაო ურიგო, მიგეწვიეთ პრეზიდენტის რეზიდენციაში და მოგესმინათ, თუ კიდევ რა გეგმები აქვს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტს. მივესალმები ამ წინადადებას და გთავაზობთ, უახლოეს მომავალში, პრეზიდენტის რეზიდენციაში შეკრებას. გამოვეფინოთ და მთელ საქართველოს დავანახოთ თქვენი აზროვნების ნაყოფი. იგივეს ვთავაზობ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელსაც ბევრი რამ აქვს საამაყო.

კიდევ ერთი წინადადება მაქვს: რატომ არ შეიძლება დავაარსოთ მეცნიერების დღე? ამ დღეს ჩვენ ყველანი მოვალთ თქვენთან, მეცნიერებათა დიდ აკადემიაში და ქედს მოვიხრით თქვენი ნიჭიერების, თქვენი აღმოჩენების, თქვენი წინსვლის წინაშე.

კიდევ ერთხელ გილოცავთ და დიდ მადლობას მოგახსენებთ.

ციური ბაჯელიძე,
თენგიზ გრიგალაშვილი,
საქინფორმის კორ.

რადგან ჟურნალისტის უფლება შელახეს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ასლან აბაშიძემ სამშაბათს რესპუბლიკის მსს მინისტრი ილია წულუკიძე თანამდებობიდან გაათავისუფლა.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად ენვერ ხალვაში დაინიშნა, რომელსაც მანამდე აჭარის საგადასახადო სამსახურის უფროსის პირველი მოადგილის პოსტი ეკავა.

წულუკიძის თანამდებობიდან დათხოვნის მიზეზი, რომელიც მას წელიწადნახევარი ეკავა, ავტონომიაში კრიმინალური ვითარების გაუარესება გახდა. ამასთან ერთად, ილია წულუკიძემ, როგორც მსს მინისტრმა, ადამიანის უფლებების დაცვაში შეცდომები დაუშვა. ამის მაგალითია მოქალაქეთა მიერ აჭარაში ორი კვირის წინ მოწყობილ აქციაზე საქართველოს პირველი არხის პროგრამა „მოამბის“ კორესპონდენტისათვის გადაღების აკრძალვისა და ვიდეოკასეტის ჩამორთმევის ფაქტი.

აჭარის ლიდერის პრესმდივნის გიორგი თარგამაძის თქმით, ავტონომიის მსს მინისტრის გადაყენების და მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის საკითხები შეთანხმებულია საქართველოს მსს მინისტრთან კახა თარგამაძესთან.

რამდენიმე დღეში ენვერ ხალვაში თბილისში კახა თარგამაძეს შეხვდება.

გამოძიების პირველი ეტაპი დასრულდა

კოდორის ხეობაში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიების პირველი ეტაპი დასრულდა, – განაცხადა უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსის მოადგილემ მალხაზ სალაყაიამ სამშაბათს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სხდომაზე.

როგორც პრაიმ-ნიუსს სალაყაიამ განუცხადა, კოდორის ხეობაში 9 ივლისს მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებას აქვს 5 ვერსია და არის 8 ეჭვმიტანილი.

უკვე დაიკითხნენ ის პირები, რომლებიც იყვნენ ამ ტერაქტის თვითმხილველნი და დაზარალებულები. ჯანმრთელობის არასათანადო მდგომარეობის გამო ვერ ხერხდება აფხაზეთის შს მინისტრის მამუკა ნაჭყებიას დაკითხვა.

მისი ინფორმაციით, გამოძიების მეორე ეტაპზე უშიშროება კოდორის ხეობაში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის ივერი ჭელიძის დაკითხვას აპირებს. უახლოეს მომავალში საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად კოდორის ხეობაში გაემგზავრებიან საგამოძიებო ჯგუფის წარმომადგენლები.

თბილისის ბაზრებში უსირცხვილოდ გვატყუებენ

თუ დედაქალაქის ბაზრებში კონფლიქტური სიტუაციები წარმოიქმნება, ეს, როგორც წესი, დაკავშირებულია მყიდველთა წონაში მოტყუებასთან. ცენტრალურ „დეზერტირის“ ბაზარზე, მაგალითად, თითქმის ყველა სასწორი მოტყუებაზეა „მომარჯვებული“. გამონაკლისს არ წარმოადგენს, ეგრეთ წოდებული, საკონტროლო სასწორებიც, რომლებიც თითქოსდა მყიდველს უნდა არწმუნებდეს აწონილი საქონლის სიზუსტეში. ეს „ინვალიდი“ სასწორები აქ პირველი წელი როდია დგას და ბაზრის ადმინისტრაციას დღემდე არ შეუცვლია ისინი, არც გაუმართავს. სამაგიეროდ, არ ივიწყებენ სისტემატურად შეაწერონ მოვაჭრეებს ფული.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა და პრაიმ-ნიუსმა.

პრეზიდენტი

საქართველოს რკინიგზას საკუთარი წარმოების განძელებით მოამარაგებენ

ბოლო წლებში საქართველოს რკინიგზა რთული პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. საქმე ის გახლავთ, რომ დღემდე არსებული რუსული ტიპის რკინა-ბეტონის განძელები (შპალები) თითქმის მთლიანად გამოვიდა მწყობრიდან. მათი ახლით შეცვლა არ იძლეოდა მუშაობის მყარ გარანტიას, ახლის შემოტანა კი გართულდა და თანაც დიდ ფინანსურ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. შარშან რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ ხელშეკრულება გააფორმა ინგლისურ ფირმებთან „პენდროლსა“ და „რანალასთან“ პენდროლის სისტემის რკინა-ბეტონის განძელების დასამზადებლად. თბილისში აშენდა წინასწარ დაძაბული რკინა-ბეტონის განძელების ქარხანა, რომელიც 27 ივლისს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. ცერემონიალს ესწრებოდნენ საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, სახელმწიფო მინისტრი ვაჟა ლორთქიფანიძე, სხვა ოფიციალური პირნი. ჯერჯერობით ამუშავდა განძელების დამამზადებელი პირველი ხაზი, რომლის მეშვეობითაც ერთდროულად მზადდება ოთხასი ცალი განძელი ფირმა „პენდროლის“ ფასტკლიპის ტიპის სამაგრისებით. ასეთი სახის განძელებით აღჭურვილი რკინიგზები დღეს წარმატებით მუშაობს დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში. ამ სამაგრისებით განძელების მუშაობის ხანგრძლივობა 45-50 წელია, რაც თითქმის ორჯერ აღემატება ამჯერად რკინიგზის ტრანსპორტზე გამოყენებული რუსული ტიპის რკინა-ბეტონის განძელების გამძლეობას. რელსების ცვეთა შემცირებულია 30 პროცენტით, ამასთან ახალი სამაგრისიანი განძელის დამზადება ჯდება 45 აშშ დოლარი მაშინ, როდესაც რუსული ტიპისა 70 აშშ დოლარამდე ღირს.

ქარხანას თვეში შეუძლია 6 ათასი ცალი განძელის დამზადება. საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელის აკაკი ჩხაიძის თქმით, ქარხანა სულ რაღაც 6 თვეში დამონტაჟდა და მასში 150-მდე მუშახელი დასაქმდება. მომავალში დაგეგმილია მეორე ხაზის დამონტაჟება, რაც შესაბამისად გააორმაგებს წარმოებული პროდუქციის მოცულობას. პირველ რიგში, ახალი განძელებით აღადგენენ ღელოფლისწყაროსმდე მიმავალ სარკინიგზო მაგისტრალს. ქარხნის ხელმძღვანელობამ ისიც გვაცნობა, რომ ქარხანა განძელებით ამიერკავკასიის სხვა სახელმწიფოებსაც მოამარაგებს.

საქართველოს პრეზიდენტმა მიულოცა რკინიგზის მშენებლებს წარმატება და იმედი გამოთქვა, რომ ქარხნის აგება სერიოზულ ბიძგს მისცემს ჩვენი ქვეყნის რკინიგზის განვითარებას.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური – საქინფორმი.

უარყოფენ

გაზეთის პუბლიკაცია ცილისმწამებლურია

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პრესსამსახურის განცხადება

გაზეთ „რეზონანსის“ წლევანდელ 23 ივლისის ნომერში დაიბეჭდა მასალა ქვესათაურით: „ზოგიერთი გამგებელი აცხადებს, რომ სოციალური ინვესტიციების ფონდი მათ მხარდაჭერას სახელმწიფოს ფულით ყიდულობს“. თურმე ფონდი მხოლოდ იმ რაიონებში აფინანსებს პროექტებს, რომელთა გამგებლებზეც, წინასაარჩევნო მიზნებიდან გამომდინარე, ხდება პოლიტიკური ზეწოლა თუ გარიგება. ეს განცხადება მით უფრო მოულოდნელი და სამწუხაროა, რომ ფონდის საქმიანობა სულ ახლახან დადებითად შეაფასეს საქართველოს პრეზიდენტმა და მსოფლიო ბანკის პრეზიდენტმა, რომელმაც საქართველოში ყოფნისას თავად მოინახულა ფონდის მიერ დაფინანსებული რამდენიმე ობიექტი.

მსგავსი განცხადებები უპატივცემულობაა იმ ადგილობრივი მოსახლეობის მიმართაც, რომლებიც მსოფლიო ბანკის ეგიდით მიმდინარე პრეზიდენტის ამ პროგრამის წარმატებით განხორციელებისაგან მოელიან სკოლების, წყალსადენებისა თუ საავადმყოფოების რეაბილიტაციას, მით უმეტეს, რომ ობიექტების შერჩევაში აქტიურად მონაწილეობენ ადგილობრივი მოსახლეობის ფართო ფენები, სადაც, როგორც წესი, გათვალისწინებულია შესაბამისი რაიონის გამგებლებისა თუ მაჟორიტარი დეპუტატების რეკომენდაციები. აღნიშნულის შესახებ მუდმივად საქმის კურსში იმყოფებიან ქალაქის მერები, თითოეულ რეგიონში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულები და შესაბამისი დარგობრივი სამინისტროების ხელმძღვანელები.

„რეზონანსში“ დაბეჭდილი სტატიის პასუხად გთავაზობთ მხოლოდ ჩამონათვალს იმ რაიონებისა, სადაც სსიფ ამჟამად აწარმოებს ან იწყებს საინვესტიციო საქმიანობას. ხოლო მკითხველმა თავად განსაჯოს, რამდენად შესაძლებელია აღნიშნული ბრალდება შეეფერებოდეს სიმართლეს:

1. თბილისის ათივე რაიონი: 13 დასრულებული ობიექტი, 14 – მიმდინარე, 54 – მზად არის სარეაბილიტაციოდ;
2. სამცხე-ჯავახეთის ექვსივე რაიონი: 29 დასრულებული, 7 – მიმდინარე, 8 – მზად არის სარეაბილიტაციოდ;
3. მცხეთა-მთიანეთის ხუთივე რაიონი: 15 – დასრულებული, 4 – მიმდინარე, 6 – მზადდება სარეაბილიტაციოდ.
4. რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის ოთხივე რაიონი: 6 – მიმდინარე, 5 – მზად არის სარეაბილიტაციოდ;
5. მესტია (ზემო სვანეთი): 1 – მიმდინარე, 2 – მზად არის სარეაბილიტაციოდ;
6. კოდორის ხეობა: 2 – მზად არის სარეაბილიტაციოდ; 7 – პროექტირების სტადიაზეა;
7. იმერეთის თერთმეტივე რაიონი ქუთაისის ჩათვლით: 1 – დასრულებული, 6 – მიმდინარე, 12 – მზადდება სარეაბილიტაციოდ, 23 – პროექტირების სტადიაზეა;
8. კახეთის რვა რაიონი: 3 – დასრულებული, 2 – მიმდინარე, 1 – მზადდება სარეაბილიტაციოდ; 21 – პროექტირების სტადიაზეა;
9. ქვემო ქართლის ექვსივე რაიონი რუსთავის ჩათვლით: 4 – მზადდება სარეაბილიტაციოდ; 29 – მიმდინარეობს პროექტირება;
10. გურიის სამივე რაიონი: 23 – მზადდება სარეაბილიტაციოდ;

დანარჩენ 3 რეგიონში (შიდა ქართლი, აჭარა, სამეგრელო), სსიფ-ის პროცედურების თანახმად, საპრეზენტაციო სემინარების ჩატარება (რაც საქმიანობის დაწყების წინაპირობაა) დაგეგმილია: სამეგრელო – 31 ივლისს, აჭარა, შიდა ქართლი – აგვისტოს მეორე ნახევარში.

ამჟამად, სულ დასრულებულია 61 ობიექტის რეაბილიტაცია, ხორციელდება 30 ობიექტი, 100-ზე მეტი ობიექტი მზადდება სარეაბილიტაციოდ, ამდენივე პროექტირების სტადიაზეა, ხოლო 100-მდე ობიექტზე გადაცემულია ტექნიკური დავალება პროექტირებისათვის.

აქვე აღსანიშნავია, რომ ეს სამუშაო სსიფ-მა გასწია მას შემდეგ, რაც კრედიტი გამოცხადდა ეფექტურად, ანუ 1998 წლის 5 ივნისიდან (სულ 1 წლის წინ). გაწეული ინტენსიური და მოცულობითი სამუშაოს ფონზე მუდმივი წინასაარჩევნო სტრესი და სსიფ-ის საქმიანობის საწინააღმდეგო პროპაგანდა გულდასაწყვეტია იმ ადამიანებისათვის, რომლებიც დღეს სსიფ-ის სახით სახელმწიფო სამსახურში დგანან.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე სსიფ მიმართავს საქართველოს ყველა რაიონის გამგებელს, დაუყოვნებლივ დაადასტუროს ან უარყოს სსიფ თანამშრომელთა თუ დირექციის მხრიდან პოლიტიკური ზეწოლისა თუ „სახელმწიფო ფულით მათი მოსყიდვის“ ფაქტი. ამასთანავე ფონდი იმედოვნებს, რომ ყველა, ვისაც ეს ეხება, გამოიჩენს სათანადო წინდახედულებას და პოლიტიკურ სიმწიფეს, რაც მას საშუალებას მისცემს თავი აარიდოს პოლიტიკურ ვნებათაღელვას და ნორმალურად იმუშაოს საქართველოსა და მსოფლიო ბანკს შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში.

გამარჯობათ!

ძაღლის გუდაში გამოყვანილი ყველი და სირაქლემები

(პირველი გვერდიდან)

საკუთარი მოხერხებულობით კმაყოფილი გაიბადრება – უჭკუოებმა იკითხონ (მათში, ცხადია, ჩვენ, საწყალ მომხმარებლებს გვგულისხმობს), თორემ მე ამ მოგებული თანხის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილით ჩემთვის საჭირო ყველა ნაწარმს თუ საქონელს, თანაც [illegible] მაღალხარისხიანს, შევიძენო.

მაგრამ ასეთი „ბიზნესმენი“ სოლომონ ისაკიჩი რომ უამრავი გვყავს?

ჰოდა, გაივსო კიდევ ბაზარი ლამაზად შეფუთულ-გაფორმებული, მაგრამ უხარისხო, ზოგჯერ კი მავნებელ-მომწამლელი პროდუქციით.

რამდენად ჭკვიანია ახლა ის ჩვენი ნაქები ბიზნესმენი, ანუ სირაქლემა-ადამიანი?

კი შემოგვესაღა ძვირად, ვთქვათ, პეტრემ საზღვარგარეთ იაფად ნაყიდი ეთილირებული, ტყვიის შემცველი ბენზინი, ატმოსფეროც და ფილტვებიც მოგვიწამლა, ფულიც მოიგო, მაგრამ მერე? ყველაფერს, ადამიანის ყოფა-ცხოვრებისთვის საჭიროს, ხომ ვერ შემოიტანს? განა მარტო ის არის „ჭკვიანი?“

მეორე სირაქლემა-ადამიანს, ვთქვათ, პაველს, კვების პროდუქტები შემოაქვს, იქ იაფად ყიდულობს და აქ ძვირად ჰყიდის პურის გამოსაცხობად უვარგის საფურაჟე ან კარტოფილის ჩხირებით დასნებოვნებულ ხორბალს, ფუ დიოქსინიან ხორცს, კვერცხს, რძის ფხვნილს, კარაქს...

საკუთარი „გამჭრიახობით“ კმაყოფილმა პეტრემ მისგან არ უნდა იყიდოს ეს პროდუქტები, ისევე როგორც პაველმა პეტრესგან – ბენზინი? ან, როდესაც მათ მიერვე შემოტანილი უხარისხო ნაწარმ-პროდუქციით ერთმანეთს დაწამლავენ, ორივემ მაჟან ბიზნესმენ ივანეს არ უნდა მიაკითხოს ფალსიფიცირებული წამლების შესაძენად, რომლებიც ასევე საწამლავია?..

– შესახედად კარგია, მაგრამ საჭმელად არ ვარგა, ძაღლის გუდაშია გამოყვანილიო, – უთქვამს ხალხს ლამაზი ფორმის უგემოვნო და უვარგის ცხვრის ყველზე. სწორედ ძაღლის გუდაში გამოყვანილი ყველის დარია ჩვენი ბიზნესმენ-სირაქლემების მიერ შემოტანილი ძალიან ბევრი სახეობის ნაწარმი თუ პროდუქცია. შედეგსაც სათანადოს ვიმკით...

მართლაც სწორად არის ნათქვამი, – მტერმა კაცსა ვერა ავნოს, რომე კაცმა თავსა ივნოსო.

მართლაც ყველაფერი ჩვენივე თავისგან, უფრო სწორად, უთაობისგან გვჭირს.

როდის მოვეგებით გონს?

მორიგე რედაქტორი.

პარტიებსა და მოძრაობებში

ჭყუმპალაობს თუ არა მინისტრი ზეთში?

სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს როლი ახალი ტელევიზიის შექმნაში, სოიას ზეთი მაცივარში, ფალსიფიცირებული ღვინოების შესახებ, წამგებიანი პრივატიზაციის ახალი მოდელი, ჰუმანიტარული ბრინჯი, ხორბლის შესახებ, სიმინდის თესლის შესახებ და სხვა და სხვა. ასეთი იყო ბრალდებების გრძელი ნუსხა, რომელიც ედპ მთავარი კომიტეტის წევრმა, პარლამენტარმა რევაზ საყვარელიძემ პრესკონფერენციაზე წარმოადგინა.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ამ ბრალდებებს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრს ბაკურ გულუას, ამავე სამინისტროს უყენებს.

სამინისტროში შექმნილ მდგომარეობაზე 50-მდე საქმეა [illegible], მაგრამ სერიოზულად არავინ დასჯილა. დაისაჯა „წვრილფეხობა“, რომელთაც უმნიშვნელო თანხებთან ჰქონდათ შეხება, – თქვა რევაზ საყვარელიძემ. მისი თქმით, პარლამენტის ბიუროს გაფართოებული სხდომა, რომელზეც ეს საკითხი უნდა განხილულიყო, ოთხჯერ გადაიდო.

რევაზ საყვარელიძის თქმით, ეს არ არის პიროვნული ბრძოლა მინისტრის წინააღმდეგ და ამას არავითარი კავშირი არა აქვს მოახლოებულ არჩევნებთან. დავიჯეროთ?

მზია გელენავა.

ჩვენ

„მთას ვიყავ, მთობა ვერა ვქენ...“

(პირველი გვერდიდან)

ისე კი, თუ თიანეთისკენ წასვლას დააპირებთ, ჯობია, სხვისი მანქანით წახვიდეთ...

– ამ გზაზე მოსიარულე ავტობუსების შოფრებს, თითო-თითო ორდენი ნამდვილად ეკუთვნით, – ეს კვლავ ვაჟა ჯავახიშვილია.

გზებია ამოვარდნილი,
ზედ აღარ გაივლებაო...
ნეტავ, ასეთი
ცხოვრება
როდამდი
გაგრძელდებაო?

ეს კი იმ ქვეყნად გადასული იოსებ ტუქსიშვილის, ხალხური მთქმელის პე, რამდენი წლის წინათ დაწერილი ლექსის ნაწყვეტია – უგზოობა ამ მხარის სატკივარი იყო ყოველთვის.

ტრადიციული.



თითქოს არ აკლდათ ყურადღება, მაგრამ გულდაწყვეტილები იყვნენ უმეტესად შეუსრულებელი დაპირებებისა გამო, იმის გამოც, რომ იშვიათად ახსენდებოდათ ხელმძღვანელებს ამ სოფლების არსებობა.

აქ არცად
თავმჯდომარე ჩანს,
ვერც ფერმის გამგეს
ვხედავ,
საბჭო სინათლეს
დაგვპირდა,
სწერენ და ისე რჩებაო.

– ესეც იოსებ ტუქსიშვილის ლექსიდან არის.

პოდა, ამ ტრადიციის დასარღვევად აქაც, და, საერთოდ, კახეთის მხარის მივარდნილ და მივიწყებულ სოფლებში, პატარა საქმეების საკეთებლად, რადგან ახლა არის დრო მცირე საქმეების კეთებისაც, როგორც თვითონ ამბობს, ღალის კახეთის გუბერნატორი გია არსენიშვილი სოფელ-სოფელ და იმ „პატარა საქმეებს“ აგვარებს, რომლებიც ასეთ დასახლებებში პაიპაი, რომ ძალიანაც მოსაგვარებელია.

ახლა მე ცოტა მთიულურად მოვუქციე, იმიტომ, რომ იმათ გარემოში მოვხვდი, – გავლენა, ჩემო ბატონო.

გარემო კი ისეთია, „სოცინტერნი“ გეგონებათ, ყოველ შემთხვევაში, საქართველო მინიატურაში აქ არის წარმოდგენილი: გასული საუკუნის დასაწყისში მეფის ხელისუფლება გომბორში სამხედრო დასახლებას ქმნის, ფეხდაფეხ მალაკნები მოჰყვებიან (რუსიანი). ორი საუკუნის მიჯნაზე ფშაველები იწყებენ ჩამოსახლებას (ვაშლიანი, ბოტკო, იკვლივ-გორანა, ხინჭები, ჭეხილა), ხევსურები (ძირითადად – ვერონასა და გომბორში), შემდეგ ოსური სოფლებიც გაჩნდა (სასადილო, მუხიანი, ოთარაანი და სხვა), ხოლო მე-20 საუკუნის დასაწყისში, როგორც ალექსანდრე ნეკრესელაშვილი წერს, „გომბორში აზერბაიჯანელები დასახლდნენ, ძირითადად ლაპიჯების ტომიდან“.*

აი, ამ მრავალეროვნულ კონგლომერატში ყველას თავისი ადგილი ეკავა, თავის ცხოვრებას ეწეოდა, „მშვიდობიანი, კეთილმოსურნე გარემო სუფევდა“.

აი, ამ პატარა „მთის ქვეყანაში“ არის კოჭბანის თემის საკრებულო კოჭბანით, გორანათი, იკვივგორანათი, ოთარაანითა და სასადილოთი – 300-მდე კომლითა და 400-ზე მეტი სულით.

ბევრია? ცოტაა? შენი საქართველოა და შენ უნდა მოუარო და უპატრონო. ასე ფიქრობს თენგიზ ოქროცვარიძე, საგარეჯოს რაიონის გამგებელი.

უვლის, რამდენსაც და როგორც გასწვდება.

მაგრამ მთავარი ის არის, რომ კოჭბანის თემის მოსახლეობა ვაჟა ჯავახიშვილის თავკაცობითა და წყალობით უფრო საკუთარ შესაძლებლობებს ეყრდნობა, ვიდრე გარედან მოსულ დახმარებას.

წყალმა წაიღო ხიდი?

განა იმიტომ, რომ ფეხის დასველება ეზარებათ, უფრო იმიტომ, რომ თავმოყვარე ხალხია და ცხოვრებაში გამოსული, გორანასთან ახალი ხიდი ააგეს იმ კიდულას ნაცვლად, რომელიც სხვა სოფელს აჩუქეს, იმათაც გამოადგათ.

რა ხიდია? ფრიად უნიკალური. პროექტის ავტორს ვერ დაგისახელებთ, მაგრამ გაუქმებული ნავთობსაბურღიდან (ჩეჩნები მუშაობდნენო იქ) წამოიღეს (ფაქტობრივად, უფასოდ) საბურღი მილები, გადეს გორანაულაზე და ნებისმიერი მანქანა გადის, ნებისმიერი ტვირთამწეობის.

„გორანაულას პლაჟზე“ გოგო-ბიჭები ჭყუმპალაობენ პატარა საგუბარში. მერე რიყეზე წამოწვებიან და თბებიან საკმაოდ შეციებულები გორანაულას ჩქერებში.

აქაურები არიან. სკოლაც აქვე აქვთ. გვერდით. კოჭბანის სკოლაზე ვამბობ, თორემ აქაურში ოთხი ოჯახია ჩასახლებული, გაჭირვებული.

ერევა გაჭირვებას სოფელი. კოჭბანის საკრებულოს ეზოში დამტვრეულ-დაჟანგული ტექნიკის (როგორც სიმბოლოსი ახლო წარსულის) შემყურენი წუწუნით არ ირთობენ თავს.

არც ადრე მიჰყვებოდნენ დინებას – ჩაივლის ეს პოლიტიკური ნიაღვარი და რაც მის მერე დაილექება, ის ვიკმაროთო. პირიქით, სადაც შესაჭიდი და მაგრად დასადგომი იყო, დადგნენ და აქვთ ოთხი სატვირთო ავტომანქანა, ერთი ავტობუსი, ორი ტრაქტორი, სათესი, გუთანი, მარცვალგამწმენდი... მთელი დატვირთვით ამუშავეს და კარგი მოსავალიც მოიწიეს, თვითონ რომ კმაყოფილნი არიან, ისეთი.

სამი წყლის წისქვილი აქვთ.

ერთთან შევისვენეთ, სულ რამდენიმე წუთით და ამბავს მოგვიყვნენ ისეთს, ეჭვობ, ვერსად გაიგონო იქნებ.

ამ ჩაჩხრიალა არხზე აგებულ პატარა წისქვილის კარის თავზე სალებავით (თუ მურით?) წაუწერია თავის დროზე ყარამან წიკლაურს: „ცუდი საფქვავი კარგს აფუჭებს. გაასუფთავე!“

ფილოსოფიაა, ფილოსოფიური დებულება ზედ გამოჭრილი ადამიანების ყოფასა და საზოგადოებაზე, თუნდაც ერთი პატარა სოფლის მასშტაბით.

ყარამან წიკლაური ადგილობრივი ლეგენდაა, ყველა კარგი საქმის მოთავე და წამომწყები ყოფილა, და – პატიოსნების ეტალონი: სოფლის ფულით შინმოუსვლელთა ობელისკის აგება რომ დაუმთავრებია და სოფლელებისთვის ანგარიში ჩაუბარებია, მორჩენილი ხუთმანეთიანი იმ ობელისკზე მიუწვებებია – ახლა ბოლომდე გავსწორდითო.

ახლაც არის სოფელში ასეთი ხალხი და ისინი ეტყვიან მერე თბილისის გზაზე დამდგარ გია არსენიშვილს: ჩვენი ხალხი თუ ენდობა ვინმეს, ენდობა ბოლომდე, თუ დაემორჩილა, დაემორჩილება ბოლომდე. თუ უერთგულა, უერთგულებს ბოლომდე – დაუმორჩილებელიც, თუ საჭირო იქნა.

დაუმორჩილებელიც უერთგულებსო.

ხომ გავს ეს, კარგ სადღეგრძელოს? სადღეგრძელოც იყო, რაღა დაგიმალოთ, იერის კამხლის ჭალაში.

– ყველა პატარა სოფელში მისვლით, პატარა საქმის გაკეთებით დიდ საქმეში გაგიმარჯოსო, – ესეც უსურვეს.

კარგი საქმე კაცს წინ უსწრებს, ამბად.

რა საქმე გაკეთდა მაინც?

მისვლა უკვე საქმეა. დაპირებების ესტაფეტა რომ არ გამოვიდეს, ჯერ ადრე დანაპირებზე გეტყვით: გომბორში სკოლის სპორტდარბაზი გარემონტდა, სკოლის სახურავიდან წყალი აღარ ჩამოდის; სამთაწყაროშიც შეაკეთეს სპორტდარბაზი, იატაკიც დაუგეს და სპორტინვენტარიც შეუძინეს, წყალი მივიდა სოფელ ფიროსმანში და სადაცაა სამთაწყაროსაც მიაღწევს, უკვე მუშაობს ტელეფონი.

ტელეფონი პრობლემაა.

კოჭბანში კავშირგაბმულობის ამ სახეობაზე საუბრისას გაიხსენეს, რომ კომენისტების დროს სოფელში 50-აბონენტიანი სატელეფონო სადგურის დამონტაჟებას აპირებდნენ.

ეს კომუნისტური ფოლკლორი იყოო, აფასებს ამ „ისტორიულ დეტალს“ გია არსენიშვილი. – ამ სოფლის ხალხს ერთმანეთში ისეთი რა სალაპარაკო ჰქონდათ, მაინცა და მაინც ტელეფონით რომ შეეტყობინებინათ ერთმანეთისათვის?!

მთავარი და აუცილებელი რაიონთან, თბილისთან კავშირის დამყარებაა – ექსტრემალური მოხდება რამ, თუ სხვა, მეტად აუცილებელი მომენტებისა გამო. ასეთი კავშირი 1985 წელს რომ შეწყდა, მის აღდგენაზე არავის უფიქრია.

50 აბონენტი კოჭბანში მართლაც ფოლკლორი იყო.

რეალურად განსაჯეს იმ დღეს სტუმარ-მასპინძლებმა და სამხარეო ადმინისტრაცია თელავსა და თბილისს შორის გაყვანილი 38 ხაზიდან ერთ-ერთს აღადგენს კოჭბანის თემისათვის. გია ჩალათაშვილმა კი, მხარის მთავარმა ექიმმა, მეფური ჟესტით თავისი ახალთახალი პეიჯერი აჩუქა საკრებულოს – ჯერ ეს იხმარეთო.

სულ მალე ფირმა „ერიქსონი“ შემოვა კახეთში და ამ პრობლემას საბოლოოდ გადაჭრის: სოფლებში დაიდგმება ტელეფონები (სოფელში – ერთი), რომლითაც რაიონის ცენტრში და დედაქალაქში კი არა, მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში შეეძლებათ დარეკვა.

ოღონდ სოფელმა უნდა გადაიხადოს.

აი, გადახდა კი პრობლემაა. ტელეფონზე არ ვლაპარაკობ, თუნდაც – ელექტროენერგიის საფასურის გადახდაზე ვთქვათ.

– არ იხდიან. იმიტომ კი არა, რომ არ სურთ, ან არა აქვთ, არამედ იმიტომ, რომ ასეთი მენტალიტეტი ჩამოუყალიბდა აქაურ მოსახლეობას. ხან მეურნეობა (ძველ დროზე ვამბობ) გადაიხდიდა სოფლის ვალს, ხან – რაიონი. მიეჩვივნენ, რომ ეს სხვისი საქმეა, სხვისი მოსაგვარებელი. ელექტროენერგია უწყვეტად აქვთ. გადასახადს კი არ იხდიან.

– ეს თენგიზ ოქროცვარიძის სიტყვა-სიტყვით თუ არა, ნათქვამთან მიახლოებული ჩანაწერია არგადახდის მიზეზის ახსნისა.

არც მიწის გადასახადს წყალობენ. წლეულს მხოლოდ 200 ლარი აიკრიფა...

გატყდება, ალბათ, ასეთი სტერეოტიპი, რადგან სოფელმა იცის, რომ სახელმწიფო აღარ არის ის ერთადერთი პატრონი, რომელიც ისე გიმართავდა ხელს, რომ გეარსება, მაგრამ – ამის იქით არაფერი!

ახლა – გამოიღე ხელი და გამდიდრდი, თუ კაცი ხარ.

როგორც ჩანს, ამ ჭეშმარიტებას თანდათან ითვისებს სოფლის მოსახლეობა. აი, მაგალითად, გაუქმებულ საფერშლო პუნქტებში მომუშავე სამი ექთანი კი არ მოიძულეს, ინახავენ. სჭირდებათ და იმიტომ.

თემში ურთიერთდახმარების სალაროს მსგავსი რამ შექმნეს – ლხინისა და ჭირის გამო ფულის სასესხებლად კარდაკარ რომ არ ირბინოს ოჯახის პატრონმა.

სჭირდებათ და შექმნეს.

მაგრამ მძიმედ მოდის ამგვარი დამოკიდებულება ახალი პირობებისადმი.

ერთ სოფელში (არ დავასახელებ) გამგეობამ სკოლის ტუალეტის ასაგებად საშენი მასალა მიიტანა. სოფლის თავგამოდება – ჩვენს ბავშვებს ჩვენ თვითონ ავუშენებთო, შარშანდელი თოვლივით დადნა და ისევ გამგეობამ სხვა სოფლიდან დაიქირავა მუშები ამ მარტივი საქმის გასაკეთებლად.

ასეც ხდება.

* * *

ერთი სოფელი ნაქორწილევი იყო.

მეორე – თიბვაზე იყო წასული.

სიძეს წყაროსთან შევხვდით: რამაზ დიდებაშვილი (ნახეთ რა გვარია!), თემის საკრებულოს მდივანი, წუხელ დაქორწინდა.

ცოტა გაბრუებული ჩანდა – ბედნიერებითაც და სტუმრიანობითაც.

– მობრძანდით, მცირედით წამოვედითო წყაროზე.

მადლობა ვუთხარით. არ შეგვიწუხებია.

„ოთხმოცდახუთ
წელს კოჭბანში
მოვიდა სამი რძალიო,
ისეთი კარგები იყვნენ,
ყველას რჩებოდა
თვალიო“.

ეს სტროფი რამაზის სახუმარო ლექსიდან არის.

ლამაზი პატარძალი შემოვიდაო ოჯახში, გვითხრეს სოფელში, ბედნიერებას ვუსურვებთ დიდებაშვილების ახლადშექმნილ ოჯახს ჩვენც, ამ ორშაბათ დღეს ბარიდან ამოსულები.

„მთას ვიყავ,
მთობა ვერა ვქენ,
ახლა ჩამოველ ბარადა.“

ხალხურ მელექსეს უთქვამს.

ვეღარც მე ვთქვი მთის საკადრისი, მგონი.

ჩამოველ ბარად და აქედან ისეთი სიმაღლეა, ნამდვილად ვერ ასწვდები.

არმაზ სანებლიძე,
„სრ“ სპეც. კორ.

სურათებ[illegible] იორზე; ახლ[illegible] ძეგლი – ტექნიკა-ჯართი; გორანაულას რიყის გენერლები.

ჯემალ კასრაძის ფოტო.

---

* ალექსანდრე ნეკრესელაშვილი „გომბორელი მოლექსეები“, თბ. 1999 წ, გვ. 4.

საქართველოს ორგანული კანონი

„საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

I. „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1995 წ., №31-33, მუხ. 671) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 23-ე მუხლის მე-3 პუნქტში ციფრი „3“ შეიცვალოს ციფრით „5“.

2. 36-ე მუხლში სიტყვა „ელექტროენერგეტიკის“ შეიცვალოს სიტყვით „ენერგეტიკის“.

3. მე-40 მუხლის:

ა) მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. არჩევნებში მონაწილე პარტიების რიგითობა განისაზღვრება ბოლო საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პარტიების (ბლოკების) შედეგების შესაბამისი თანამიმდევრობით. თუ ბოლო საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე ბლოკი არჩევნებში მონაწილეობას აღარ იღებს, მისი ნომრით მონაწილეობის უფლება თანამიმდევრულად ენიჭებათ ბლოკის სიაში დასახელებულ პარტიებს. თუ საარჩევნო ბლოკში შედიან პარტიები, რომლებიც ბოლო არჩევნებში ცალ-ცალკე მონაწილეობდნენ, ბლოკის წესდებაში უნდა მიუთითონ ბლოკში შემავალი რომელი პარტიის უფლებით ისარგებლებენ რიგითი ნომრის მიკუთვნებისას. ამ შემთხვევაში რიგით მომდევნო პარტიები (ბლოკები) შესაბამისად გადაინაცვლებენ წინ“;

ბ) მე-9 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსით მე-10 და მე-11 პუნქტები:

„10. პარტიების (ბლოკების), გარდა ამ მუხლის მე-9 პუნქტში მითითებული პარტიებისა (ბლოკებისა), რიგითობა დგინდება წილისყრით, რომლის ჩატარების წესს ადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისია. წილისყრა ტარდება არჩევნებამდე არა უგვიანეს 45-ე დღისა. თუ ასეთი პარტიები შევლენ საარჩევნო ბლოკში, ისინი ბლოკის წესდებაში მიუთითებენ ბლოკში შემავალი რომელი პარტიის უფლებით ისარგებლებენ რიგითი ნომრის მიკუთვნებისას.

11. ოლქში წარდგენილი კანდიდატის რიგითობა დგინდება წილისყრით, რომლის ჩატარების წესს ადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისია. წილისყრა ტარდება არჩევნებამდე არა უგვიანეს 25-ე დღისა“.

4. 42-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საარჩევნო ბიულეტენები ზუსტად აღირიცხება. ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიები უზრუნველყოფენ შესაბამისად საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის ბიულეტენების გადაცემას. ყოველ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიას გადაეცემა შესაბამის საარჩევნო ოლქში, უბანში ამომრჩეველთა რაოდენობის შესაბამისი ბიულეტენები. ბიულეტენების მიღებას კომისიის თავმჯდომარე, მოადგილე ან მდივანი ადასტურებს ხელის მოწერით“.

5. 47-ე მუხლის მე-12 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „მათი სახელით“.

6. 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებში სიტყვები „მე-4 პუნქტშია“ შეიცვალოს სიტყვებით „დ“ ქვეპუნქტშია“.

7. 54-ე მუხლის:

ა) მე-6 პუნქტში ციფრი „5“ შეიცვალოს ციფრით „7“.

ბ) მე-7 პუნქტში სიტყვები „მას, რომელიც საარჩევნო ბიულეტენში რიგით წინ იყო“ შეიცვალოს სიტყვებით „იმ სიას, რომელმაც უფრო ადრე გაიარა რეგისტრაცია“.

8. კანონის გარდამავალ დებულებაში ციფრი „VIII“ შეიცვალოს ციფრით „IX“.

9. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 68-ე მუხლი:

„მუხლი 68.

1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში ამ კანონის მე-40 მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული პარტიების რიგითობა განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების პროპორციული სისტემით 1998 წლის არჩევნებში (ქალაქების თბილისის, ბათუმის, რუსთავის, ქუთაისის, ფოთის და რაიონების საკრებულოების შედეგების მიხედვით) მონაწილე პარტიების (ბლოკების) შედეგების შესაბამისი თანამიმდევრობით“.

II. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე, ხოლო I მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი – გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.
თბილისი, 1999 წლის 20 ივლისი.

საქართველოს ორგანული კანონი

„საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. „საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1995 წ., №31-33, მუხ. 673) მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი არ შეიძლება იყოს მოქალაქე, რომელიც უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში არ ცხოვრობს საქართველოში და არც ერთ ქვეყანაში არ დგას საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე“.

2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.
თბილისი, 1999 წლის 20 ივლისი.

საქართველოს კონსტიტუციური კანონი

საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

საქართველოს კონსტიტუციის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პარლამენტის წევრთა მანდატები განაწილდება მხოლოდ იმ პოლიტიკურ გაერთიანებებსა და საარჩევნო ბლოკებს შორის, რომლებიც პროპორციული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მიიღებენ მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 7 პროცენტს მაინც“.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.
თბილისი, 1999 წლის 20 ივლისი.

საქართველოს კონსტიტუციური კანონი

საქართველოს კონსტიტუციაში დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. საქართველოს კონსტიტუციის 70-ე მუხლის მე-10 პუნქტს სიტყვის „პირობები“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „აგრეთვე არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის დაუშვებლობა“.

2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.
თბილისი, 1999 წლის 20 ივლისი.

საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

I. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1984 წ., №12, მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. 165^4 მუხლის მე-2 ნაწილში სიტყვები „საბროკერო კომპანიების მმართველების, ბროკერების ან იმ პირების მიერ“ შეიცვალოს სიტყვებით „პირის მიერ“, ხოლო მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 ნაწილი:

„7. ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი ორგანოს მიერ ჩატარებული შემოწმების დროს ემიტენტის მიერ არსებითი მოვლენის შესახებ ინფორმაციის, ჩანაწერის ან დოკუმენტის დამალვა ან ფალსიფიცირება, – გამოიწვევს დაჯარიმებას 1500 ლარამდე“.

2. 165 მუხლის მე-7 ნაწილი ამოღებულ იქნეს.

3. 165^9 მუხლის მე-2 ნაწილი ამოღებულ იქნეს.

II. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.
თბილისი, 1999 წლის 20 ივლისი.

საქართველოს კანონი

„შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების ექსპორტის და რეექსპორტის რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

I. „შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების ექსპორტის და რეექსპორტის რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №25-26, 15.07.1998) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-2 მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „სპეციალური საბაჟო გადასახადის გადახდით“;

2. მე-3 და მე-6 მუხლები ამოღებულ იქნეს.

II. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.
თბილისი, 1999 წლის 20 ივლისი.

ექსკლუზივი

ანატოლი სობჩაკი: ჯუმბერ პატიაშვილს არა აქვს მორალური უფლება, იყოს საქართველოს პრეზიდენტი

(პირველი გვერდიდან)

გადაწყვეტილების მიღებაში მას უშუალო მონაწილეობა არ მიუღია.

როდესაც იგი 8 აპრილს ლონდონიდან დაბრუნდა მოსკოვში, ვნუკოვოში მას დახვდა პოლიტბიუროს და მთავრობის ყველა წევრი. გორბაჩოვმა აქვე უთხრა ედუარდ შევარდნაძეს – „საჭიროა გაფრინდე, იქ ძალიან რთული მდგომარეობაა და გადაწყვეტა ადგილზეა საჭირო, როგორც თქვენ ერთხელ უკვე გააკეთეთ“. მაგრამ ჩაერივნენ ლიგაჩოვი და ანატოლი ლუკიანოვი, რომლებმაც თქვეს, რომ განსაკუთრებული პრობლემები აღარ არის, რომ ესაუბრნენ ჯუმბერ პატიაშვილს, ბორის ნიკოლსკის, რომლებმაც დაადასტურეს, რომ დაიწყო მდგომარეობის განმუხტვა. თუმცა, არაფერი უთქვამთ, ყოველ შემთხვევაში შევარდნაძისთვის, რომ მიიღეს გადაწყვეტილება ჯარის გამოყენების შესახებ. პოლიტბიუროს სხდომაზე 7 აპრილს შევარდნაძე არ იყო. მე დარწმუნებული ვარ, იქ რომ ყოფილიყო, ჯარის გამოყენებას არ დაუშვებდა.

– ცოტა ხნის წინათ ბათუმში იყო ჩასული ალექსანდრე ლებედი, მიტინგის დარბევის ერთ-ერთი „გმირი“...

– ლებედს გადაწყვეტილების მიღებასთან და ანტიქართულ მოქმედებასთან პირდაპირი კავშირი არა აქვს. მე ვერ ვხედავ ვერაფერს იმის საწინააღმდეგოს, რომ იგი ჩამოვიდეს საქართველოში.

– სხვათა შორის, ჯუმბერ პატიაშვილმა შესაძლოა, სწორედ ბათუმური ოპოზიციიდან იყაროს კენჭი საპრეზიდენტო არჩევნებში.

– საერთოდ, ძნელი გადასაწყვეტია, აქვს თუ არა მორალური უფლება წამოაყენოს თავისი კანდიდატურა პრეზიდენტობაზე იმ ადამიანს, რომელმაც, ფაქტობრივად, უღალატა საკუთარ ხალხს.

კანონით მას აქვს კენჭისყრის უფლება, მაგრამ მორალურად, ვფიქრობ, ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა გააკეთოს. მას ხომ ერთხელ უკვე, კრიტიკულ სიტუაციაში, ფაქტობრივად, შეეშინდა, ჯარებს მიუგდო საკუთარი ხალხი [illegible]. პატიაშვილს რომ მკაცრად და გამოკვეთილად ეთქვა: „არ არის საჭირო ჯარის გამოყენება, ჩვენ თვითონ მოვაგვარებთ მდგომარეობას, მე თვითონ წავალ მოედანზე, დაველაპარაკები ხალხს, ჯობს მცემონ ან მომკლან, მაგრამ მე ხალხის ხელმძღვანელი ვარ, მე ხალხთან უნდა ვილაპარაკო ტანკების და იარაღის გამოყენების გარეშე“, შეიძლება ასეთი უბედურება არ მომხდარიყო. ასე უნდა მოქცეულიყო, არ უნდა დამალულიყო, არ უნდა ეყურებინა მთავრობის სასახლის ფანჯრებიდან, როგორ კლავენ მის თანამემამულეებს. დარწმუნებული ვარ, პატიაშვილს შეეძლო მდგომარეობის განმუხტვა, არ დაეშვა იარაღის გამოყენება.

– მოედანზე შეკრებილებში ხომ არ იყვნენ პროვოკატორები?

– ამის გამორიცხვა არ შეიძლება. შესაძლებელია, იყვნენ. მაგრამ საქმე, [illegible] უფრო ის არის, რომ ჯარები მოქმედებდნენ არა როგორც თავისი ხალხის დემონსტრაციის დამშლელნი, არამედ მოქმედებდნენ როგორც მტრის წინააღმდეგ მებრძოლნი. იქ იყვნენ ქალები და ბავშვები, მათ წინააღმდეგ კი გაუშვეს მედესანტეები, რომლებიც ახალი ჩამოსული იყვნენ ავღანეთიდან. ავღანეთში ისინი მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვას მიეჩვივნენ.

– გაქვთ თუ არა კონტაქტები ედუარდ შევარდნაძესთან?

– მუდმივად ვუგზავნით ერთმანეთს წერილებს. 9 აპრილს მე გავუგზავნე დეპეშა ამ მოვლენების 10 წლისთავთან დაკავშირებით, მან კი საქართველოში დამპატიჟა. მოსკოვსა და პარიზში ელჩების საშუალებით შევარდნაძე მოკითხვებს მიგზავნიდა. მისი მადლობელი ვარ მხარდაჭერისთვის.

– მაშ როდის გელოდოთ თბილისში?

– ვაპირებ ჩამოვიდე თბილისობაზე. ჩემთვის თბილისში ყოველი ჩამოსვლა დიდი სიხარულია.

– მიიღებთ თუ არა მონაწილეობას საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთში?

– მე კენჭს ვიყრი სახელმწიფო დუმაში. პრეზიდენტობის ამბიციები ჯერჯერობით არა მაქვს.

ახალი ამბების სააგენტო
პრაიმ-ნიუსი.

რეფორმა

საქართველოში გაგრძელდება ინტენსიური მუშაობა მოწინააღმდეგის და მისი საყრდენი ძალების, მათი კანონსაწინააღმდეგო გეგმების გამოვლენისა და აღკვეთისათვის

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის **ვახტანგ ქუთათელაძის** მოხსენება საქართველოს მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე 1999 წლის 22 ივლისს

ქვეყნის უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობის ძალისხმევით საქართველოში დემოკრატიული აღმშენებლობის განუხრელად გაგრძელებულმა პროცესმა და საგარეოპოლიტიკურ სფეროში მიღწეულმა წარმატებებმა იმ დესტრუქციული ძალების ადეკვატური რეაქცია გამოიწვია, რომლებიც კანონიერი ხელისუფლების ძალადობის გზით დამხობით, პრეზიდენტის და მმართველობის უმაღლეს თანამდებობის პირთა ფიზიკური ლიკვიდაციის მცდელობებით ცდილობენ ჩამოაშორონ საქართველო არჩეულ გზას. ასეთი საშიშროების შესახებ ამ ტრიბუნიდან თებერვლის თვეშიც ვთქვით, მაგრამ განვლილი ნახევარი წელი იმით არის ნიშანდობლივი, რომ ქვეყნის სპეცსამსახურების და სამართალდამცავი ორგანოების ძალისხმევით მოპოვებული ინფორმაციის შეჯერებითა და ერთობლივი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელებით ადრეულ სტადიაზე გამოვლინდა და აღიკვეთა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა. ზემოხსენებული ინფორმაციის რეალიზაციის პროცესში, ა.წ. 24 აპრილს, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა აღძრა სისხლის სამართლის საქმე პირთა ჯგუფის მიმართ სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით შეთქმულების მომზადების ფაქტზე.

დღესდღეობით, სხვა სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად განხორციელებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ბრალი წარედგინა და სასამართლოს ბრძანების საფუძველზე დაპატიმრებულია – 12, ხოლო იძებნება 2 პირი.

საქმეზე ჩატარებული წინასწარი გამოძიებით გამოიკვეთა შეთქმულების ორგანიზატორი იგორ გიორგაძე, რომელმაც სათანადო მატერიალურ-ფინანსური უზრუნველყოფის პირობით, შარშან სექტემბერში ამბოხების მომზადება დაავალა თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელს, გენერალ გუჯარ ყურაშვილს. სამხედრო აქცია ითვალისწინებდა საქართველოში 300 ბოევიკის შერჩევას, ეკიპირებას და მომზადებას სპეციალური დანიშნულების რაზმის პროგრამით. ამ მიზნით, ი. გიორგაძე საქართველოდან ჩასულ თავის ახლო მეკავშირეებს აძლევდა კონკრეტულ დავალებებსა და რეკომენდაციებს შეიარაღებისა და ტექნიკური აღჭურვილობის შეძენის თაობაზე.

აღნიშნულის პრაქტიკული განხორციელებისთვის ყურაშვილმა გიორგაძისაგან მიიღო გარკვეული თანხა და გადაუნაწილა იგი შეთქმულებისათვის შეგულებულ სხვადასხვა პირებს.

დანაშაულებრივი ჯგუფის ორგანიზებისა და მომზადების საკითხების უზრუნველსაყოფად აქტიურ საქმიანობას ეწეოდა ი. გიორგაძესთან დაახლოებული პიროვნება – თემურ პაპუაშვილი. საკუთარი კანონსაწინააღმდეგო საქმიანობის შენიღბვისა და კონსპირაციის დაცვის მიზნით ამ უკანასკნელმა წლევანდელ აპრილში ჩამოაყალიბა შპს „ქამელეონი“, რომელშიც გააერთიანა ყოფილი სადესანტო-მოიერიშე ბრიგადის წევრები: არჩილ ფანჯიკიძე, კახაბერ აფციაური, გიორგი გიორგაძე და სხვანი. სამოქმედო არეალის გაფართოებისა და ახალი მომხრეების მოზიდვის მიზნით შეთქმულნი მუშაობდნენ სხვადასხვა რეგიონებში. ასევე მუშავდებოდა მრავალმხრივი ურთიერთკავშირის სისტემა.

პარალელურად დაიწყო მოსახლეობის მძლავრი იდეოლოგიური დამუშავება, ი. გიორგაძის სახელის რეაბილიტაციისთვის ზრუნვა და ქვეყანაში ამბოხებისთვის სათანადო მორალურ-ფსიქოლოგიური ფონის შექმნა. ეს ამოცანა დაეკისრა მის ძირითად პოლიტიკურ დასაყრდენს – საქართველოს ერთიან კომპარტიას და ე.წ. „სახალხო პატრიოტულ ძალებს“, რომლებიც ცდილობდნენ იგი წარმოეჩინათ ჩვენს ქვეყანაში არსებული რეჟიმის უდანაშაულო მსხვერპლად. ამ მიზანს ემსახურებოდა რუსეთის პერიოდულ გამოცემებში და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გიორგაძის პიროვნების წარმოჩენისათვის გაშლილი კამპანია. სამწუხაროდ, ქართული მასმედიის დიდი ნაწილი მოუმზადებელი შეხვდა ამგვარ იდეოლოგიურ დივერსიას. გიორგაძის და მისი მხარდამჭერების ნააზრევი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ყოველგვარი კრიტიკული ანალიზის და კომენტარის გარეშე მიეწოდებოდა საქართველოს მოსახლეობას. ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში გავრცელდა საზღვარგარეთ მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე დამზადებული პლაკატები, რომლებზეც გიორგაძის გამოსახულებასთან ერთად გაკეთებული იყო წარწერები: „ჩვენ დავბრუნდებით“. „მომავალი ჩვენია“, მოსახლეობას თავს ახვევდნენ აზრს გიორგაძის საქართველოს პრეზიდენტად არჩევის აუცილებლობის შესახებ. ეს მოტივირებული იყო ყოვლად უსაფუძვლო დასკვნებით იმის თაობაზე, რომ მხოლოდ იგი შეძლებდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის უმტკივნეულოდ აღდგენას და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას. ამ საქმიანობაში ჩართული იყვნენ ცალკეული ოპოზიციური პარტიების ლიდერები და პარლამენტარები. აღსანიშნავია, რომ მათი საქმიანობა პოლიტიკური დავალებებისა და რეკომენდაციების შესრულებისათვის ფინანსირდებოდა გიორგაძისაგან.

სამხედრო და იდეოლოგიური ამოცანების გადასაწყვეტად საჭირო იყო შეთქმულთა პერიოდული შეხვედრები. ძიებით დადგენილია, რომ თავისი მოსკოველი მეკავშირეების დახმარებით, რომელთა შორის ფიგურირებდნენ სპეცსამსახურების თანამშრომლები, გიორგაძემ ორგანიზება გაუკეთა შეთქმულთა კონსპირაციულ შეხვედრებს მოსკოვში, მინსკსა და ბეირუთში. აღნიშნულ შეხვედრებზე დეტალურად აანალიზებდნენ საქართველოში შექმნილ ვითარებას და ადგენდნენ სახელმწიფო გადატრიალების გეგმას. განიხილავდნენ სამოქმედო პროგრამას არჩევნებამდე საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანის არდაშვებისა და NATO-ს ბლოკის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებისათვის, პარალელურად გათვალისწინებული იყო მუშაობის მაქსიმალური გააქტიურება ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებში. ხელქვეითებისადმი გიორგაძის ერთ-ერთი დავალება იყო არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე „სახალხო პატრიოტული ძალების“ ეგიდით ქ. თბილისში კავკასიელ ხალხთა ყრილობის ჩატარება, სადაც ეთნოკონფლიქტების მოგვარების პრობლემის ფონზე ნავარაუდევი იყო მისი სახელის წინ წამოწევა. საყურადღებოა, რომ ი. გიორგაძე თავის მოკავშირეებს ჰპირდებოდა მმართველობის ტოტალიტარული ფორმების აღდგენას, არ ერიდებოდა მუქარას, გამონათქვამებს ანგარიშსწორების თაობაზე.

ცხადია, იგორ გიორგაძე თავის დანაშაულებრივ საქმიანობას ვერ წარმართავდა ძლიერი მფარველების, მათ შორის, სპეცსამსახურების მხარდაჭერის გარეშე, რომლებმაც დაუმზადეს ყალბი დოკუმენტები და გაამგზავრეს სირიაში, საიდანაც ის კოორდინაციას უწევდა შეთქმულთა საქმიანობას.

საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების მზადების გამოვლენა-აღკვეთამ „სახალხო პატრიოტულ“ ძალებს და, განსაკუთრებით, ქართველ კომუნისტებს ხელისუფლებაში ძალისმიერი გზით მოსვლის ილუზია დაუმსხვრია. თუმცა, ისინი გამიზნულად ცდილობენ ხელისუფლების დისკრედიტაციას.

საყურადღებოა, რომ სსრკ აღდგენის გზაზე სეკპ-ის წევრებს ერთ-ერთ ეტაპად მიაჩნიათ საქართველოს გაერთიანება რუსეთ-ბელორუსის კავშირში, მაგრამ არა როგორც ერთიანი სახელმწიფოს, არამედ ცალკეული სუბიექტების სახით, რომლებსაც მათი აზრით წარმოადგენენ: აჭარა, აფხაზეთი, სამაჩაბლო, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი და ა.შ. საერთო ჯამით, სსრკ აღდგენის აპოლოგეტების აზრით, იგი უნდა შედგებოდეს 35-40 სუბიექტისგან (მათ შორის – ყარაბაღი, ჩეჩნეთი, თათრეთი და ა.შ.).

დაფიქსირებულია, რომ ერთიანი კომუნისტური პარტიის ცალკეულ ხელმძღვანელთა საჯარო გამოსვლებში შენიღბული ფორმით შეიმჩნეოდა კონსტიტუციური წყობილების დამხობისა და ძალადური შეცვლისკენ მიმართული მოწოდებები. აღნიშნული პიროვნებების მიმართ განვახორციელეთ სათანადო პროფილაქტიკური ღონისძიებები. მოყვანილის ანალიზი კიდევ ერთხელ ნათლად ადასტურებს, რომ სეკპ-ს იდეოლოგიურად ხელმძღვანელობდნენ, მორალურად და გარკვეულწილად მატერიალურადაც უჭერდნენ მხარს რუსეთის მემარცხენე-რადიკალური ძალები. ამ კონტექსტში გარკვეულად საინტერესოა ამონარიდი რუსეთის ფედერალურ საკრებულოსთან არსებული კავკასიის საქმეთა მუშა ჯგუფის ხელმძღვანელის, ვინმე ვამშენკოს პუბლიკაციები, რომელშიც იგი აღნიშნავს: „... Моя деятельность в рабочей группе по делам Кавказа последовательная и осмысленная борьба с режимом Э.Шеварднадзе. Поэтому главная задача состоит в уничтожении территориальной целостности Грузии, т.е. расчленении ее на несколько частей“.

ვფიქრობთ, ეს ამონარიდი კომენტარს არ საჭიროებს, მაგრამ რაოდენ სამწუხაროა, რომ ხსენებული ძალები თავის დასაყრდენს ჩვენს თანამემამულეებში პოულობენ.

ბატონებო, ვამთავრებ რა ამ უკიდურესად მნიშვნელოვან საკითხებზე საუბარს, მინდა აღვნიშნო, რომ, ჩვენი აზრით, საზოგადოებამ სწორად აღიქვა და მხარი დაუჭირა სამართალდამცავების ენერგიულ და სწრაფ პრევენტულ ზომებს. მართალია, ზემოხსენებულთან დაკავშირებით ზოგიერთებმა „შავი ძალები“ გვიწოდეს, მაგრამ ასეთი შეფასება კაცისგან, რომელმაც ბოლო ათ წელიწადში 3-ჯერ მაინც შეიცვალა ფერი და პოზიცია, საწყენი არ არის.

ამ შემთხვევაში მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება ე.წ. „სახალხო-პატრიოტული“ ძალების საქმიანობაში გამოვლენილ ტენდენციაზე. ისინი ცდილობენ წამებულის გვირგვინი დაიდგან, სურთ საკუთარი თავი ხელისუფლების მიერ დევნილებად წარმოაჩინონ, უკვირთ, რომ აქამდე არ „გაასაღეს“. იმავე დროს, „კოსტა დასტურიძესავით რიხიანად აცხადებენ, რომ „კლინტონისაც კი არ ეშინიათ“. ეჭვგარეშეა, ამ ბატონებმა კარგად იციან, ვინ არიან „გამსაღებლები“ – მათი ნაწილი დღეს სახელს იხდის, ნაწილი კი მინაური და გარეული „შავი ძალების“ დახმარებით ახერხებს დამალვას. პათეტიკურად მიმართავენ ღმერთს და პატრიარქს საკუთარი უდანაშაულობის შესახებ. იქნებ ჯობდეს, თავი ანებონ ფარისეველურ განცხადებებს და ამცნონ სამართალდამცავ ორგანოებს და საზოგადოებას, რაზე ბჭობდნენ უცხოეთის ფეშენებელური სასტუმროების ნომრებში ერთად ჩაკეტილი „პატრიოტები“ და ტერორისტები.

აქვე ერთ პატარა, მაგრამ მნიშვნელოვან დეტალზე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება. იდეოლოგიური კამპანიის შემადგენელ ნაწილად იქცა პარტიულ მეტსახელთა შერქმევის ავადსახსენებელი ტრადიციის აღდგენა. სახელებს, ძირითადად, ი. გიორგაძე არქმევს. ქართველ „ეროვნულ კომუნისტთა“, „მარქსის“, „ენგელსის“ და სხვათა გასაგონად ვაცხადებ: თავი ანებეთ, ბატონებო, საქართველოს დაშლა-დანაწევრიანებაზე ფიქრს, ნუ ოცნებობთ სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში გუბერნიების სახით მის შეყვანაზე. თქვენი მცდელობა განწირულია.

უცხო სპეცსამსახურებისა და მათთან დაკავშირებული დესტრუქციული ძალების მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიმართული მიზნების განხორციელებაში ჩვენი თანამემამულეების გამოყენების ნათელი მაგალითია 1998 წლის 19 ოქტომბრის შეიარაღებული ავანტურა, რომლის მონაწილეებსაც პრეზიდენტის და ხელისუფლების კეთილი ნებით შეეცვალათ აღმკვეთი ღონისძიება, მიეცათ საკუთარ ოჯახებში დაბრუნების და მშვიდობიანი შრომით ჩადენილი დანაშაულის მონანიების შესაძლებლობა.

ტერორიზმთან ბრძოლის პრობლემატიკის განხილვისას უმნიშვნელოვანესი მომენტია მისი გამომწვევი მიზეზების ანალიზი. საქართველოსა და, მთლიანად, კავკასიისადმი ტერორისტული ორგანიზაციების ყურადღების ზრდის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ჩვენი ქვეყნისა და მისი მეგობარი სახელმწიფოების მიერ გატარებული დამოუკიდებელი პოლიტიკა, ტრასეკას პროექტის თანდათანობითი ხორცშესხმა, კასპიის დიდი ნავთობის საქართველოს ტერიტორიაზე გატარების რეალობად ქცეული შესაძლებლობა, რასაც შედეგად მოჰყვა საქართველოსა და მისი სტრატეგიული მოკავშირეების საერთაშორისო ავტორიტეტის არნახული ზრდა. ყოველივე ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო ხასიათის აუცილებლობაზე. დამოუკიდებელი საქართველოს ახალგაზრდა სპეცსამსახურებს დიდ სარგებლობას მოუტანს თანამშრომლობა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ანალოგიურ სამსახურებთან, მაგრამ დღევანდელ ეტაპზე გამოცდილების გაზიარება და ცალკეული ერთობლივი ოპერაციების ჩატარება უკვე აღარ არის საკმარისი. საქართველოს გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ, მის ტერიტორიაზე დიამეტრალური ორიენტაციის მქონე ძალთა სასიცოცხლო ინტერესების გადაკვეთამ დღის წესრიგში დააყენა ჩვენს ქვეყანაში ტერორიზმთან ბრძოლის საერთაშორისო ქმედითი სტრუქტურის შექმნა. პრეზიდენტის დავალების საფუძველზე, პრაქტიკულად გადაწყვეტილია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის რეგიონული ცენტრის დაფუძნება საქართველოში. ჩვენი ღრმა რწმენით, ხსენებული ცენტრი საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მძლავრი ინსტრუმენტი იქნება საქართველოსა და მისი მოკავშირეების ხელში.

განვლილ პერიოდში სამინისტროს კონტრდაზვერვის სამსახურმა გამოავლინა უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების კანონსაწინააღმდეგო საქმიანობა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ სფეროებზე ზეგავლენის მოხდენის თვალსაზრისით. დაფიქსირდა მათი მცდელობა:

– ოპოზიციური პრესის საშუალებით პარლამენტის ერთ-ერთი წევრის კომპრომეტაციისათვის;

– გავლენის აგენტურის და თურქმესხთა ორგანიზაციების ლიდერთა რიცხვიდან პირადი კავშირების მეშვეობით ქვეყანაში დაძაბულობის ახალი კერის შექმნის და ხელისუფლების კომპრომეტაციისთვის;

აღნიშნული მცდელობები დროულად იქნა ლოკალიზებული.

სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დამნაშავეთა ძებნა. განხორციელებული ღონისძიებებით დაკავებულია რამდენიმე ძებნილი, კომპეტენციის ფარგლებში სათანადო ინფორმაცია გადაეგზავნა შინაგან საქმეთა ორგანოებს.

სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საიდუმლოების დაცვის მექანიზმის სრულყოფას. სამინისტროში არსებული მასალების ანალიზი მოწმობს, რომ „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ კანონის მოთხოვნები ჯერ კიდევ უხეშად ირღვევა მთელ რიგ უწყებებსა და დაწესებულებებში. გასათვალისწინებელია, რომ საიდუმლოებასთან ურთიერთობისას არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან ერთი მნიშვნელოვანი მომენტი – ყველა სახელმწიფო უწინარესად საკუთარი ინტერესების მაქსიმალური უზრუნველყოფისთვის ზრუნავს.

კონსტიტუციური წყობილების დაცვის ხაზით გაწეულ მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სათანადო პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია საქართველოში ეთნიკური და რელიგიური შუღლის ჩამოგდებისა და იმ არატრადიციული რელიგიური სექტების საქმიანობის ნეიტრალიზებაზე, რომელთა მოქმედება ხშირად ანტისახელმწიფოებრივი ხასიათისაა. გამოვლენილია ფაქტები, რომლებიც ადასტურებენ სხვა მიმართულებებთან ერთად სამეცნიერო-ტექნიკური არხების გამოყენებას დესტაბილიზაციისა და ეთნოკონფლიქტების პროვოცირების პერსპექტივების შესწავლის მიზნით.

ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, ახლო მომავალში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში საკუთარი ემისრების შემოგზავნას გეგმავენ ვაჰაბიზმის გამავრცელებელი ცენტრებიც.

ვფიქრობთ, რომ სხვადასხვა რელიგიური კონფესიების მოღვაწეობის სფეროში უკვე მომწიფდა სათანადო საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბების აუცილებლობა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს სახელმწიფო ინტერესებს, უზრუნველყოფდეს ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების დაცვას, სხვადასხვა რელიგიის მიმდევართა მშვიდობიან თანაარსებობას.

საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა მუშაობა საბიუჯეტო კრიზისის დაძლევის, კორუფციასთან ბრძოლის და ეკონომიკური უშიშროების უზრუნველყოფის მიმართულებით. ამ სახის დანაშაულთა შორის დღეისათვის ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს კონტრაბანდა.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს კონტრაბანდის ხაზით წარმოებაში აქვს 110 სისხლის სამართლის საქმე. აქედან სამრეწველო საქონლის კონტრაბანდაზე აღძრულია 76 სსს, ნარკოტიკული ნივთიერებების კონტრაბანდაზე – 30, იარაღის კონტრაბანდაზე – 3, ხოლო ოქროს ნაკეთობათა კონტრაბანდაზე – 1.

შარშანაც და წლეულსაც ინარჩუნებდა თავის აქტუალობას ეთილის სპირტის კონტრაბანდა, რის საფუძველზეც საგამოძიებო სამსახურმა აღძრა სისხლის სამართლის საქმე ირლანდიის ფირმა „პანელ ინდუსტრიალ ინკ“-ის მიერ ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედებების გამო, გამოვლენილი დარღვევებისათვის ყადაღა აქვს დადებული ფირმის 3 მილიონი ლარის ღირებულების ეთილის სპირტს. საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება. საგადასახადო სამსახურმა ფირმას დაარიცხა 8 396 000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ამავე კონტექსტში განიხილება „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ მიერ ფიქტიური ტრანზიტის გამოყენებით რეალიზებული ეთილის სპირტის შედეგად გადასახადების ნაწილის დამალვის ფაქტი. მოპოვებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ფირმას, საგადასახადო სამსახურის მიერ ჩატარებული რევიზიის შედეგად, ბიუჯეტის სასარგებლოდ დაერიცხა 1 551 300 ლარი. მასალები გადაგზავნილია პროკურატურაში.

სერიოზულ მასშტაბებს ინარჩუნებს ხე-ტყის კონტრაბანდაც. საგამოძიებო სამსახურმა აღძრა სისხლის სამართლის საქმეები სამცხე-ჯავახეთის და იმერეთის რეგიონებიდან დიდი ოდენობით ხე-მასალის საზღვარგარეთ კონტრაბანდული გზით გატანის ფაქტზე. პასუხისგებაში მიცემულია 7 პირი.

მოყვანილთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოდან ხე-ტყის მასიურ გადინებაზე არსებული ნორმატიული აქტებისა და კონტროლის სისტემა არასრულფასოვანია, რამაც მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზარალის გარდა შესაძლოა ეკოლოგიურ კატასტროფამდეც მიგვიყვანოს. დადგენილი გვაქვს, რომ ხე-ტყის ბიზნესით დასაქმებული პირები ხელოვნურად ამცირებენ შესასყიდი ნედლეულის ფასს.

მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ნავთობპროდუქტების კონტრაბანდას. ჩვენს მიერ მოკვლეული მასალების მიხედვით 1998 წელს შპს „საველიჩმა“ 2 900 ტ. ბენზინისა და 3 000 ტ. ნაფტას შემოტანისა და შემდგომი რეალიზაციის მიზნით გააფორმა საკრედიტო ხელშეკრულებები „საქართველოს ბანკიდან“ და „აბსოლუტბანკთან“ შესაბამისად 500 ათასი და 1 200 000 აშშ დოლარზე. ამასთან, ორივე შემთხვევაში გირაოს სახით „საველიჩმა“ წარადგინა ხსენებული ნაფტა, რაც უკვე სამართალდარღვევას წარმოადგენს. გარდა ამისა, დადგინდა, რომ აღნიშნული ნაფტა შპს-მ შემოიტანა კონტრაბანდული გზით, გაყალბებული ინვოისის გამოყენებით, რისთვისაც საგადასახადო სამსახურმა მას ბიუჯეტის სასარგებლოდ 300 000 ლარის გადახდა დააკისრა.

მოკვლევის პროცესში გამოიკვეთა სერიოზული სამართალდარღვევები „აბსოლუტბანკის“ საქმიანობაში. გამოვლინდა „საველიჩის“ და „აბსოლუტბანკის“ ხელმძღვანელ პირთა ურთიერთშეთანხმებული მოქმედება. ზემოაღნიშნული მასალების საფუძველზე საგამოძიებო სამსახურში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, მიმდინარეობს ძიება.

ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, მიმდინარე წლის მაისში ცხინვალის რაიონის სოფელ ზემო აჩაბეთში რეალიზაციისას დააკავეს და ამოიღეს 176 ათასი კოლოფი კონტრაბანდული გზით შემოტანილი იმპორტული წარმოების უაქციზო სიგარეტი. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

ყურადღებას იმსახურებს საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმე, საბაჟო საზღვარზე სხვადასხვა დანიშნულების სასურსათო და სამრეწველო საქონლის კონტრაბანდული გზით გადმოტანის, განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლების დამალვის და ასევე დიდი ოდენობით საბაჟო გადასახადებისაგან განმეორებით თავის არიდების ფაქტზე. საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ქ. თბილისის შპს „დომინიონ ჯორჯია კომპანის“ და შპს „მერი გოლდის“ მიერ სახელმწიფო ბიუჯეტისათვის მიყენებული ზარალი შესაბამისად შეადგენს 1 760 000 და 184 000 ლარს. დანაშაულის ჩადენისთვის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემულია 9 პირი, აქედან ერთი ირანის მოქალაქე. სახელმწიფოსთვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად ამოღებულია 75 000 ლარი და 652 000 ლარის ღირებულების კონტრაბანდული საქონელი, ხოლო 348 000 ლარის ღირებულების საკვებად უვარგისი უცხოური წარმოების ძეხვი განადგურდა არსებული წესით.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რა მასშტაბის კონტრაბანდული ტვირთის ბრუნვასთან გვაქვს საქმე, მოვიყვან ერთ მაგალითს. შიდა ქართლში ჩვენი თანამშრომლების მონაწილეობით ჩატარდა რეიდი, რომლის შედეგადაც მხოლოდ ერთ დღეს (10 ივლისს) გამოვლენილი და საბაჟო ტერმინალში შეყვანილ იქნა 64 სატვირთო და მსუბუქი ავტომანქანა, რომლებსაც გადაჰქონდათ 130 000 ლარის ღირებულების განუბაჟებელი საქონელი.

წლევანდელ აპრილში მოპოვებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე გამოვლენილია ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის თანამშრომლის მიერ ჩადენილი დანაშაული საბანკო ფინანსური მაქინაციების გზით 80 ათასი ლარის მითვისების ფაქტზე. აღნიშნულ კანონდარღვევასთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

დასრულდა შპს „ელსავაკო“-ს („ლილოს ბაზრობა“) ხელმძღვანელთა საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევების მოკვლევა ბიუჯეტში ჩარიცხულია 539 000 ლარი.

საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა შპს „იბერია ინნ“-ის საქმიანობაში სერიოზული ეკონომიკური კანონდარღვევები, რის შედეგადაც მის ერთ-ერთ დამფუძნებელს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაერიცხა 330 000 ლარი. მიმდინარეობს მუშაობა სხვა დამფუძნებელთა საქმიანობაში შესაძლო კანონდარღვევათა გამოვლენის მიზნით.

ანალოგიური ხასიათის ინფორმაციათა რეალიზების შედეგად, სს „აგორა კორპორაციას“, შპს „ტერმინალ პორტი დიდუბეს“, „ბუმი-2“ (ჩაის სახლი), „ვარკეთილი-96“-ს, „გოლდენ ფუდის“, „შრომას“, „სიგმენს“, „მცირე აკადემიას“ და ფაბრიკა „მერანს“ ბიუჯეტის სასარგებლოდ დაერიცხათ საერთო ჯამში 550 000 ლარზე მეტი. თანხა ამოღებულია.

ზემოთ აღნიშნული მსხვილი ეკონომიკური ობიექტების საქმიანობაში არსებული კანონდარღვევების გამოვლენის გარდა, ხორციელდებოდა ღონისძიებები ინდივიდუალურ მეწარმეთა შორის ეკონომიკური ხასიათის დანაშაულის გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით. აღნიშნულის შედეგად მეწარმეთა ხსენებულ კატეგორიას ბიუჯეტის სასარგებლოდ სულ დაერიცხა 267 000 ლარი, საიდანაც ბიუჯეტში უკვე გადარიცხულია 127 000 ლარი.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ისეთ საშიშ დანაშაულს, როგორიც არის ნარკოტიკული ნივთიერებების კონტრაბანდა. სისხლის სამართლის საქმეზე კონტრაბანდის, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკულ საშუალებათა გასაღების მიზნით უკანონო შეძენის, შენახვის, გადაზიდვის, აგრეთვე, უკანონო გასაღების და დანაშაულის განუცხადებლობის ბრალდებით პასუხისგებაში მიცემულია 7 პირი. აქედან ერთი თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე. სულ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ჩვენს მიერ ამოღებულია: ჰეროინი – 244 გრ; ოპიუმი – 1 883 გრ; მარიხუანა – 438 გრ; დიდი ოდენობით ტრამალი, კოდეინი და სხვა, რომელთა საერთო ღირებულება შავ ბაზარზე შეადგენს 200 000 ლარს.

უნდა აღინიშნოს, რომ შარშანდელთან შედარებით საგრძნობლად იმატა დანაშაულის შედეგად სახელმწიფოსთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოღებული თანხების ოდენობამ. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხულია 1 547 000 ლარი, უშიშროების სამინისტროს დეპოზიტზე შესანახად შეტანილია 288 243 ლარი და 37 435 დოლარი, ხოლო ამოღებული საქონლის ღირებულებამ შეადგინა 4 105 000 ლარი.

წლეულს მოკვლეული მასალების საფუძველზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე კონტრაბანდის კვალიფიკაციით „საქენერგოსა“ და რუსთავის „ქიმკომბინატს“ შორის ურთიერთჩათვლების მოტივით 1996 წ. ჩატარებულ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებზე აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან „საქენერგოს“ კუთვნილი ტვირთის საქართველოს ტერიტორიაზე გავლით თურქეთში გატანასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია „საქენერგოს“ ხელმძღვანელობის გაუმართლებელი დამოკიდებულება აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, რომელიც, ზარალის ანაზღაურების მიზნით გამიზნული მუშაობის ნაცვლად, ცდილობს უკვე არარსებული ფირმის მეშვეობით დამალოს დანაშაული. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

საანგარიშო პერიოდში პრეზიდენტის უშუალო დავალების საფუძველზე მიმდინარეობდა და წარმოებით დასრულდა თბილსრესის მე-9 ენერგობლოკზე მომხდარი ხანძრის ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამოძიება. თანამდებობრივი დანაშაულის ჩადენისთვის პასუხისგებაში მიცემულია 5 პირი. სახელმწიფოსთვის მიყენებულმა ზარალმა 979 000 ლარი შეადგინა. საქმე ამჟამად სასამართლოშია.

სამინისტროში მიმდინარეობს საქართველოს საზღვაო სანაოსნოსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციების მძიმე საფინანსო მდგომარეობის გამომწვევი მიზეზების შესწავლა. არსებული მასალების ანალიზი, რომელიც მოპოვებულია როგორც ჩვენთან, ისე საზღვარგარეთ, ცხადყოფს, რომ საქართველოს საზღვაო სანაოსნო ფაქტობრივად ემსახურებოდა გარკვეული ვიწრო ჯგუფის პიროვნულ ინტერესებს. გამოვლენილია სანაოსნოს მიერ აღებული კრედიტების არადანიშნულებითა და არაეფექტიანად განკარგვის ფაქტები, რაც წინასწარვე კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა სანაოსნო ფლოტის შემდგომ არსებობას. მოკვლეული მასალები გადაგზავნილია პროკურატურაში.

ჩემი გამოსვლის დასასრულს მინდა აღვნიშნო, რომ ყოველივე ზემოხსენებულის საფუძველზე სახელმწიფო უშიშროების სამინისტრომ განსაზღვრა თავისი საქმიანობის ძირითადი პრიორიტეტები მიმდინარე წლის მეორე ნახევრისა და უახლოესი მომავალისათვის. კერძოდ, გაგრძელდება ინტენსიური მუშაობა მოწინააღმდეგის და მისი საყრდენი ძალების, მათი კანონსაწინააღმდეგო გეგმების გამოვლენისა და აღკვეთისათვის. ამ მიზნის მისაღწევად ჯერ კიდევ საჭიროა თვისობრივი გარდაქმნების განხორციელება, რათა სამინისტრო ჩამოყალიბდეს ისეთ უწყებად, რომელიც შეუქმნის ქვეყანას უსაფრთხოების დაცვის მყარ გარანტიებს.

მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების ფონზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სპეციალურ ღონისძიებებს, რომლებიც უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს სხვა სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად არჩევნების პროცესში საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების, საქართველოს მოქალაქეთა საარჩევნო უფლებების უზრუნველყოფის, შესაძლო ანტიკონსტიტუციური ქმედებების, მათ შორის, ვითარების დესტაბილიზაციის მცდელობების დროული გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ჩვენ გავიელით სპეციალურ კონსულტაციებს უცხოელ სპეციალისტებთან, რათა არჩევნების პროცესში საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მოქმედება სრულად შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებსა და ნორმებს.

ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად კვლავ რჩება კორუფციის და ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, სათანადო ღონისძიებების განხორციელება საბიუჯეტო კრიზისის დაძლევის მიზნით.

განსაკუთრებით ხაზს ვუსვამ იმ გარემოებას, რომ სამინისტროს პრიორიტეტებს შორის მოწინავე ადგილი უკავია ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, კანონიერების დაცვას.

მინდა მოგახსენოთ, რომ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს პირადი შემადგენლობა მობილიზებულია აღნიშნული ამოცანების ხორცშესხმისა და ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფისთვის.

უფალო, როგორ დაგვღალე!

ოდესღაც სამყაროს ცენტრი იყო დედამიწა, შემდეგ — მზე. მერე ადამიანები ფიქრობდნენ, რომ ჩვენი სამყარო უნიკალური და განუმეორებელია. ახლა ეს მოსაზრებაც წარსულს ჩაბარდა.

საინტერესო დროში ვცხოვრობთ! თითქოს ეკლესიისა და მეცნიერების ოთხსაუკუნოვანი მტრობა, რომელიც ინკვიზიციის მიერ დანთებული კოცონებით დაიწყო, დასასრულს უახლოვდება. ყოველ შემთხვევაში, ამას წინათ რომის პაპმა გვაუწყა, სარწმუნოება და მეცნიერება დაზავდნენო. თუმცა, ვინ იცის, რა აზრი შეექმნება, თუ უფრო დაწვრილებით გაეცნობა ღმერთის ბუნების შესახებ ასტრონომთა დასკვნებს...

სამყაროს ცომი

— ახლა კი ვიცი, როგორ შექმნა ღმერთმა სამყარო! — ამ სიტყვებით მიმართა ანდრია ლინდემ ცოლს (ასევე ფიზიკოსს) შორეულ 1983 წელს, როცა თეორიულად მიაგნო სამყაროს ჩამოყალიბების ძირითად მექანიზმს — „კოსმოსურ ჰიპერინფლაციას“.

იმ დროს ლინდე ჯერ კიდევ მოსკოვში ცხოვრობდა. და როცა თავის მოსაზრებებს კოლეგებს უზიარებდა სამეცნიერო კონგრესებზე, მას ისე უყურებდნენ, როგორც კოსმოლოგიის შარლატანს.

— ხშირად, სრული იდიოტი მეგონა თავი, — გამოტყდა ლინდე.

სამაგიეროდ დღეს ლინდე წინასწარმჭვრეტად არის აღიარებული. ამჟამად იგი სტენფორდის (კალიფორნია) ელიტური უნივერსიტეტის პროფესორი და ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტიანი კოსმოლოგია, რომელიც სწავლული გურუს დაფნის გვირგვინს თვით სტივენ ჰოკინგს ეცილება.

ასეთი დონის სწავლული ქცევის თავისებურებით გამოირჩევა სამეცნიერო საზოგადოებაში. ამიტომ არავინ არ გამოხატავს აღშფოთებას იმის გამო, რომ სტოკჰოლმის ნობელის სიმპოზიუმზე მოხსენების დროს ლინდე მოულოდნელად სახტად ტოვებს აუდიტორიას ფოკუსით, როცა შუბლზე მიიდებს ნემსს და თვალის დახამხამებაში ხელის მარჯვე მოძრაობით უკვე კეფიდან გამოიძრობს მას. ასეა თუ ისე, ახირებულობამ ლინდეს — ასტროფიზიკის ამ შეუდარებელ „მოუსვენარ ბავშვს“ — უამრავი თაყვანისმცემელი შესძინა. „იგი რუსია, ამით კი ბევრი რამ აიხსნება“, — ხელს ჩაიქნევენ ხოლმე უფრო სერიოზული კოლეგები, და პატიობენ ზოგიერთ გამოხდომას.

კოსმოსური ინფლაციის ლინდესეული თეორია გასაგებს ხდის, თუ რატომ გახდა სამყარო ასეთი უზარმაზარი და გვიკარნახებს, არაორგანიზებული პირველმატერიიდან როგორ წარმოიქმნა ვარსკვლავები და გალაქტიკები.

პირველი კოსმოსური სტრუქტურები ჩამოყალიბდა ეგრეთ წოდებული შავი მატერიისაგან. მისი შემადგენლობა ჯერ კიდევ გამოცანად რჩება. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ასეთი არამნათი მატერია არსებობს და თანაც სამყაროს დიდ ნაწილს შეადგენს. ასტრონომ ბენდერის შეფასებით, „სამყაროს მასის ოთხმოცდაათი, და იქნებ ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტიც კი მისგან შედგება“.

სწორედ შავი მატერიის საიდუმლოება არ აძლევდა დიდხანს საშუალებას მეცნიერებს განეჭვრიტათ სამყაროს ბედი. შავმა მატერიამ ხომ თავისი მასით უცილობლად უნდა ჩარაზოს სამყარო.

მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ კოსმოსის გაფართოება არასდროს არ შეჩერდება. ასტროფიზიკოსებმა ასეთი დასკვნა გამოიტანეს შორეულ ვარსკვლავებზე დაკვირვებისას. როგორც მათმა გაზომვამ დაადასტურა, გალაქტიკები ისეთი სისწრაფით შორდებიან ერთმანეთს, რომ შავი მატერიის გრავიტაციის ვერანაირი ძალა ვერ შემოაბრუნებს მათ — სამყაროს გაფართოება არ შენელდება. — მაგრამ ჩვენ კიდევ უფრო დიდი მოულოდნელობა გველოდა, — თქვა ასტრონომმა ლიაიბუნდგუტმა. — ჩვენი სამყარო სულ უფრო სწრაფად ფართოვდება, თუმცა, სიმძიმის ძალა, აგერ უკვე მილიარდობით წელია, ცდილობს მის დამუხრუჭებას, ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს სადღაც, კოსმოსის შიგნით, ჩამალულია საიდუმლო ძრავი, რომელიც აჩქარებს მის მოძრაობას.

რა ძალა უნდა იყოს ეს, რომელიც მუდამ აჩქარებს ჩვენს სამყაროს?

ჯერ კიდევ ალბერტ აინშტაინი ფიქრობდა იმაზე, რომ ჩანს, არსებობს რაღაც დამატებითი ენერგია, რომელიც მან „კოსმოლოგიურ კონსტანტად“ მონათლა და 1917 წელს შეიტანა იგი ფარდობითობის თეორიის ზოგიერთ ფორმულაში, რათა გაესწორებინა მათში ერთიორი შეუსაბამობა. მაგრამ ამ კონსტანტების არსებობის დასაბუთება დიდმა აინშტაინმა მაინც ვერ შეძლო. მოგვიანებით მან ამას „ჩემი ცხოვრების უდიდესი სისულელე“ უწოდა.

მაგრამ, როგორც ჩანს, ეს „სისულელე“ არსებობს! მისი მოქმედება თავს იჩენს უზარმაზარ კოსმოსურ სივრცეში, მექანიზმი კი მეცნიერებისათვის ჯერჯერობით გაუგებარია. ვარაუდობენ, რომ თავად სიცარიელე, ვაკუუმი „ხეთქავს“ სივრცეს, აფართოებს მას.

ამერიკელი მკვლევარი მარიო ლივიო უჩივის იმას, რომ ეს კოსმოლოგიური კონსტანტა მას „ყელში ამოუვიდა“. მაგრამ ვერ აუხსნია, რატომ ფართოვდება სამყარო შეუჩერებლად დიასახლისის მიერ მომზადებული ცომივით. სხვა მეცნიერებს ეს გარემოება, პირიქით, სიხარულს გვრის. მაგალითად, ჰარვარდელი ასტრონომი კირშნერი ამბობს, რომ ბოლო თვეების განმავლობაში ადამიანებს „გაცილებით უკეთ ესმით სამყაროსი, მაგრამ კოსმოსიც „ბევრად უფრო საიდუმლოებით მოცული აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენ გვეგონა“.

ბოლო დაკვირვებათა შედეგები მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ კოსმოსის მთელი დაჯამებული ენერგიის თითქმის სამი მეოთხედი მოდის ამ იდუმალი ძალის წილად, რომელიც არაფრისგან, სიცარიელისგან, ვაკუუმისაგან წარმოიქმნება.

იქნებ არაფერია სწორედ ღმერთი?

მეორე კოპერნიკული რევოლუცია

არის ასტროფიზიკაში ასეთი ცნება — „ანთროპული პრინციპი“, ანუ „ადამიანის პრინციპი“. იგი დაახლოებით ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: ჩვენი სამყარო, ასეთი სწორედ იმიტომ არის, რომ ჩვენ ვარსებობთ მასში. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ფიზიკოსები სუბიექტურ იდეალიზმს ქადაგებენ. უბრალოდ ჩვენს სამყაროში ბევრი უცნაურობაა გარდა იმისა, რომ მისი წარმოშობა საიდუმლოების ბურუსითაა მოცული.

აი, მაგალითად, არსებობს ათობით სხვადასხვა ფიზიკური კონსტანტა და მათი თანაფარდობანი. და ირკვევა: ერთი ამ სიდიდეთაგანი ან მათი თანაფარდობა ოდნავ სხვანაირი რომ ყოფილიყო, ჩვენ არ ვიარსებებდით სამყაროში. მაგალითად გრავიტაციული მუდმივა, რომელიც ყველას გაგვივლია სკოლაში ნიუტონის მსოფლიო მიზიდულობის კანონის სწავლისას, ოდნავ დიდი რომ ყოფილიყო, სამყარო განვითარებას ვერ მოასწრებდა, ისე ჩაიკეტებოდა. ოდნავ სხვაგვარი რომ ყოფილიყო ელექტრონისა და პროტონის მასების თანაფარდობა, ატომის და მით უმეტეს მოლეკულების ტიპის ვერანაირი რთული სისტემები უბრალოდ ვერ იარსებებდნენ სამყაროში.

მაგრამ საქმე ის არის, რომ ჩვენ ვერ ვხედავთ იმის დიდ აუცილებლობას, რომ გრავიტაციული კონსტანტა ჩვენს სამყაროში სწორედ 6,672 რიცხვის ტოლფარდი იყოს, და არა, მაგალითად 6,84-ის ან 123,8-ისა.

ასევეა ელექტრონისა და პროტონის მასების თანაფარდობაც — 1:1832. მაგრამ რატომ არა 1:800 ან 1:239? შეფარდება რომ ყოფილიყო 1:239 ან 1:1800-ც კი, ჩვენ ამ ქვეყნად არ ვიქნებოდით. და სინათლის ნეიტრინოებსა და კვანტებზე უფრო რთული არაფერი არ იარსებებდა სამყაროში. იგივე ითქმის ნაწილაკების მუხტების, სინათლის სიჩქარის, ბირთვული ურთიერთმოქმედების ძალების, სხვა სამყაროსეული სიდიდეების მნიშვნელობათა შესახებაც.

— ჩვენ რომ შეგვეძლებოდა ღმერთის როლის შესრულება და თვითნებურად შეგვერჩია ფიზიკური კონსტანტები და ბუნებაში მოქმედი ძალების მნიშვნელობები, — თქვა ბრიტანელმა ფიზიკოსმა პოლ დევისმა, — დაერწმუნდებოდით, რომ ჩვენს მიერ შექმნილ არც ერთ სამყაროში არ იქნებოდა შესაძლებელი სიცოცხლის წარმოქმნა. იგი მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეიძლებოდა ჩასახულიყო — ფიზიკური პარამეტრების იმ უნიკალური შეხამების შედეგად, როგორიც ჩვენ გვაქვს. ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს სამყარო სპეციალურად ჩვენთვის, ადამიანებისთვის იქმნებოდა.

თუმცა, ჩვენი უნიკალური სამყაროს შექმნა შეიძლება სულაც არ მივაწეროთ ღვთის ოსტატობას. იქნებ ისეც იყოს, ამბობს ზოგიერთი ასტროფიზიკოსი, რომ არსებობს არა მარტო ჩვენი, არამედ ერთმანეთისაგან არაყოფიერით დაშორებული მრავალი სამყარო.

— ახლა სამყაროები განუწყვეტლივ ჩნდებიან, — მიაჩნია მიუნჰენის ტექნიკური უნივერსიტეტის ფიზიკოსს ვოლფგანგ ვილდს, — როგორც ბუშტულები მდუღარე სუპში. ამ სამყაროებშიც სხვადასხვა ფიზიკური მუდმივებია. უბრალოდ იმ სამყაროებში, სადაც სხვაგვარი ფიზიკური კონსტანტებია, სიცოცხლე არ არის. ჩვენ კი ყოველივე ამის შესახებ მსჯელობა იმიტომ შეგვიძლია, რომ ჩვენს კონკრეტულ სამყაროში კონსტანტები ხელს უწყობენ სიცოცხლის რთული ფორმების წარმოქმნას. სხვა სამყაროებში ამაზე უბრალოდ ვერავინ იფიქრებს. ეს არის სწორედ ანთროპული პრინციპის არსი.

დანარჩენი სამყაროები პრაქტიკულად კოსმოსური ბერწები არიან, რომლებსაც არ ძალუძთ ნაყოფის ტარება. ეს ხელმოცარული უკაცრიელი ბუშტულები ასევე დარჩნენ ყველასათვის შეუმჩნეველნი, იმიტომ რომ არავინ ჰყავთ იმის შემფასებელი, რაოდენ უხეირო პირობებია სიცოცხლისათვის მათს უკიდეგანო უსულო უდაბნოებში. ერთი სიტყვით, კაცობრიობას ბედმა გაუღიმა; ჩვენ ყველას დიდი მოგება გვხვდა კოსმოსურ ლატარეაში.

თუმცა ასტრონომ ტამანის აზრით, უსასრულოდ მრავალი სამყაროს იდეა ნაკლებსარწმუნოა: „ყველაფერი ეს, მხოლოდ გონებაჭვრეტითი ვარაუდებია. ასეთივე წარმატებით შეგვეძლო სამყაროს შექმნა მამა ღმერთისთვის დაგვევალებინა. ორივე შემთხვევაში, როცა ვცდილობთ სამყაროს საიდუმლოს ამოცნობას, ჩვენ ვიშველიებთ კოზირს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო სერიოზულ მეცნიერებასთან“.

სწორედ აქ ჩნდება თანამედროვე მეცნიერების ერთ-ერთი უდიდესი პარადოქსი — ღმერთის არამეცნიერული ჰიპოთეზისა და სამყაროთა მრავლობითობის მეცნიერული ჰიპოთეზის ტოლფარდობა, რაც იმით აიხსნება, რომ ამ ორი ჰიპოთეზის პრინციპული შემოწმება შეუძლებელია. არის ასტროფიზიკაში ლამაზი ტერმინი — „მოვლენათა ჰორიზონტი“. ასე ეწოდება სივრცე — დროის საზღვარს, რომლის გამოც ჩვენ პრინციპულად არ შეგვიძლია მივიღოთ ინფორმაცია: არ მოდის არანაირი სიგნალი. მაშასადამე, ყველა დანარჩენი სამყარო ჩვენთვის მოვლენათა ჰორიზონტს მიღმა მდებარეობს. ჩვენ არათუ ვერ შევიტყობთ, რა ხდება იმ სამყაროებში, არამედ ვერც კი შევამოწმებთ, არსებობენ თუ არა ისინი. ყველა ეს სამყარო ხომ ჩვენი დროისა და სივრცის მიღმა რჩებიან, რადგან დრო, სივრცე და მათში მოძრავი მატერიაა სწორედ სამყარო. სხვა სამყაროები ჩვენგან დაცილებული არიან არარსებობის უფსკრულით.

სწორედ ამიტომაც ტამანს „შემოქმედი ღმერთის“ იდეა ისევე მისაღებად მიაჩნია, როგორც სამყაროს შექმნის სხვა დანარჩენი ჰიპოთეზა. იქ, სამყაროს სათავეებთან, მეცნიერული აზროვნება ერწყმის არამეცნიერულს, და რაიმეს დამაჯერებლად ახსნაში ერთნაირ უმწეობას ავლენენ. ამიტომ არც ერთი გონიერი ადამიანი არ გამორიცხავს, რომ სამყარო შეიძლება შემოქმედი ღმერთის შექმნილი იყოს.

ავგული ღმერთი

ახალი თაობის მეცნიერები თანახმა არიან აიტანონ სამყაროში რაღაც ღვთიური ძალის არსებობა. თუმცა, საეჭვოა, ამან სიხარული მოჰგვაროს ეკლესიას: სწავლულთა წარმოდგენა ღმერთზე აბსოლუტურად განსხვავდება რელიგიურისაგან. სამყაროში ახალი ღმერთი მობრძანდა.

იგი ოდნავადაც არ ჰგავს ტრადიციულ ცათა მეუფეს, რომელიც თავისი კანონით განსჯის ადამიანთა საქმეებს. არა, ის ღმერთი, რომელიც დასჭირდა მეცნიერებას, უფრო ზესკნელის მექანიკოსს მოგვაგონებს, რომელმაც ერთხელ და სამუდამოდ დააზუსტა და შეასწორა ყველა ციური სხეულის მოძრაობა და განლაგება. ის ფიზიკოსები და ბიოლოგებიც კი, ისიც იშვიათი გამონაკლისის სახით, რომლებსაც გულწრფელად სწამთ ღმერთის არსებობა. ზეციურ სცენაზე მისთვის მეტად მოკრძალებულ და ეპიზოდურ როლს — მხოლოდ პირველმბიძგებლის როლს იმეტებენ: როგორც კი მამაზეციერმა შექმნა მთელი სამყარო და ბუნების ყველა კანონი, დაარხეინებულმა, შემოქმედებით დაღლილმა შემოქმედმა მშვიდად დასვენება ინება.

— უფალმა რაღაც თვითორგანიზებადი შექმნა, — მიაჩნია ბაზელელ გენეტიკოსს, ნობელის პრემიის ლაურეატს ვერნერ არბერს. — იგი იმდენად მოხერხებული იყო და ისე დაგეგმა ყველაფერი, რომ აღარ დაჭირვებოდა რაიმეში ჩარევა.

ყოველ შემთხვევაში, თუ ღმერთმა განჭვრიტა კიდეც, როგორ განვითარდებოდა მის მიერ შექმნილი ქვეყნიერება, მოვლენათა მსვლელობაში იგი უკვე აღარ ჩარეულა. ბოლო 15 მილიარდი წლის მანძილზე მას სამყაროს ცხოვრებაში მონაწილეობის არანაირი კვალი არ დაუტოვებია. ადამიანთა ბედიც არასდროს არ აწუხებდა. მსოფლიო ომების, ხიროსიმისა და ხოლოკოსტის დროსაც შემოქმედმა სრული გულგრილობა გამოიჩინა.

თუმცა, არც შეეძლო ამის განჭვრეტა, რადგან ჩვენს სამყაროსთან ერთად შექმნა გადაულახაობის ცნობილი პრინციპი, რომელიც საუკუნის დამდეგს აღმოაჩინა გეიზენბერგმა. იგი გვამცნობს, რომ სამყაროში არ არსებობს აბსოლუტურად ზუსტი ინფორმაცია მისი შემადგენელი ნაწილაკების შესახებ. მაშასადამე, ზუსტად არც არაფრის წინასწარმეტყველება არ შეიძლება, უფრო ზუსტად კი, შეიძლება მხოლოდ ამა თუ იმ მოვლენის ალბათობის განჭვრეტა: „ნუთუ ღმერთი კამათელს აგორებს“ — სვამდა კითხვას აინშტაინი, რომელიც ბევრ რამეს ჩახვდა.

1921 წლის აპრილში ფარდობითობის თეორიის მამამ მიიღო ჰერბერტ გოლდშტეინის დეპეშა. ნიუ-იორკელი რაბინი ეკითხებოდა დიდ მეცნიერს: „გწამთ თუ არა ღმერთი წრტ ანაზღაურებული პასუხი 50 სიტყვა“ ლაკონური აინშტაინი 24 სიტყვაში ჩაეტია: „მწამს სპინოზას ღმერთი, რომელიც ყოფიერების კანონზომიერ ჰარმონიას წარმოადგენს, და არა ის ღმერთი, რომელიც ადამიანების ბედსა და საქმეებში აფათურებს ხელს“.

ბარუხ სპინოზა (1632-1677) იმ ებრაელთა შთამომავალი, რომლებიც პორტუგალიიდან ნიდერლანდში გაიქცნენ, პედანტი მოაზროვნე იყო. იგი ბუნებას ღმერთთან აიგივებდა — ბუნებას, რომლის ყველა სტიქია თავისი მკაცრი და ამიტომ შეცნობადი კანონებით მოქმედებდა. ასეთ „საზარელ მკრეხელობას“ ღვთისმეტყველნი ვერ შეეგუებოდნენ და სპინოზა მოიკვეთეს ებრაული თემიდან. ღვთისმოსავ რაბინთა აზრით, სპინოზას ღმერთი უფრო რაღაც ზმანებას ჰგავდა. და მართლაც, რაღა დარჩება ყოვლისშემძლე შემოქმედისგან, თუ მას აუკრძალავენ სასწაულების ჩადენას, რომლებიც ეწინააღმდეგება ბუნების კანონებს, თუ მას არ მისცემენ საკუთარი შეხედულებისამებრ დასჯისა და შეწყალების უფლებას? კოლორიტული ბიბლიური საბაოთის გვერდით უფერულდება და ქრება სპინოზასეული „ღვთიური წესრიგის პრინციპი“.

— თუ ღმერთი ჯიუტად ფეხს არ იცვლის სივრცისა და დროის გადაღმიდან, თუ ღმერთი ყველას და ყველაფერს გაუნაპირდა — მსჯელობს დიდი აფეთქების თეორეტიკოსი უაინბერგი, — საერთოდ რაღაში გვჭირდება ასეთი ღმერთი? ღმერთი უკვე განდევნა მეცნიერებამ სამყაროს ყოველი კუთხიდან და იგი ახლა მხოლოდ უფორმო ჩრდილად წამოსდგომია მის საზღვრებს იქ, სადაც საწყისს იღებენ სივრცე და დრო. ნუთუ შემდგომშიც უნდა ვიპირფეროთ და ჩვენი სამყაროს საქმეებში ჩავრიოთ რაღაც, რომელიც არასდროს ყოფილა მასში და რომელიც არსად არ არსებობს? ეს ხომ წმინდა წყლის ფარისევლობაა — გაუტოლო ღმერთი ბუნების უპიროვნო კანონებს?

უაინბერგის მსგავსად, სკეპტიკოსი ასტრონომები დარწმუნებული არიან, რომ ოდესმე ახსნიან სამყაროს ყველა საიდუმლოს, ამისათვის არ დასჭირდებათ ზედმეტად შემოქმედი ღმერთის ჰიპოთეზის გამოყენება.

— მეცნიერების წინკარში ჯერ კიდევ არის კუთხე, სადაც დარჩა ადგილი შემოქმედისათვის — აცხადებს ნობელის პრემიის ლაურეატი ფიზიკის დარგში ლეონ ლედერმანი, მაგრამ ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში ეს კუთხე შესამჩნევად შემცირდა და კვლავაც შეუნებელად ვიწროვდება.

ჯერ კიდევ წმინდა ავგუსტინემ იწინასწარმეტყველა 1600 წლის წინათ, რომ მეცნიერთა ჩხრეკაძიება არც ღმერთს მოუტანს სიკეთეს და არც მის სამწყსოს: „ეს უხიაგი მედავითნეები და პედანტები მანამ არ მოისვენებენ, სანამ შემოქმედს არ განდევნიან ჩვენი სამყაროდან“.

იგი სწორი იყო: რამდენიმე წლის წინათ სტივენ ჰოკინგმა განმარტა, როგორ შეიძლება მთელი ამ გიგანტური ზეციური მანქანის ამოქმედება ღმერთის ჩაურევლად.

სამყაროს მისეული მოდელის საწყისი პუნქტი გახდა კვანტური თეორია. მიკროსამყაროში მოჩვენებითი ნაწილაკები მართლაც შეიძლება ხილული მიზეზების გარეშე წარმოიქმნან არაფრისგან და კვლავ არად იქცნენ. ფიზიკური კანონები, რომლებიც აქამდე მხოლოდ მიკროსამყაროში მოქმედებდნენ, ჰოკინგმა მთელ სამყაროს მიუსადაგა. მან ეს ეშმაკური ხერხი იმით გაამართლა, რომ სამყარო თავისი ჩასახვის მომენტში ჩაწნეხილი იყო სამყაროს ნამცეცა წერტილში, რომლის სიდიდე ატომისაზე მცირე იყო. რას აძლევდა ეს მეცნიერს? მის განტოლებებში მაშინვე გაჩნდა ენერგიის სწორედ ის ულუფები, რომლებისგანაც შემდგომში წამოიზარდა მთელი სამყარო.

არც არანაირი საბაბი არ ყოფილა მათს წარმოსაქმნელად, არანაირი გარეშე ჩარევა. ყველაფერი იშვა მხოლოდ ერთი „კვანტური ფუნქციით“ — განუჭვრეტელი სამყაროსეული შემთხვევითობით.

— თუმცა, ეს სულაც არ ამტკიცებს, რომ ღმერთი არ არსებობს, — იქვე აუწყა საზოგადოებას ჰოკინგმა. — ეს იმას ნიშნავს მხოლოდ, რომ ფონს უმისოდაც იოლად გავალთ.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 199.

მილოშევიჩის წინააღმდეგ გამოსვლები გრძელდება

სერბიაში ახალი დემონსტრაციები გაიმართა პრეზიდენტ მილოშევიჩის გადადგომის მოთხოვნით. დაახლოებით ოთხი ათასი კაცი შეიკრიბა მიტინგზე, რომელიც მოაწყო „ცვლილებებისათვის ალიანსმა“ — ერთ-ერთმა მთავარმა ოპოზიციურმა ჯგუფმა. როგორც ოპოზიციის წარმომადგენლები იტყობინებოდნენ, ნახევარ მილიონზე მეტმა კაცმა მოაწერა ხელი პეტიციას მილოშევიჩის გადადგომის თაობაზე. ოპოზიციამ უკვე გამოაცხადა, რომ სექტემბერში აპირებს საყოველთაო გაფიცვას, მაგრამ კორესპონდენტები აღნიშნავენ, რომ „ალიანსის“ მიერ მოწყობილი საპროტესტო აქციები არ გამოირჩევა ისეთი ხალხმრავლობით, როგორც იმ ოპოზიციური დაჯგუფების „სერბიის აღორძინებისათვის მოძრაობის“ დემონსტრაციები, რომელსაც ვუკ დრაშკოვიჩი მეთაურობს.

ბორის ელცინი შვებულებიდან დაბრუნდა



პრეზიდენტი ელცინი კრემლში დაბრუნდა ორკვირიანი შვებულების შემდეგ. როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახური იუწყება, დღის განმავლობაში მას ჰქონდა სამუშაო შეხვედრები, მათ შორის, ალექსანდრე ვოლოშინთან, ვიქტორ ჩერნომირდინთან და ვლადიმერ პუტინთან. ორშაბათს პრეზიდენტმა გაიარა, აგრეთვე, სამედიცინო შემოწმება ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში.

რუსეთის პრემიერი ხვდება ამერიკის ხელმძღვანელობას

რუსეთის პრემიერ-მინისტრი სერგი სტეპაშინი ვაშინგტონში იწყებს შეხვედრებს, რომელთა მიზანია შეერთებულ შტატებთან ნორმალური დიპლომატიური კონტაქტების განახლება, რომლებიც შეწყდა ერთხანს იუგოსლავიის დაბომბვით გამოწვეული უთანხმოების გამო. სტეპაშინის ვიზიტი, რომელიც პირველია ამ პოსტზე მისი დანიშვნის შემდეგ, მიმდინარეობს იმ პერიოდში, როცა საერთაშორისო სავალუტო ფონდი განიხილავს რუსეთისათვის ოთხმილიარდიანი კრედიტის გამოყოფის საკითხს. ბი-ბი-სის ვაშინგტონელი კორესპონდენტის ინფორმაციით, სტეპაშინმა ამერიკელებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, და ალბათ, ორივე მხარე განიხილავს, აგრეთვე, საკითხს ახალი სახეობის შეიარაღებისადმი კონტროლის შესახებ.

ივანოვსა და ოლბრაიტს უფრო ხშირად ურთიერთობის საშუალება ექნებათ

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იგორ ივანოვმა და შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა მადლენ ოლბრაიტმა, რომლებიც ასეანის კონფერენციას ესწრებოდნენ, სინგაპურში მოილაპარაკეს, რომ პირდაპირი სატელეფონო ხაზი გაიყვანონ თავიანთ კაბინეტებს შორის. ასეანის კონფერენციაზე ისინი პირველად შეხვდნენ ერთმანეთს იმ დროიდან მოყოლებული, რაც დაიწყო ნატოს მიერ იუგოსლავიის დაბომბვა, რაც, როგორც ცნობილია, მკაცრად დაგმო მოსკოვმა და რუსეთ-ამერიკის ურთიერთობაში დაძაბულობის საბაბიც გახდა. ამ დღეებში იგორ ივანოვმა კოსოვოში ნატოს სამშვიდობო ოპერაცია გააკრიტიკა იმის გამო, რომ მშვიდობისმყოფლებმა ვერ შეძლეს თავიდან აეცილებინათ თოთხმეტი სერბი გლეხის მკვლელობა.

შეერთებული შტატები შეშფოთებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მდგომარეობით

შეერთებულმა შტატებმა შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ მატულობს იმ ფაქტორების რაოდენობა, რომლებიც საფრთხეს უქმნიან სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში რეგიონულ უშიშროებას. შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა მადლენ ოლბრაიტმა ასეანსა და სინგაპურში მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოთა წარმომადგენლების შეხვედრაზე განაცხადა, რომ გადაუჭრელი ტერიტორიული დავა შეიძლება ძალადობის აფეთქებითა და სერიოზული კრიზისით დამთავრდეს. ამავე დროს შეერთებულმა შტატებმა, იაპონიამ და სამხრეთ კორეამ გააფრთხილეს ჩრდილოეთ კორეა, რომ თუ იგი არ შეწყვეტს დიდი სიშორის რადიუსის რაკეტების გამოცდას, ამას სერიოზული შედეგები მოჰყვება. სამმა ქვეყანამ მოუწოდა ფხენიანს, ამის ნაცვლად გამოიყენოს საერთაშორისო იზოლაციიდან თავის დაღწევის უნიკალური შესაძლებლობა. ეს ნათქვამია შეერთებული შტატების, იაპონიისა და სამხრეთ კორეის საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ ასეანის ფორუმზე გაკეთებულ ერთობლივ განცხადებაში.

თურქეთი და საბერძნეთი მიუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას

თურქეთისა და საბერძნეთის ოფიციალურმა პირებმა მალე უნდა განაახლონ ანკარაში მოლაპარაკება ორ ქვეყანას შორის დაძაბულობის შენელების მიზნით. მოლაპარაკებაზე განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობენ ბაზრობის საკითხებს. დიპლომატებმა განიხილეს გარემოს დაცვისა და ტურიზმის საკითხები. საბერძნეთი და თურქეთი იმედოვნებენ, რომ მიაღწევენ ერთგვარ პროგრესს, თუ თავს აარიდებენ ისეთ სადავო საკითხებს, როგორიც არის ეგეოსის ზღვის რამდენიმე კუნძულის ბედი, რომლებზეც პრეტენზიას აცხადებს ორივე ქვეყანა, აგრეთვე, ორ ნაწილად გაყოფილი კუნძულ კვიპროსის მომავალი.

ანკარა აპირებს კიდევ ერთი ქურთი ლიდერის დაპატიმრებას

თურქეთის სასამართლომ გასცა ქურთი ლიდერის იაშარ კაისა და ქურთთა თვითმარქვია დევნილი პარლამენტის 32 სხვა აქტივისტის დაპატიმრების ორდერები. როგორც ანატოლიის ნახევრადოფიციალური საინფორმაციო სააგენტო იუწყება, მათ ბრალად ედებათ უკანონო შეიარაღებული ორგანიზაციის შექმნა, რაც სულ ცოტა 15 წლით პატიმრობას ითვალისწინებს. როგორც სააგენტო იტყობინება, კიდევ 32 ქურთი აქტივისტის საქმეს იძიებენ. ანკარა ქურთთა პარლამენტს ყოველთვის უკავშირებდა ქურთ მუშათა პარტიის აკრძალულ სეპარატისტულ დაჯგუფებას, რომლის ლიდერს აბდულა ოჯალანს იუნისში სიკვდილი მიუსაჯეს.

ესპანეთის პოლიციამ გააუვნებელა დანაშაულებრივი დაჯგუფება

როგორც ესპანეთის პოლიცია იტყობინება, მან გააუვნებელა ქვეყანაში ჰაშიშის კონტრაბანდის ყველაზე დიდი ქსელი. დაპატიმრებულია 17 კაცი. ამრიგად, ოპერაციის დროს, რომელიც ორ წელს გრძელდებოდა, სულ დაკავებულია 95 ადამიანი და კონფისკებულია 50 ტონაზე მეტი ჰაშიში. როგორც პოლიციელებმა თქვეს, ეს ქსელი, მაროკოდან ნარკოტიკის კონტრაბანდის გავრცელების გარდა ესპანეთში, საფრანგეთსა და იტალიაში ფინანსურ მომსახურებასაც ეწეოდა, აგრეთვე, ჰაშიშის გაყიდვით მიღებული არალეგალური შემოსავლის „გაწმენდისთვის“.



უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადეს ლია გოგიჩაიშვილმა, კახა ძორიძემ.

საქართველოს რესპუბლიკა
№200. ოთხშაბათი, 28 ივლისი, 1999 წელი.

შოთა ნიშნიანიძის გარდაცვალების გამო

ქართული სიტყვის ნამდვილი რაინდი

იგი უკვდავებაშია

შოთა ნიშნიანიძე, ჩვენი დროის საუკეთესო სახელის და დიდების პოეტი, მოულოდნელად გამოგვეცალა. მაგრამ მან დიდი სიცოცხლით იცოცხლა. მისი ნათქვამი ლექსი ჩვენი დროის მაჯისცემით ფეთქავდა, მისი კალამი მართლაც დაუნდობელი იყო ჭეშმარიტებისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში.

შოთა, როგორც პოეტი, თითქოს ზვიადი, მიუკარები ჩანდა, ხოლო, რა უცნაურადაც არ უნდა გამიგონ, დიდკაცობაში იგი ძალიან თავმდაბალი, უბრყვილო, დამყოლი იყო.

ჩემს აჭარაში, მთელ საქართველოში თუ ყოფილ საბჭოეთის მრავალ მასშტაბურ მოვლენათა შუაგულში ბევრჯერ მის გვერდით ვყოფილვარ.

მე მიყვარს შოთა ნიშნიაძის მაღალი პოეზია, მისი საოცარი სიღრმის პუბლიცისტიკა.

ჩვენ მეგობრები ვიყავით. მე დავკარგე დიდი მეგობარი და იმედიც, თავად პოეტი კი უკვდავებაში გარდაივიდა.

ფრიდონ ხალვაში.

გამოჩნდებიან ანგელოზები

შენს თვალებში დიდი წინაპრების სახეები იხატებოდა და შენს ლამაზ სულში მათი სისხლის ყივილი ისმოდა. გულზე სისხლძარღვებით საქართველოს ძველი რუკა გეხატა ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაჭიმული; ვაი, რომ ვერ მოესწარი გაერთიანებული საქართველოს ამ დიდ დღესასწაულს.

ასე მგონია, უფალი შენი სახით დადიოდა დედამიწაზე. დღესასწაული იყო შენთან ყოველი შეხვედრა!

შენ ჩემი დიდი მასწავლებელი და მეგობარი იყავი. სიცოცხლეში ზედმეტად რომ არ შემეწუხებინე, შეგნებულად გერიდებოდი, გერიდებოდი იმიტომ, რომ შენ ცაში დადიოდი და არ მინდოდა დედამიწისთვის პატარახანს მომეცდინე.

ხალხო, მაღლა აიხედეთ შოთა ნიშნიანიძის დაკრძალვაზე — უფლის ანგელოზები აუცილებლად გამოჩნდებიან... ღმერთმა სულით გაგანათლოთ, ბატონო შოთა!

დავით ტიგინაშვილი.

გაუცინარი რაინდი...

შოთა ნიშნიანიძის სიკვდილი ქართული პოეზიის, ქართული ლექსის, მეტი რომ არაფერი ვთქვათ, თავზარდაცემაა. სამზეოს ეთხოვება რაინდული სულის, ერთი შეხედვით პირუცინარი პოეტი, რომლის ბიბლიური შემოქმედებაც კარგახანია შეიყვარა და შეისისხლხორცა „ვეფხისტყაოსნის“ ერმა. მართლაც, რომ შეუბღალავად და მხარმსუბუქად ატარა, თითქმის ნახევარი საუკუნე, თავისი დიდი წინაპრის უკვდავი სახელი.

... გულმოკლული საქართველო ცხარე ცრემლებით დატირით თავის რჩეულს. პოეზიის მაღალ საუფლოში გაისმის თქვენეული წიქარებისა და აპეურდაწყვეტილი ხარების სულისშემძვრელი ზმუილი, ქართული სიტყვის ერთ-ერთი უპირველესი მეტრფე და მესაიდუმლე — ასეთად მიაჩნდით ჭეშმარიტი პოეზიის მაღალგემოვნებიან მკითხველს და ასეთი დარჩებით დროთა დაუოკებელ სრბოლაში.

ბევრი თბილი სიტყვა და თანადგომა ახსოვს ამ სტრიქონების ავტორს, ბატონო შოთა, თქვენგან. სულო ცოდვილო, ვფიქრობდი — საავადმყოფოს ვიწრო პალატაში კი არა, შინ, შინ მენახეთ, ძველებურად ამაყი და ნირშეუცვლელი. ეგლახ, რომ ასე არ მოხდა.

... ახლა ბევრი უბნობის დრო არ არის. იძინეთ მშვიდად, ქართული პოეზიის, ქართული ლექსის „გაუცინარო“ რაინდო!..

თემურ ჩალაბაშვილი.



მარადიულისაკენ...

ძმაო შოთა!

შენ აღარა ხარ, ჩვენ დავრჩით, დავრჩით დროებით...

წუთისოფელი წუთისოფელია და სამზადისია მარადიულისაკენ:

იციან კი, სახარებაში რა ხწერია მრისხანებაზე? „მეურიგდი შენს მეტოქეს სასწრაფოდ, ვიდრე მასთან ერთად გზას ადგახარ, რომ მეტოქემ არ გადაგცეს მსაჯულს“.

ეჰ, ბოლოს ყველანი ისე უბრალოდ წავალთ, რომ სიტყვის მთქმელიც აღარ გვეყოლება.

„ნუთუ საფლავზე ცხელი
წვეთი არ დაგცემია,
— ბიჭო, ის ცრემლი
დედის ცრემლი,
სატრფოს ცრემლია“.

როცა ამ სტრიქონებს წერდი, მაშინ ძალიან ახალგაზრდა იყავი, ახალგაზრდა პოეტი, მაშინ ნათელი მეტი იყო, ვიდრე სიბნელე და წინასწარმეტყველება უფრო მშვენიერ ფრესკას ჰგავდა, ვიდრე დღევანდელ სინამდვილეს, მაშინ

„ხეები ჰგავდნენ
იგავ-არაკებს,
მიწის ლოცვებს და
მწვანე სიმღერებს“.

სხვა დროში ვცხოვრობთ, ვუყურებთ და ვერ ვხედავთ, ვუსმენთ და არ გვესმის.

„დაე, იცოდნენ, ჩვენს
საქართველოს,
ისევ სჭირდება
შენისთანები“.

ჯანსუღ ჩარკვიანი.

მგოსანი — ფუტკარი!..

...ერთხელ შოთა ნიშნიანიძეს ვთხოვე, მაჩუქეთ-მეთქი ხელნაწერი თქვენი ლექსისა „დონ კიხოტის სტუმრობა ზემო იმერეთში“...

— რატომ მაინც და მაინც ეგო? — მკითხა.

აი, რატომ: რაც სიმონეთს, საკლდიაშვილოს ეხებოდა, ვაგროვებდი. ფრიდონ ხალვაშის და ოთარ მამფორიას ლექსები უკვე მქონდა, შოთამაც არ დააყოვნა, სუფთად გადაწერილი მომართვა:

„იმერეთო, ვივა, ვივა!
ვითომ ესპანეთი ხარო,
ერთი სიხარული გტკივათ,
ერთი სატკივარით
ხარობთ.

შენც, ლამანჩავ, ვამა,
ვამა!
სიმონეთო, ვივა, ვივა!
იმერეთი მელამანჩა
და ლამანჩაც უფრო
მტკივა.

პოეტური წარმოსახვა იგავმიუწვდომელია!.. ამ გრძელი ლექსიდან კიდევ მინდა ორიოდ სტროფი ავახმიანო:

„მამ ოცნებავ,
დესპანობდე,
სიხარული მიბევრეთო,
კლდიაშვილის ესპანეთო,
სერვანტესის იმერეთო!..
იმერეთში როს ინათებს,
რა ხიბლია ჯადოსნური
— მიჩაქჩაქებს
როსინანტი
ბუხრებიდან
გადმოსული“...

ამ მშვენიერი ლექსით შოთა ნიშნიანიძემ გააბათილა ის თეორია, თითქოსდა სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ეროვნების მწერლების ნებისმიერ, გნებავთ პიროვნებათა ერთმანეთთან შედარება ხელოვნური, ანდა გაუმართლებელი ხერხი იყოს... არადა, რამხელა „ნათესაობა“ იგრძნობა მართლაც ამ ორი დიდი მწერლის შემოქმედებაში — აქ პოეტმა ქართულ-ბასკური „ლაპარაკიც“ გაურია და იდალგოს იმერული ფაფანაკი აუფრიალა...

ჭეშმარიტად, იგავმიუწვდომელია პოეტური გარდასახვის ძალა!

... ბატონი შოთა ლექსებს რომ მოგვიტანდა, ის დღე ბედნიერი იყო! დაბეჭდვის შემდეგ კი დედნებს საგულდაგულოდ ვინახავდი მისივე ხელრთვით. ბევრს მოხვდებოდა კაკალ გულში ჩვენი გაზეთის პირველ გვერდზე დაბეჭდილი „მოგზაურობა საქართველოში“.

„გავიარეთ კოლხეთი...
იმერეთი... გურია...
სამოთხეა პირდაპირ,
მართლა სასწაულია!“

და ამ თითქოსდა მაჟორული განწყობილების საპირისპირო დასასრული:

„ვმოგზაურობ მამულში
და რა უცნაურია:
უკან სულ ბაზალეთი...
წინ სულ წიწამურია“...

...ვინღა დაგვიწერს ასეთ ლექსებს?!

...სულმნათი აკაკი ერთ თავის ლექსში ფუტკრის შრომას აქებს — თავდაუზოგავად რომ აგროვებს სათაფლ-სანთლო მასალას და დატვირთული მიაშურებს ისევ სადგურს: **„სულსა სწირავს და გულს უძღვნის ღვთის და კაცის ტკბილ სამსახურს!“** ეს თემა მემკვიდრეობით შოთასთანაც მეორდება და აკაკისაც თითქოსდა საშოთაოდ დაუწერია:

„შენც, მგოსანო,
კაცთა შორის
ფუტკრადა ხარ
გაჩენილი!..
თაფლს და სანთელს რომ
სხვას აძლევ,
რაღა გრჩება
ნათელ-ტკბილი?“

...ნათელ-ტკბილი ის დიდი სიყვარულია, რაც დათესა შოთა ნიშნიანიძემ თანამემამულეებში.

...საყვარელი პოეტის სიკვდილი, დიდი შემოქმედის სიკვდილი ეროვნული გლოვაა!

— რა ეტყობოდა ავადმყოფობისა, დევივით იყო, — გულისტკივილით თქვა მისი ნაადრევი წასვლით დამწუხრებულმა ადამიანმა.

... თურმე სიკვდილი დევსაც ერევა...

მისტიურია ერთი დამთხვევა: მზის დაბნელება საუკუნის გასაყარზე!

შოთა ნიშნიანიძის სიკვდილიც მზის დაბნელებაა ქართული პოეზიისთვის!..

ნანა ღვინეფაძე.
1999 წლის მკათათვის 26.

მომღერალ წიქარას

ვერ გიმღერე პოუ ნანა, სარეცელთან წიქარას,
თიბათვეში სულის ახლოს ცელმა გაიცივქარა.
მილეწავდი ქაჯავეთის ცხრაკლიტულებს ყანწებით,
ერთხელაც ვერ დაგიდაფნე შუბლი დანახანძრები.
ზოგჯერ მხარზე გაკოცებდი ერთგულების დასტურად,
ჩემი მაჯა შენს ბორგნეულ ძილს ვერ მიესასთუმლა.
გელაზივით წელში მღუნავს შენი ლექსთა კრებული,
ველარც გავასაჩუქრე და მყვედრის გაყვითლებული.
მაინც როგორ გათრთოლებდა ჩვენეული ქვითინი,
მაინც როგორ გაბრუებდა ჩვენებური ტიტინი.
ვერ გიმღერე პოუ ნანა, ხარო, ბედის მტვირთველო,
სულმრთელო და პირმრთელო და სიცოცხლენაკირთელო!
ეს სტრიქონი საპარეთის ჭიდან ამოხაპულა,
მენი ზეცა დამდუღრული მამულით მოხატულა.
არ დადგება შენი გზები, შორეთს გაიკოსმოსებს,
არ დადგება, სანამ ქვეყნად ავკაცობა ქოსქოსებს.
ხარი ხარ და უფრო მეტი — ხიდი — ამერ-იმერის,
ხარი ხარ და ნიშანსვეტი უსასრულო სიმღერის,
ხარი ხარ და ქაჯავეთის ცხრაკლიტულებს მილეწავ,
ხომ მოლიე ჯოჯოხეთი, ახლა მოიხილე ცა.
ხომ აქამდე პანგით კრავდი შურობუმუ დამსხვრეულს,
აწ ბალავრად ჩაეშენე იმის დრო და ჟამსხეულს.
ვერ გიმღერე პოუ ნანა, სარეცელთან წიქარას,
თიბათვეში სულის ახლოს ცელმა გაიცივქარა.

გური ოტობაია.
24. 07. 99 წ.

მილოცვა

გვილამაზებენ ბავშვობის უდარდელ წლებს

ეს სანდომიანი ქალბატონი 50 წელიწადია ქობულეთის სანაპიროზე მდებარე ცნობილი №4 ბაგა-ბაღის გამგეა.

გენია ალექსანდრეს ასული თოხაძე-თხილაიშვილი, შრომის ვეტერანი, პატარების საყვარელი მასწავლებელი და სკოლამდელი აღზრდის ღვაწლმოსილი პედაგოგია.

ადრევე დაქვრივებული, სამამულო ომის შემსწრე, ჭირგამოვლილი ქალბატონი, საუკეთესო ოჯახის დედა და ბებია 78 წლის ასაკშიც კვლავ ძველებური შემართებით უძღვება საპატიო საქმეს და ზრუნვას არ აკლებს მისივე აღზრდილების, აწ უკვე მშობლების, შვილებსა და შვილიშვილებს.

სიამოვნებით ვულოცავთ შრომითი მოღვაწეობის 50 წლისთავს ქალბატონ გენიას და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ, რამეთუ ასეთი ადამიანები გვილამაზებენ ბავშვობის უდარდელ წლებს.

ადამიანი დროში

ტალანტი, შრომა, კეთილშობილება

ახლა, როდესაც ჩვენი ქვეყანა უაღრესად მძიმე პირობებში აღმოჩნდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა მომავალი თაობის ჯანსაღად აღზრდის პრობლემებმა, ახალგაზრდა თაობა გამოჩენილ (ისტორიული თუ თანამედროვე) პიროვნებათა მისაბაძი მოღვაწეობის მაგალითებზე უნდა იზრდებოდეს. სულ რამდენიმე წლის წინათ მეცნიერის მრავალმხრივი შემოქმედებითი საქმიანობა მიმზიდველი და მისაბაძი, სტიმული იყო ახალგაზრდებისათვის. სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში ჩვენს ქვეყანაში მეცნიერება არაპრესტიჟულ საქმიანობად აქციეს, ბევრმა მეცნიერმა ახალ ვითარებას ალღო ვერ აუღო და შემოქმედებით მუშაობას განერიდა, პროფესია შეიცვალა, სარფიან საქმიანობას მიჰყო ხელი. და მაინც, ამ მძიმე პირობებში, მეცნიერების დარგს კვლავაც წარმატებით ემსახურება მრავალი გამოჩენილი მეცნიერი, პედაგოგი. მათი თავდადებული შემოქმედებითი შრომა აუცილებლად ცნობილი უნდა გახდეს, საზოგადოების მიერ იქნას აღიარებული და დაფასებული. ამ ფაქტორს არსებითი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ახალგაზრდების აღზრდისათვის, არამედ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ამაღლებისთვისაც.

უკვე ცხადი გახდა, რომ თუნდაც კარგი ბიზნესით, ვაჭრობით და ალებ-მიცემობით შორს ვერ წავალთ. ამჟამინდელ მძიმე პირობებს თანამედროვე მეცნიერული ანალიზი, მაღალკვალიფიციური კადრები, მეცნიერულად ტევადი ტექნოლოგიები ესაჭიროება. ასეთ პირობებში, განსაკუთრებული გულისხმიერება უნდა გამოვიჩინოთ ცნობილი ქართველი მეცნიერების თავდადებული შემოქმედებითი საქმიანობის მიმართ და მათი წარმატების მაგალითზე ქართველ ახალგაზრდებს კვლავ გავუნათოთ პერსპექტიული, შემოქმედებითი ცხოვრების გზა. სწორედ ერთ-ერთი ასეთი გამოჩენილი მეცნიერია ასლან ცივაძე. მან კოორდინაციულ ქიმიაში მსოფლიო აღიარება პოვა და დღეისათვის ამ დარგის ერთ-ერთი წამყვან მეცნიერად ითვლება.

ამჟამად საყოველთაოდ აღიარებულია კოორდინაციული ქიმიის, როგორც ქიმიური მეცნიერების ერთ-ერთი დარგის უდიდესი მნიშვნელობა მედიცინის, ტექნიკის, სოფლის მეურნეობის და თვით ქიმიური მეცნიერების განვითარებაში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, უბრალოდ, წარმოუდგენელია მის გარეშე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი. განუზომელია კოორდინაციული ნაერთების წამყვანი როლი სასიცოცხლო პროცესების უზრუნველყოფაში, მეტალოკომპლექსურ კატალიზში, ჰიდრომეტალურგიაში და ა. შ. კარგად არის ცნობილი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქიმიური ელემენტების და განსაკუთრებით მსუბუქი მეტალების იზოტოპების განცალკევებას. კომპლექსწარმოქმნა ამ პროცესშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს. საკმარისია ითქვას, რომ კომპლექსწარმოქმნის საფუძველზე ბორის იზოტოპების განცალკევება წარმატებით არის გადაჭრილი.

პირველი ცნობა 1979 წელს გამოჩნდა (ამერიკელი მეცნიერი ჯეპსონი) იმის შესახებ, რომ ლითიუმის იზოტოპების განცალკევება შესაძლებელია ქიმიურგაცვლით სისტემებში — ლითიუმის მარილი — 2,21 — კრიპტანდი — კომპლექსწარმოქმნის საფუძველზე. ამ მოკლე ცნობიდან ძნელი იყო მოწოდებული სისტემის ტექნოლოგიური ვარგისიანობის და იმ დროს რეალურად მოქმედი ამალგამური მეთოდის მიმართ მისი კონკურენტუნარიანობის შესახებ დასკვნის გაკეთება. ამალგამური მეთოდის ეკოლოგიურად ძალზე მავნებლობის სიცხადის გამო აუცილებელი იყო ალტერნატიული სისტემების და მეთოდების გამონახვა. ამ მიმართულებით ორი ათეული წლის განმავლობაში მთელ მსოფლიოში ჩატარებული კვლევების საფუძველზე გამომუშავებული იყო სხვადასხვა სისტემა, მაგრამ საწარმოო მასშტაბით ვერც ერთი მათგანი ვერ ცვლიდა ამალგამურ მეთოდს. ამ ფონზე ჯეპსონის მოსაზრება მიმზიდველად და ძალზე საკამათოდაც გამოიყურებოდა. საქმე ის არის, რომ ქიმიურგაცვლით სისტემებში იზოტოპების განცალკევების ერთჯერადი ეფექტის მრავალჯერადი გამრავლება ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული და ძალზე რთულ პროცესს წარმოადგენს. მეორე მხრივ, პედერსონისა (1967 წ.) და ლენის (1970 წ.) მიერ აღმოჩენილი კრაუნ-ეთერები და კრიპტანდები ნაერთთა ერთადერთ კლასს წარმოადგენენ, რომლებიც ტუტე მეტალების მარილებთან წარმოქმნიან მდგრად ლიპოფილურ კოორდინაციულ ნაერთებს. კრაუნ-ეთერების და კრიპტანდების ეს უნიკალური თვისება ტუტე მეტალების იზოტოპების განცალკევებაში მათს საფუძველზე შექმნილი სისტემების პერსპექტიულობაზე მიუთითებდა. სამწუხაროდ, იმ დროს ჩვენი ქვეყანა საერთოდ არ აწარმოებდა ამ ძალზე ძვირადღირებულ კრაუნ-ეთერებსა და კრიპტანდებს. კრიპტანდების გამოყენებით მიღებული სისტემების ეფექტიანობის შესამოწმებლად საჭირო იყო სულ ცოტა ათი გრამი ექსტრაგენტი.

დღის წესრიგში დადგა სხვადასხვა კრაუნ-ეთერებისა და კრიპტანდების მცირე რაოდენობით მაინც მიღება, მათი კომპლექსოქიმიური, ექსტრაქციული, იზოტოპების განმაცალკევებელი თვისებების შესწავლა; ყველაზე ეფექტიანი და პერსპექტიული სისტემების ფიზიკურ-ქიმიური საფუძვლების შემუშავება. მაშასადამე, საჭირო იყო კოორდინაციული ქიმიის და იზოტოპების ფიზიკურ-ქიმიური კვლევის დარგში მომუშავე მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ძალისხმევის გაერთიანება და მეცნიერული კვლევის დაწყება.

თეორიული და უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე ამ პრობლემის გადაწყვეტა შესთავაზა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნ. კურნაკოვის სახელობის ზოგადი და არაორგანული ქიმიის ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ ახალგაზრდა ქართველ მეცნიერს, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორს ასლან ცივაძეს, რომელიც იმ დროს აღნიშნულ ინსტიტუტში ფიზიკურ-ქიმიური კვლევის სექტორის გამგედ მუშაობდა.

ასლან ცივაძემ 1959 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა ბათუმის პირველი საშუალო სკოლა, ხოლო 1966 წელს ასევე წარჩინებით — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტი. ინსტიტუტში ის ერთ-ერთი გამორჩეული სტუდენტი გახლდათ. მეოთხე კურსის ფრიადოსანი სტუდენტი ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარედ (განთავისუფლებული, ხელფასით) და დიდი სამეცნიერო საბჭოს წევრად აირჩიეს. საზოგადოებრივი მუშაობის აქ მიღებული გამოცდილება მას დიდად გამოადგა მენდელეევის საერთაშორისო ყრილობების საორგანიზაციო კომიტეტის მთავარ სწავლულ მდივნად მუშაობისას. 1967-70 წლებში მოსკოვში გაიარა ასპირანტურის კურსი ზოგადი და არაორგანული ქიმიის ინსტიტუტში, 1970 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1979 წელს, 36 წლის ასაკში იმავე ინსტიტუტში ბრწყინვალედ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. ამ დროისათვის ასლან ცივაძე უკვე მსოფლიოში აღიარებულ სპეციალისტად ითვლებოდა. მისი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირითად სფეროს ბიოლოგიურად აქტიურ ორგანულ ლიგანდებთან მეტალთა კოორდინაციული ნაერთების სინთეზი და სპექტროქიმიური კვლევა შეადგენდა. იმ პერიოდში მსოფლიოს მრავალ სამეცნიერო ცენტრში აღორძინების გზაზე იდგა ლაზერული წყაროების საფუძველზე სინათლის კომბინაციური გაბნევის სპექტროსკოპიული მეთოდი. ყოფილ საბჭოთა კავშირში მან პირველმა განავითარა ეს მეთოდი და კოორდინაციული ნაერთების კვლევის მძლავრ იარაღადაც აქცია.

იზოტოპების განცალკევების (გაყოფის) სფეროში კვლევები ასლან ცივაძემ 1982 წლის სექტემბერში დაიწყო. უკვე ორი წლის შემდეგ მიიღო კრაუნ-ეთერების საშუალებით ლითიუმის იზოტოპების განცალკევების დამადასტურებელი პირველი საავტორო მოწმობა. შემდგომ საავტოროების და საზღვარგარეთის ქვეყნებიდან მიღებული პატენტების რიცხვმა თხუთმეტს მიაღწია. ამავე პერიოდში იაპონელი მეცნიერების მიერ იქნა მოწოდებული ანალოგიური სისტემა, მაგრამ ქართველი მეცნიერის მიერ დამუშავებულ სისტემებსა და მეთოდებს პრინციპულად განსხვავებული მახასიათებლები აღმოაჩნდა, რაც იზოტოპების განცალკევების ერთჯერადი ეფექტის მრავალჯერადი გამრავლების საშუალებას იძლევა. ექსტრაგენტად გამოიყენებოდა ამ დროისათვის უკვე ხელმისაწვდომი კრაუნ-ეთერები, რომელთა წარმოებაც ქართველი მეცნიერის ინიციატივით და მის მიერვე მოწოდებული მეთოდებით ოდესის ფიზიკურ-ქიმიურმა და მოსკოვის ქიმიური რეაქტივების ინსტიტუტებმა დაიწყეს, რაც შეეხება ჯეპსონის მიერ კრიპტანდების საფუძველზე დამუშავებულ სისტემას, მთელი რიგი მიზეზების გამო ის სრულიად არაეფექტიანი აღმოჩნდა.

პირველ ორ-სამ წელიწადში მიღწეული კვლევის ბრწყინვალე შედეგები ფიზიკურ-ქიმიური სექტორის ტუტე და იშვიათი მეტალების კოორდინაციული ქიმიის ლაბორატორიად გარდაქმნის საფუძველი გახდა. მისი ხელმძღვანელობით ამ ლაბორატორიის კოლექტივმა მსოფლიო მნიშვნელობის შედეგები მიიღო მაკროციკლური ეთერებით იზოტოპების განცალკევებაში, ჰექსადენტატური ამინოპოლიეთერების და კრაუნ-ეთერების ტემპლატურ სინთეზში, კრაუნ-ეთერებთან, აზაკრაუნ-ეთერებთან, ფოსფორილ- და ამინშემცველ პოდანდებთან, კრაუნჩანაცვლებულ ფტალოციანინებთან ტუტე და იშვიათი მეტალების კოორდინაციული ნაერთების ქიმიაში.

დამუშავებულია და დანერგილი ლითიუმის, მაგნიუმის, კალციუმის, კალიუმის იზოტოპების განცალკევების სრულიად ახალი ექსტრაქციული მეთოდები. შექმნილია ეკოლოგიურად უსაფრთხო, მაღალეფექტიანი ტექნიკური პროცესების ფიზიკურ-ქიმიური საფუძვლები. შემუშავებულია კრაუნ-ნაერთების სპექტრალურ-კონფორმაციული ანალიზის მეთოდი. ეს საშუალებას იძლევა ცალსახად დადგინდეს კრაუნ-ლიგანდების კონფორმაცია და გეომეტრიული პარამეტრები კრისტალურ და გახსნილ მდგომარეობაში, კომპლექსოქიმიური, ექსტრაქციული და იონსელექტიური თვისებების ცვლილება სხვადასხვა ფაქტორებზე დამოკიდებულებით. დიდი წარმატებებია მიღწეული ფოტოსენსიბილიზატორების, ელექტროქიმიური და სენსორული მასალების მიღებასა და კვლევაში.

თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის მანძილზე პროფესორმა ასლან ცივაძემ გამოაქვეყნა 310 სამეცნიერო შრომა, მათ შორის 4 მონოგრაფია, მიიღო 30-ზე მეტი პატენტი და საავტორო მოწმობა. მისი ხელმძღვანელობით შესრულდა და წარმატებით არის დაცული 10 საკანდიდატო და 3 სადოქტორო დისერტაცია, რომელთა ავტორთაგანაც თითქმის ნახევარი საქართველოში მოღვაწეობს. ის მსოფლიოს ქიმიკოსთა ყველაზე დიდი ფორუმის — ზოგად და გამოყენებით ქიმიაში მენდელეევის საერთაშორისო XI, XII, XIII, XIV, XVI ყრილობების საორგანიზაციო კომიტეტის მთავარი სწავლული მდივანი იყო. არის ქიმიური ჟურნალის „კოორდინაციული ქიმია“ რედკოლეგიის და რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საატესტაციო კომისიის ექსპერტთა საბჭოს წევრი, მრავალი საერთაშორისო პროგრამისა და გრანტის ხელმძღვანელი.

1997 წელს ასლან ცივაძე, 54 წლის ასაკში რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრკორესპონდენტად აირჩიეს. ქართველ ქიმიკოსთა შორის დღემდე ეს პატივი 1927 წელს წილად მხოლოდ დიდ პეტრე მელიქიშვილს ხვდა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამოშვებულთა შორის კი იგი პირველია, ვინც ამ აკადემიაში აირჩიეს. გარდა ამისა, ის სხვადასხვა საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრია, თუმცა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში არჩევა ნამდვილად განსაკუთრებულად საპატიოსა და დიდ აღიარებას წარმოადგენს. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ნობელის პრემიის ბევრი ლაურეატი (დირაკი, შრედინგერი, ბორი და სხვ.) უაღრესად პრესტიჟულად თვლიდა არჩევას რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში.

ასლან ცივაძემ დიდი წვლილი შეიტანა კოორდინაციული ქიმიის მსოფლიოში აღიარებული ქართული სკოლის შექმნასა და განვითარებაში, რისთვისაც 1998 წელს მას მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

რეზო მაჩხოშვილი,
პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

განცხადება

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს ბორჯომის რაიონული სასამართლოს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

1. სასამართლო სხდომის მდივანი — 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო — 100 ლარი);
2. კანცელარიის გამგე — 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო — 105 ლარი);
3. წამყვანი სპეციალისტი — 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო — 80 ლარი);

კონკურსის პირობები:

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდგომ — კონკურსი) უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასათვის.

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას.

კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატების ასაკი განსაზღვრულია ქალებისათვის 21-დან 60 წლამდე, მამაკაცებისათვის 21-დან 65 წლამდე.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- *სასამართლოს სხდომის მდივნის თანამდებობაზე:*
  — სასურველია უმაღლესი იურიდიული განათლება;
  — აქვს სხდომის მდივნად მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება ან გავლილი აქვს სასწავლო კურსი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრში.
- *კანცელარიის გამგის თანამდებობაზე:*
  — უმაღლესი ან არასრული უმაღლესი იურიდიული განათლება;
  — სასურველია სასამართლოში მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება;
  — კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.
- *წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე:*
  — სასურველია უმაღლესი ან არასრული უმაღლესი იურიდიული განათლება;
  — კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება.

კონკურსს ატარებს ბორჯომის რაიონული სასამართლოს საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

კონკურსის მონაწილენი გაივლიან ატესტაციას.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა ბორჯომის რაიონულ სასამართლოში უნდა წარადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ავტობიოგრაფია წერილობით განცხადებასთან ერთად;
2. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობა;
3. უკვე გაცემული შრომის წიგნაკი.

საბუთები მიიღება ორი კვირის ვადაში განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

კონკურსი მოეწყობა განცხადების გამოქვეყნების დღიდან სამი კვირის შემდეგ.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად).

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საკონკურსო-საატესტაციო კომისიას შემდეგ მისამართზე:

380002 ბორჯომი,
დავით აღმაშენებლის ქ. № 14,
ბორჯომის რაიონული
სასამართლო.
ტელ: 2-30-60; 2-12-98;
2-20-50; 2-26-42.

საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიურო.

სპორტი

ფეხბურთი

ზე წვიმა უშლის სახურავს, საძირკველს უთხრის წყალია...

დღეს, 28 ივლისს, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩში საქართველოს უცვლელი ჩემპიონი თბილისის „დინამო“ კიშინიოვის „ზიმბრუს“ მასპინძლობს.

იმის გაგება, თუ როგორ ხვდება ეროვნული სტადიონი ევროტურნირის ორთაბრძოლებს, ცხადია, ჩვენი გულშემატკივრებისთვის მეტად საინტერესო იქნება. მით უმეტეს, რომ ამ ცოტა ხნის წინათ თბილისში ხმა დაირხა, ეროვნულ სტადიონზე ხელოვნური განათების უვარგისობისა და ინდივიდუალური სკამების უკმარისობის გამო, შეიძლება, უეფამ თბილისის „დინამოს“ ჩემპიონთა ლიგაში თამაშის ნება არ დართოსო.

უპირველესად, სწორედ ამ საკითხის გარკვევა ვცადეთ ეროვნული სტადიონის სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გივი მაზიაშვილთან საუბრისას.



– სამეთვალყურეო საბჭოს შექმნისთანავე შევეცადეთ, გაერკვეულიყავით ჩვენი სტადიონის ყველა პრობლემაში, – შორიდან დაიწყო ბატონმა გივიმ, – აღმოჩნდა, რომ, პირველ რიგში, გამაგრების სამუშაოები უნდა დაგვეწყო. როცა აქ აიგო სტადიონი, სადრენაჟო ქსელი 12 მეტრის სიღრმეზე გადიოდა, მაგრამ მერე ამოივსო და ახლა საძირკველს ძირს უთხრის მიწისქვეშა წყლები. უწინ ისინი მტკვარში ჩაედინებოდა, მაგრამ სანაპიროს საყრდენი კედლის აშენებამ, ფაქტობრივად, აეარიული გახადა არა მარტო სტადიონი, რომელიც ამჟამად სანახევროდ წყალზე დგას, არამედ თბილისის მთელი რიგი უბნები. ქალაქის მერიამ უდიდესი დაინტერესება გამოიჩინა — დააფინანსა გამაგრებითი სამუშაოები, ტენდერში „საქგვირაბმშენმა“ (უფროსი ავთანდილ ჩალაძე) გაიმარჯვა და საქმესაც გულით მოეკიდა. სამუშაოების გარკვეული ნაწილი უკვე ჩატარდა...

– მაშ, „ზიმბრუსთან“ მატჩზე მოსულ ქომაგებს არ უნდა ვეშინოდეს, რომ ტრიბუნები ფეხქვეშ გამოგვეცლება?

– უკვე გითხარით, რომ საფუძველს გამაგრების პირველადი სამუშაოები ჩატარებულია, ამდენად, საშიში არაფერია. თუ საამისო სახსრები იქნა, საძირკველქვეშა წყლებსაც ეშველება. იცით, რომ 20 ათასი ინდივიდუალური სკამი დავამონტაჟეთ, თუმცა, სანახევროდაც არ არის საქმე მოგვარებული. არადა, უნდა ვიჩქაროთ, თუნდაც იმიტომ, რომ ინდივიდუალური სკამების დადგმისას იარუსების საიზოლაციო სამუშაოებიც ტარდება და ამით ტრიბუნებქვეშ მოთავსებულ დარბაზებს და საცურაოსაც ვუშველით. სასწრაფოდ არის დასამთავრებელი სახურავის საიზოლაციო სამუშაოები, რადგან წვიმის წყალი ჩადის რკინა-ბეტონის ფილებში, იწვევს კოროზიას და შეიძლება სახურავი თავზე დაგვემხოს. 25 ათასი კვადრატული მეტრიდან 7 ათას კვადრატულ მეტრზე სახურავის იზოლაცია გამოვიცვალეთ და ისევ ქალაქის მერიის, კერძოდ, ბატონ ვანო ზოდელავას თანადგომით (სხვათა შორის, მერიის ამ თანადგომაზე გუშინ პრესკონფერენციისას საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა რომან შოთაძემაც ილაპარაკა).

სხვა პრობლემებიც გვაწუხებს. უპირველესად, ეს ეხება ხელოვნურ განათებას. დღეისთვის ის 500 ლუქსამდეც ვერ აღწევს, სულ მცირე კი 1200 ლუქსი მაინც უნდა იყოს. **უეფამ** არაერთხელ გაგვაფრთხილა, მაგრამ დღემდე არაფერი ეშველა. მახსოვს, გერმანელებთან და იტალიელებთან შეხვედრისას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ სპეციალურად მოიწვია უცხოელები განათების გასაძლიერებლად. მათ ჩამოიტანეს ძლიერი პროჟექტორები, მატჩების შემდეგ კი თან წაიღეს თავიანთი ნათურები. უმჯობესი იყო, ცოტა მეტი გაგვეღო და საკუთარი განათება დაგვემონტაჟებინა. სულ მათხოვრის როლში ხომ არ უნდა ვიყოთ? როდემდე ვაგზავნოთ **უეფაში** საგარანტიო წერილები? ამ პრობლემის მოგვარება უფულობის გამო სტადიონის დირექციას თუ სამეთვალყურეო საბჭოს არ შეუძლია. ვერც მერიის ბიუჯეტი გასწვდება ამას. წილობრივად უნდა გაიღონ თანხები მერიამ, „დინამოს“ საფეხბურთო კლუბმა და ფეხბურთის ფედერაციამ.

– თქვენ უსახსრობა ახსენეთ. საერთოდ, რა შემოსავალი გაქვთ?

– უმთავრესად მერიის კმაყოფაზე ვართ. ჩვენ შემოსავლები უნდა გვქონდეს საფეხბურთო მატჩებიდან, ტელევიზიიდან, რეკლამებიდან, კომერციული საქმიანობიდან და სპონსორების წყალობით. ჰოლანდიაში „აიაქსის“ სტადიონს 13 მილიონერი სპონსორი ჰყავს. ჩვენთან გსმენიათ, ვინმემ რამე შემოგვწირა? შარშან ბილბაოს სტადიონის ხელმძღვანელობას ველაპარაკეთ. ტელევიზიიდან მხოლოდ 12 მილიონი დოლარი გვაქვსო შემოსავალი, გვითხრეს უკმაყოფილოებმა. „ატლეტიკთან“ თამაშისას ჩვენთან ბილეთი 4 ლარი ღირდა, ბილბაოში კი ყველაზე იაფი ბილეთი – 50 დოლარი, თან, 42-ათასიანი სტადიონი გადაჭედილი იყო. თქვენ იტყვით, იქ ხალხის ცხოვრების დონე მაღალიაო. გეთანხმებით, მაგრამ მოედანს და, საერთოდ, სტადიონს, თბილისშიც ისევე უნდა მომზადება, როგორც ბილბაოში. რა ექნათ, ჩვენ თუ არავინ შეგვეშველა. ბოლო დროს სათანადო რემონტი გავაკეთეთ და კეთილმოვაწყვეთ გასახდელები, საშხაპეები, მსაჯთა ოთახი, საკონფერენციო დარბაზი. ცხელი წყლის პრობლემაც მოვაგვარეთ. კიდევ უამრავი სამუშაოა ჩასატარებელი. საიდან? საკუთარი შემოსავალი, ისიც კომერციული საქმიანობით, ძალზე მცირეა.

– ბატონო გივი, სტადიონის ტერიტორიაზე გარევაჭრობის ექსპანსია თუ ასე გაგრძელდა, მეორედ ინტერვიუსთვის თქვენთან შეიძლება ვერც შემოვაღწიო...

– ვიცი, რისი თქმაც გსურთ. უწინ სტადიონის ტერიტორია ავტობუსების სადგომად იყო ქცეული. შემოსასვლელს ჯიხურები ხიდავდა, რაღაც ვაგონებში შეხიზნული საზკვების ობიექტები აუშნოებდა აქაურობას. წლეულს ყველაფრისგან გავწმინდეთ ტერიტორია. მართალია, არც გარე ავეჯით ვაჭრობა მოგვწონს, მაგრამ მალე მათ კეთილმოწყობილი მაღაზიები ექნებათ — სტადიონის რეკონსტრუქციის ავტორის არქიტექტორ გია ქურდიანის დიზაინით სტადიონის კოლონებს შორის, სადაც ეს მოსახერხებელია, კეთილმოეწყობა მეავეჯეთა მაღაზიები, რაც საკმაოდ სოლიდურ შემოსავალს მოგვიტანს. სახსრები კი ნამდვილად გვჭირდება, რადგან შესაკეთებელ-კეთილმოსაწყობი თანამედროვე დონეზე საკმაოდ ბევრი რამ არის. თუმცა, ამჯერად არ მინდა მკითხველს კიდევ უფრო შევაწყინო თავი პრობლემებზე საუბრით. 28 ივლისს ხომ ჩვენთან, ფაქტობრივად, ახალი საფეხბურთო სეზონი იწყება. მსურს, რომ „დინამო“-„ზიმბრუს“ მატჩზე გულშემატკივრები ამაღლებული განწყობილებით მოვიდნენ და უწინდებურად ომახიანად ვუქომაგოთ ჩვენს საყვარელ გუნდს. იმედია, დინამოელებიც არ გაგვაწბილებენ და ახალი სეზონის „სადებიუტო“ ორთაბრძოლას ბურთების სასურველი მარაგით დაასრულებენ, რითაც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში გაღწევის შანსს განიმტკიცებენ.

ესაუბრა
ვაჟა დანელია.

პრესკონფერენცია

გუშინ ევროპული სასწავლო-საწვრთნელი შეკრებიდან დაბრუნებულ საქართველოს უცვლელ ჩემპიონთა ჰოლანდიელმა თავკაცმა იოჰანეს ბოსკამპმა მასმედიის წარმომადგენლებს დინამოელთა დიღმის ბაზაზე უხმო და პრესკონფერენცია ახალწვეულებზე საუბრით დაიწყო:

იოჰანეს ბოსკამპი: „ზიმბრუ“ ძლიერი მეტოქეა

– ბელგიელი მეკარე დენი დონდტი („ლოკერენი“) 18 წლის ასაკიდან იქაურ უმაღლეს დივიზიონში ასპარეზობდა და გამოსვლებზე კარგი თამაშით გამოირჩევა. მან უცხოურ შეკრებაზე ცხრა დღეს ივარჯიშა ჩვენთან, ერთ მატჩშიც მიიღო მონაწილეობა და ვთვლი, რომ კარის საიმედო დარაჯი შეგვემატა. არადა, არ დაგავიწყდეთ, რომ ამ პოსტზე მწვავე კონკურენციაა ჩვენს კლუბში და უკვე 7 ფეხბურთელი გამოვცადეთ. დონდტის სატრანსფერო ფურცელს ბელგიიდან წუთი-წუთზე ველოდებით. რაც შეეხება ბრაზილიელ თავდამსხმელ სილვიო ანდრე დე სოუზას, მისი გათავისუფლების ბარათი უკვე მივიღეთ. „გუარანის“ აღზრდილის თავისებურებად მეტოქის კარისგან ბურთის ზურგშექცეული მიღება და კორპუსით დაფარვა მიმაჩნია, ღირსებად კი – თავით კარგი თამაში. მართალია, დე სოუზას არცთუ მცირე გაბარიტები აქვს, მაგრამ 3-4 ნაბიჯი მისთვის საკმარისია ოპტიმალური სიჩქარის ასაკრეფად. კმაყოფილი ვარ ქართველი ახალბედებითაც (ჭიჭველიშვილი, სიჭინავა, კობიაშვილი, შაშიაშვილი), თუმცა, პარტნიორთა მსგავსად, მათაც ერთი საერთო დიდი მინუსი – ბურთის ხანგრძლივად თრევა და 5-6 შეხება – ახასიათებთ. გუშინ „დინამოში“ დაიწყო ვარჯიში ზირაქიშვილმა, მაგრამ მისი დამატება ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპიდან თუ მოხერხდება. ქვეყნის ჭაბუკთა და ეროვნული ნაკრების წვერთან იმედაძესთან დაკავშირებით კი ქუთაისელ კოლეგებთან მოლაპარაკების შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ იგი წლეულს „ტორპედოში“ დარჩეს.

– ჩემამდე მოაღწია ხმებმა, თითქოს ბიჭები უზომო დატვირთვებისგან გადამწვარნი იყვნენ. როგორ გეკადრებათ. რომელ დაღლილობაზეა საუბარი, როცა დილის ვარჯიშზე ისინი ცხრა საათის ნაცვლად ცხრის ნახევარზე მოდიან. ეტყობა, ზოგიერთნი იმას გულისხმობდნენ, რომ ფეხბურთელებს გაჭიანურებული შეკრების ბოლო დღეებში ნოსტალგია მოეძალათ, მაგრამ რა არის ამაში ცუდი? საერთო ჯამში, საზღვარგარეთულ შეკრებას, მეორე ბუნდესლიგის „მაინცთან“ დამარცხების (1:4) გარდა, დადებითად ვაფასებ. მსურს, განსაკუთრებით შევჩერდე ქართველთა ტრადიციულ „აქილევსის ქუსლზე“ – სტანდარტულ სიტუაციებზე. ნუ გგონიათ, ეს საკითხი არ გვაღელვებდეს. აღნიშნული კომპონენტების დასახვეწად მონდომებით ვვარჯიშობთ და შემიძლია გაუწყოთ, რომ სახვაძე აუტს 25 მეტრზე აწოდებს, საჯარიმოებსა და პენალტებს კი უკვე 4-5 ფეხბურთელი ურტყამს კარგად. საჭირბოროტოდ მესახება დაცვის თამაში. ამ რგოლში უპირატესობას ურთიერთდაზღვევის სისტემას ვანიჭებ და ამხანაგურ მატჩებში მხოლოდ ერთხელ, ზემოთ ნახსენებ „მაინცთან“ გავწბილდით.

– როგორც ყველა მწვრთნელს, მეც საკუთარი შეხედულება გამაჩნია გუნდის ლიდერის თაობაზე. სწორედ ამით ვხელმძღვანელობდი, როცა რატი ალექსიძის ნაცვლად „დინამოს“ კაპიტნად, გამოცდილებისა და ღირსებების გათვალისწინებით, გივი დიდავა დავნიშნე.

– რაც შეეხება ჩვენს სადღეისო პრობლემებს, გამორიცხულია ტრავმირებული ხიზანეიშვილის თამაში, ასევე დაშავებული სახვაძის საკითხი კი უშუალოდ შეხვედრის დაწყების წინ გადაწყდება. ვფიქრობ, დაგაინტერესებთ ჩემეული პროგნოზიც. მოკლედ მოგახსენებთ: „ზიმბრუ“ ძლიერი მეტოქეა და მისი შეუფასებლობა არ შეიძლება.

– დავძენთ, რომ საქართველოსა და მოლდოვას ჩემპიონთა დღევანდელ მატჩს ავსტრიელ მსაჯთა ბრიგადა გაუძღვება, **უეფას** ოფიციალური დელეგატი კი გამოჩენილი უკრაინელი მეკარე ვიქტორ ბანნიკოვი იქნება.

გია პლატონიშვილი.

თბილისის „დინამოს“ განაცხადი ჩემპიონთა ლიგის 1999-2000 წლების გათამაშებაში

დენი დონდტი, ოთარ ხიზანეიშვილი, დავით ჭიჭველიშვილი, გივი დიდავა, თენგიზ კობიაშვილი, არჩილ სახვაძე, გიორგი კიკნაძე, რატი ალექსიძე, მიხეილ აშვეთია, თენგიზ სიჭინავა, სოსო გრიშიკაშვილი, ირაკლი ვაშაკიძე, პაატა ჯინჭარაძე, გიორგი შენგელია, ლევან ხომერიკი, ვასილ გიგიაძე, ვალტერ გუჩუა, კახი გოგიჩაიშვილი, სილვიო ანდრე დე სოუზა, იოსებ გიგიაძე, ზურაბ ხიზანიშვილი, კლიმენტი წიტაიშვილი, გიორგი შაშიაშვილი, ვალერი აბრამიძე, ოლეგ გველესიანი, გიორგი მიქაძე, რევაზ ქემოკლიძე, გიორგი ლომაია, ზურაბ ბათიაშვილი.

მწვრთნელები: იოჰანეს ბოსკამპი, ფრანსუა დე იონგი, გიორგი გეგუჩაძე, გელა ჭანტურია.

ჭიდაობა

შანსი არის!

სექტემბრის მიწურულს ათენი ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა 1999 წლის მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს. მედლების პარალელურად აქ სიდნეის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიებიც გათამაშდება. შეჯიბრებისათვის მონდომებით ემზადება საქართველოს ეროვნული ნაკრები. ფალავანთა კლუბში ერთ-ერთი ვარჯიშის შემდეგ ვესაუბრე საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს **ტარიელ მელელაშვილს.**

– თორმეტი წელიწადია ვჭიდაობ, – მითხრა მან. – ჩემი მასწავლებელია საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გოდერძი ჯოხაძე. მისი ხელმძღვანელობით 1995 წელს მოვიპოვე მსოფლიო ჩემპიონობა ახალგაზრდებს შორის. მერე ეროვნულ ნაკრებში მომიწვიეს, 1996 წელს ატლანტის ოლიმპიადაზეც გავემგზავრე, სადაც მხარი ამოვიგდე და 2 წელიწადი ალარ მიჭიდავია. შარშან განვაახლე ვარჯიში.

– წლეულს სოფიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ხელი მოგეცარა...

– ჩემპიონატი კარგად დავიწყე, მაგრამ ფინალში გადასასვლელი ორთაბრძოლა უნგრელ ვაშაშთან წამაგებინეს, რადგან პრეზიდიუმში **ფილას** ამ ქვეყნის წარმომადგენელი იჯდა და მას ასიამოვნეს.

– წონა შეგიცვლია, – 76 კილოგრამში აპირებ გამოსვლას, სადაც ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ხვიჩა ბიჩინაშვილი გამოდის. თქვენს შორის ათენში ვინ გაემგზავრება?

– წონითი კატეგორია იმიტომ შევიცვალე, რომ ძალიან მიძნელდება ზედმეტი კილოგრამების დაკლება. ახლა ხვიჩასთან მექნება „დუელი“.

აგვისტოში ვარშავა „ა“ კატეგორიის საერთაშორისო ტურნირს მასპინძლობს. მე და ხვიჩაც გამოვალთ. ვინც უკეთ იჭიდავებს, საბერძნეთის საგზურსაც ის მიიღებს. ისე, ჩვენ ორჯერ შევხვედით ერთმანეთს და ანგარიში თანაბარია.

– ახლა როგორ გრძნობ თავს, ზედმეტი წონა არ გაწუხებს?

– დღეისთვის 78 კილოგრამს ვიწონი. ვარშავაში წასვლამდე დავიკლებ. თუ იქ წარმატებას მივაღწიე და ათენის ხალიჩაზე გამოსვლის უფლება მოვიპოვე, ძალ-ღონეს არ დავიშურებ ოლიმპიური ლიცენზიის მისაღებად. მსოფლიო ჩემპიონატზე 3 შერკინება მაინც უნდა მოვიგო ხუთეულში მოსახვედრად. სალიცენზიო ტურნირები 2000 წლის დასაწყისშიც იქნება, მაგრამ ახლა მეტად ხელსაყრელი მომენტია და ამ შანსის ხელიდან გაშვება არ შეიძლება.

თამთა კერვალიშვილი.

ზაფხული-99

„ლაგუნა-ვერეს“ ცისფერი ბილიკებით

ბრილი „დებიუტის“ შემდეგ ზაფხულმა თავისი ძალა გვაგრძნობინა. თბილისში ხვატია. ქალაქში დარჩენილთა ერთმა ნაწილმა თბილისის ზღვას, ლისის და კუს ტბებს მიაშურა. ზოგმა მტკვრის სანაპიროზე „ლაგუნა-ვერეს“ ცისფერი ბილიკები, იქ სხეულის გაკაჟება და მზის აბაზანების მიღება ამჯობინა. თუმცა, ამ სიამოვნების მიღება ჩვენი შეჭირვებული ცხოვრების გამო, ყველას არ შეუძლია, რადგან სპორტულ კომპლექსში აუზით, საუნით თუ სავარჯიშო დარბაზებით სარგებლობა საკმაოდ ძვირია.

– სააქციო საზოგადოება „ლაგუნა-ვერეს“ ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა მოსახლეობის დღევანდელი ეკონომიური მდგომარეობა, ისიც, რომ ზაფხულობით აუზზე მეტი მოთხოვნილებაა და გადაწყვიტა, **პირველი აგვისტოდან საგრძნობლად შეამციროს როგორც აბონემენტების, ისე ერთჯერადი შესვლის ფასები.** – განაცხადა სპორტული კომპლექსის გენერალურმა დირექტორმა ვლადიმერ ზოიძემ. – ჩვენთან მშობლები ხშირად შვილებთან ერთად მოდიან, ამიტომ აქაც გავითვალისწინეთ შეღავათები. კერძოდ, 5 წლამდე ბავშვები უფასოდ შემოდიან კომპლექსში, ხოლო 5-დან 10 წლამდე ყმაწვილები ერთჯერადი დასწრებისთვის ღირებულების ნახევარს გადაიხდიან...

გაუწყებთ „ლაგუნა-ვერეს“ სპორტული კომპლექსით სარგებლობის ზოგიერთ ნიხრს პირველი აგვისტოდან:

7-დან 9 საათამდე: აუზში 2 საათით ერთჯერადი შესვლა 2 ლარი ღირება; აბონემენტით 12 დასწრება – 20 ლარი, 24 დასწრება – 35 ლარი. საუნა „სილამაზის კერიდან“ აუზის ერთჯერადი სარგებლობა – 4 ლარი.

9-დან 13 საათამდე: ერთჯერადი შესვლა 4 საათით – 4 ლარი, აბონემენტით 12 დასწრება – 40 ლარი, 24 დასწრება – 72 ლარი. საუნით სარგებლობის ღირებულება აქ უცვლელია – 4 ლარი.

14-დან 21 საათამდე: ერთჯერადი შესვლა 7 საათით – 6 ლარი, აბონემენტით 12 დასწრება – 60 ლარი, 24 დასწრება – 110 ლარი. საუნიდან აუზის ერთჯერადი სარგებლობა – 10 ლარი.

ცურვის შემსწავლელ ბავშვთა და მოზარდთათვის აბონემენტის საფასური (12 მეცადინეობა) 25 ლარი იქნება, ათლეტიზმისა და სავარჯიშო დარბაზების აბონემენტი (12 დასწრება) კი 30 ლარი ღირება.

მომსახურების დანარჩენ ფასებს მსურველები „ლაგუნა-ვერეში“ გაეცნობიან.

ვაჟა ნოსირელი.

სურათებზე: ერთი დღე „ლაგუნა-ვერეში“.

ავტორის ფოტო.

ჭადრაკი

მსოფლიოს რვა ჩემპიონი ჰყავდა

სიე ჟუნისა (ჩინეთი) და ალისა გალიამოვას (რუსეთი) მატჩით მთავრდება მთელი ეპოქა ქალთა ჭადრაკის ისტორიაში, რადგან შემდეგ, როგორც ცნობილია, იწყება მსოფლიო პირველობის გათამაშება ოლიმპიური, ანუ ე. წ. „ნოკაუტ-სისტემით“.

ახლა კი გადავხედოთ აღრინდელ ორთაბრძოლებს. ვინ როდის და როგორ გახდა მსოფლიო ჩემპიონი.

1927-1944 წლებში მსოფლიო ჩემპიონი იყო **ვერა მენჩიკი** (ჩეხოსლოვაკია), რომელიც ლონდონზე გერმანელთა თვითმფრინავების თავდასხმისას დაიღუპა. 1949-50 წლებში მოსკოვში მოეწყო მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ტურნირი, გაიმარჯვა **ლიუდმილა რუდენკომ** (საბჭოთა კავშირი), რომელიც მსოფლიოს მეორე ჩემპიონი გახდა. 1953 წ. ელისაბედ ბიკოვა-რუდენკო 8,5:5,5. ბიკოვა მსოფლიოს მესამე ჩემპიონია. 1956 წელს ოლგა რუბცოვამ სამთა მატჩ-ტურნირში 16 შესაძლებლიდან 10 ქულით პირველი ადგილი დაიკავა და მსოფლიოს მეოთხე ჩემპიონი გახდა. ბიკოვამ 9,5 ქულა მოაგროვა, რუდენკომ – 4,5. 1958 წ. ბიკოვამ დაამარცხა რუბცოვა – 8,5:5,5 და მსოფლიო ჩემპიონობა დაიბრუნა. 1959-60 წ. ბიკოვა-კირა ზვორიკინა 8,5:4,5. 1962 წ. ნონა გაფრინდაშვილი-ბიკოვა 9:2. ნონა გაფრინდაშვილი მსოფლიოს მეხუთე ჩემპიონი გახდა და ეს წოდება მან 16 წლის განმავლობაში შეინარჩუნა. 1978 წ. მაია ჩიბურდანიძე-გაფრინდაშვილი 8,5:6,5, მაია მსოფლიოს მეექვსე ჩემპიონი გახდა და ამ წოდებას 13 წლის განმავლობაში ფლობდა. 1991 წ. სიე ჟუნი – ჩიბურდანიძე 8,5:6,5. ჩინელი მსოფლიოს მეშვიდე ჩემპიონი გახდა. 1996 წ. ჟუჟა პოლგარი (უნგრეთი) – სიე ჟუნი 8,5:4,5. ახლა კი, რადგან მსოფლიოს მერვე ჩემპიონმა ჟუჟა პოლგარმა თავისი წოდების დაცვა ალარ ისურვა, მას ეს ტიტული ჩამოერთვა.

გივი გამრეკელი.

ყოველი მხრიდან

5 ოქროს მედალს უმიზნებს

მსოფლიო ჩემპიონი სპრინტში მერიონ ჯონსი მძლეოსანთა მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც სევილიაში გაიმართება 21-29 აგვისტოს, აპირებს პროგრამის ხუთ სახეობაში გამოსვლას და თითოეულ მათგანში ოქროს მედლის დასაკუთრებას. თავდაპირველად სპორტსმენი აპირებდა მხოლოდ თავის ორ ძირითად სახეობაში – 100 მეტრზე სირბილსა და სიგრძეზე ხტომაში – გამოსვლას, შემდეგ 200-მეტრიანი დისტანცია და ესტაფეტა 4X100 დაუმატა, გუშინწინ კი მისმა აგენტმა ჩარლი უელსმა განაცხადა: ჯონსი დაეთანხმა ეროვნული ფედერაციის თხოვნას და მონაწილეობის მიღებას ესტაფეტაში 4X400, მაგრამ მხოლოდ ფინალურ გარბენში.

გინესის წიგნშიც მოხვდება

ტრაპეციაზე აკრობატული ტრიუკები ძალზე რთული და საშიში საქმეა. თვით ცირკის მსახიობებსაც კი მიაჩნიათ, რომ რამდენადაც მაღალია იარაღი და რამდენადაც საშიშია მასზე ტრიუკის შესრულება, იმდენადვე საინტერესოა და მიმზიდველი. ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს მარკ დევიდიც – ამერიკის ერთ-ერთი საცირკო დასის წევრი. იგი აკრობატიკას 4 წლის ასაკიდან მისდევს. მან იმდენად დახვეწა თავისი ოსტატობა, რომ მსოფლიო რეკორდის დამყარება გადაწყვიტა. ამ დღეებში მან წარუდგინა პოლივუდის მცხოვრებლებს თავისი ნომერი ტრაპეციაზე, რომელიც დამაგრებული იყო ვერტმფრენზე. გაოცებული ხალხი თვალს ვერ აშორებდა მარჯვე ადამიანს, მაღლა ცაში რომ ქანაობდა. გამორიცხული არ არის, რომ მარკ დევიდის მიღწევა გინესის წიგნში მოხვდეს, როგორც უმაღლესი და ურთულესი ტრიუკი ტრაპეციაზე.

ჩემპიონის ტიტული აკრობატს შეიძლება მიენიჭოს არა მარტო სიმაღლისათვის, არამედ გამბედაობისათვისაც. მთელ პროგრამას ის დამზღვევი საშუალებების გარეშე აკეთებდა.

სურათზე: ვარჯიშობს მამაცი აკრობატი.

ძმა ძმისთვის...

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში სუპერმარათონი „კომრადსი“ კურიოზით დამთავრდა.

ზემარათონულ სირბილში 87,3 კილომეტრზე, მართალია, სერჟიო მოტსენენგი ფინიშთან მეცხრე მივიდა, მაგრამ უძლიერესთა ათეულში მაინც მოხვდა, რისთვისაც სამახსოვრო ოქროს მედლითა და პრემიით – 6000 რანდით (960 დოლარი) დააჯილდოვეს. მავკანიანი სამხრეთაფრიკელის საშუალო ხელფასი თვეში 2 ათასი რანდია. სერჟიო კი ამ დროს უმუშევარი იყო.

მაგრამ მალე გაირკვა, რომ მარათონში მარტო სერჟიო კი არა, მისი ძმაც მონაწილეობდა, და მედალიც და ფულიც ორივეს მონაპოვარია.

სერჟიო გამოვიდა სტარტზე და 45 წუთი ირბინა, მოძრავ ტუალეტთან მას ძმა – ფიკა ელოდებოდა. სერჟიომ ძმას გადასცა თავისი ნომერი – 13018, მანაც გზა სირბილით გააგრძელა, ფინიშთან ახლოს მათ ისევ შეცვალეს ერთმანეთი და დასვენებული სერჟიო მძლავრად მივარდა ფინიშთან.

სიცრუე მალე გამომჟღავნდა. გაზეთმა „ბელდმა“ გამოაქვეყნა ტრასაზე ორი მორბენლის ფოტო. ისინი გარეგნულად ძალიან წააგავნენ ერთმანეთს, ერთნაირად ეცვათ და ეხურათ, ნომრებიც ერთნაირი ჰქონდათ. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ერთს საათი მარჯვენა ხელზე ეკეთა, მეორეს – მარცხენაზე (!). სურათები გადაღებული იყო მარათონის ტრასის სხვადასხვა მონაკვეთზე.

სერჟიო მოტსენენგმა თავისი საქციელი ოჯახის უკიდურესი გაჭირვებით ახსნა და შენდობა სთხოვა სამხრეთ აფრიკელ ხალხს.

სპორტის რედაქცია.

იუბილე

ქართული კულტურის ტრიუმფატორი

ზუსტად 75 წელი შეუსრულდებოდა გამოჩენილ ქართველ კომპოზიტორს და ჭეშმარიტად დიდ საზოგადო მოღვაწეს ოთარ თაქთაქიშვილს — პიროვნებას, რომელმაც წარუვალი კვალი დაატყო ეროვნული კულტურის განვითარება-აღორძინებას, აღმავლობას, საკუთარი საკომპოზიტორო შემოქმედებით კი, არაერთი ბრწყინვალე ქმნილებით გაამდიდრა არა მხოლოდ ქართული, არამედ მსოფლიოს მუსიკალური ცივილიზაცია.

სწორედ ამ თარიღის აღსანიშნავად შეიკრიბნენ ქართული კულტურის ცნობილი მოღვაწეები დიდუბის პანთეონში ოთარ თაქთაქიშვილის სამარადჟამო სასუფეველთან. ვის არ მოკრავდით თვალს ყვავილებითა და თაიგულებით შემკულ საფლავთან. თუმცა, ყველას ნაღვლიანი თვალები და სახის გამომეტყველება ჰქონდა, ყველა ჭეშმარიტად განიცდიდა ამ მართლაც დიდ დანაკარგს, მაგრამ, ალბათ, ყველაზე მეტად ქალბატონი ირინე ჭირაქაძე — ოთარ თაქთაქიშვილის მეუღლე.

შეკრებილთ მოგონებებით მიმართეს ვაჟა აზარაშვილმა, გიგა ლორთქიფანიძემ, ნოდარ ანდღულაძემ, გულბათ ტორაძემ, მედეა ამირანაშვილმა, ვალერი ასათიანმა. შემდგომ, სამგლოვიარო მიტინგმა გადაინაცვლა კულტურის სამინისტროში, სადაც ჩვეული გულთბილობით ელოდნენ სტუმრებს, სწორედ იქ, სადაც თითქმის ორი ათეული წელიწადი იღვაწა ოთარ თაქთაქიშვილმა მინისტრის პოსტზე. მოგონებები, ცხადია ამ შეხვედრასაც ამშვენებდა — ნოდარ გურაბანიძე, ალეკო შალუტაშვილი, სვეტლანა ქეცბა, თამაზ ჭილაძე, ანზორ ერქომაიშვილი. გამომსვლელები ეპითეტებს არ იშურებდნენ „ბუმბერაზი ხელოვანის“, „ქართული კულტურის ტრიუმფატორის“, „უგანათლებულესი კაცის“, „დიდი, ნათელი და კეთილშობილი პიროვნების“, „დიდი მოქალაქის“ — ოთარ თაქთაქიშვილის დასახასიათებლად. ხაზგასმით აღნიშნავდნენ მის პრინციპულობას, შეუვალობას, ჰუმანურობას, აზროვნების მასშტაბურობას, გასაოცარ ინტუიციას, შრომისმოყვარეობასა და შრომისუნარიანობას, ბრწყინვალე ორატორულ ნიჭს. რასაკვირველია, ყოველი გამომსვლელის სიტყვაში უმთავრესი თემა იყო ოთარ თაქთაქიშვილის შესანიშნავი შემოქმედება, რომლის მნიშვნელობა და ფასეულობა დღესაც გაუხუნარია და არა მხოლოდ დღეს, არამედ მისი გამორჩეული ქმნილებები საუკუნეების გამოცდას გაუძლებენ და არაერთ თაობას აზიარებენ ქართული მუსიკის ბრწყინვალებას, რადგან არ დარჩენილა ჟანრი, რომელშიც წონადი ნიმუში არ შეუქმნია ოთარ თაქთაქიშვილს. გულისტკივილიც გამოთქვეს ორატორებმა — ოთარ თაქთაქიშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობა, სამწუხაროდ, ჩრდილშია მოქცეული და თითქოს დავიწყებას ეძლევა, რაც ნამდვილად დაუშვებელია (თუმცა, აღინიშნა, რომ მის ვოკალურ ქმნილებებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სტუდენტ-ვოკალისტების რეპერტუარში). გამოითქვა სურვილი საოპერო სცენაზე ოპერა „მინდიას“ აღდგენისა, და რომ სიმფონიური ორკესტრების საკონცერტო პროგრამებში კვლავაც დამკვიდრდეს მისი საუკეთესო თხზულებები. ვიმედოვნებთ, ასეც მოხდება. დღის სინათლეს ელოდება ცნობილი მუსიკისმცოდნის ანტონ წულუკიძის მონოგრაფია ოთარ თაქთაქიშვილზე, გიორგი ჭირაქაძის მოგონებები სახელწოდებით „ოთარ თაქთაქიშვილის გვერდით“.

ყოველივე ამის ხელშეწყობა და ხორცშესხმა კი, ცხადია, უკვდავყოფს არა მარტო შემოქმედის სახელს, არამედ, უწინარესად ოთარ თაქთაქიშვილის შემოქმედებას.

ზურაბ ოიკაშვილი.

დიდი ოთარის ნაკვალევზე

უკვე ათი წელიწადია, რაც ჩვენს შორის აღარ არის ოთარ თაქთაქიშვილი — გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი და საზოგადო მოღვაწე, „დიდი ოთარი“.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ როდესაც მომავლის ისტორიკოსები შეეხებიან მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ კულტურას, მის ყველაზე გამორჩეულ წარმომადგენელთა შორის ერთ-ერთ პირველ ადგილს მიუჩენენ ოთარ თაქთაქიშვილს — უნიჭიერეს, მძლავრი ინტელექტისა და ნების, ფართო მასშტაბის დიდად განათლებულ პიროვნებას, რომელმაც წარუშლელი კვალი გაავლო ქართულ მუსიკალურ კულტურასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ოთარ თაქთაქიშვილის შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობა გამოირჩეოდა მხატვრული ინტერესების იშვიათი მრავალმხრივობით და ამავე დროს, ნაყოფიერებითა და ფუნდამენტურობით: კომპოზიტორი და პედაგოგი, დირიჟორი — საკუთარი ნაწარმოებების ბრწყინვალე ინტერპრეტატორი, სსრკ კომპოზიტორთა კავშირის მდივანი სამი ათეული წლის მანძილზე (1957-დან), „საერთაშორისო მუსიკალური საბჭოს“ პრეზიდიუმის წევრი (პარიზი). იგი 1962-1965 წლებში თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი იყო, ხოლო 1965-1983 წლებში საქართველოს კულტურის მინისტრი.

ცოტას თუ ღირსებია ასეთი აღიარება: მისი ნაწარმოებები სამგზის დაჯილდოვდა სსრკ სახელმწიფო პრემიით, ლენინური პრემიით (ერთადერთი შემთხვევა, ქართულ მუსიკაში), შოთა რუსთაველის სახელობის პრემიით, მინიჭებული ჰქონდა საქართველოსა და საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის წოდებები. მისი ოპერები, ორატორიები და სხვა ნაწარმოებები იდგმებოდა და სრულდებოდა საბჭოთა კავშირის მრავალ ქალაქში, აგრეთვე საზღვარგარეთ.

კომპოზიტორის შემოქმედებითი გზა, რომელიც ოთხ ათწლეულს ითვლის, განსაკუთრებული მთლიანობითა და თანმიმდევრულობით გამოირჩევა. ფილოსოფიური ოპტიმიზმისა და ჰუმანიზმის ადამიანური თემა მსჭვალავს მის ყველა დიდტანიან ნაწარმოებს, რომლებშიც იგი წარმოგვიდგება, როგორც ეპიკური პლანის ხელოვანი-მონუმენტალისტი.

შეუძლებელია ოთარ თაქთაქიშვილის წვლილის გადაფასება ქართული მუსიკის მრავალ ჟანრში. თავის დროზე, ქართული სიმფონიური მუსიკის საყურადღებო ნიმუშებად იქნა აღიარებული მისი ორი სიმფონია, პოპულარობა მოიპოვა მსმენელებშიც და შემსრულებლებშიც პირველმა საფორტეპიანო კონცერტმა, აგრეთვე სავიოლინო კონცერტმა. შესანიშნავი ოპერები „მინდია“ და „მთვარის მოტაცება“ წარმოგვიდგენენ ქართული ოპერის ყველაზე მაღალ დონეს ზაქარია ფალიაშვილის კლასიკური ოპერების შემდეგ და შემთხვევითი არ არის მათი ბედნიერი სცენური ხვედრი. საკმარისია ითქვას, რომ პირველი მათგანი დაიდგა საბჭოთა კავშირის თითქმის ათ სხვადასხვა თეატრში, აგრეთვე უცხოეთშიც, „მთვარის მოტაცება“ მოსკოვში — დიდ თეატრში. სხვა ოპერებიც არ დარჩა შეუსრულებელი და არა მარტო საქართველოში.

ძვირფასია კომპოზიტორის წვლილი ორატორიის ჟანრში, რომელიც, მე ვიტყოდი, ყველაზე მეტად პასუხობდა მის შემოქმედებით მრწამსს — პოეტური სიტყვისა და მუსიკის სინთეზს რომ გულისხმობს, პირველ რიგში ეს არის ორატორიები „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ და, განსაკუთრებით, „რუსთაველის ნაკვალევზე“, მნიშვნელოვანია კომპოზიტორის მიღწევები სხვა ჟანრებშიც.

აღსანიშნავია ოთარ თაქთაქიშვილის კიდევ ერთი დიდი დამსახურება ქართული მუსიკის წინაშე: მან როგორც მინისტრმა და, რაც მთავარია, შემოქმედმა, დიდად შეუწყო ხელი ჩვენი დიდებული საეკლესიო საგალობლების „რეაბილიტაციასა“ და „ლეგალიზაციას“.

ახლა კი მოკლედ მისი შემოქმედებითი გზის შესახებ.

უკვე 1946 წელს 21 წლის კომპოზიტორის — თბილისის კონსერვატორიის სტუდენტის სახელი ცნობილი გახდა ფართო საზოგადოებრიობისათვის. მან გაიმარჯვა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის შესაქმნელად გამართულ კონკურსში, რომელშიც მრავალი კომპოზიტორი მონაწილეობდა.

რამდენიმე წლის შემდეგ კი, ახალგაზრდა კომპოზიტორმა აღიარება მოიპოვა საქართველოს ფარგლებს გარეთაც. მის I სიმფონიასა (1949) და საფორტეპიანო კონცერტს (1951) მიენიჭა სსრკ სახელმწიფო პრემიები. კომპოზიტორის შემოქმედებითი მოღვაწეობის ამ პერიოდს მიეკუთვნება აგრეთვე II სიმფონია (1953), სიმფონიური პოემა „მწირი“ (1950) და სავიოლინო კონცერტინო (1956).

მომდევნო პერიოდში თაქთაქიშვილი თითქმის მთლიანად გადაერთო ვოკალურ სიმფონიურ და საოპერო ჟანრებზე. მისი შემოქმედების საეტაპო ნაწარმოებებად იქცა ვოკალური ციკლები ვაჟა ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის ლექსებზე და, განსაკუთრებით, ვაჟას პოეზიის შთაგონებული შესანიშნავი ოპერა „მინდია“ (1961), რომელსაც არაჩვეულებრივი წარმატება ხვდა წილად.

წარმატება მოიპოვა კომპოზიტორის მომდევნო საოპერო ქმნილებამაც — „სამმა ნოველამ“ (1967). ამ ნაწარმოებებთან ერთად 60-იანი წლების ცენტრალურ ნამუშევრად წარმოგვიდგა ორატორია „რუსთაველის ნაკვალევზე“ (1964), რომელსაც ირაკლი აბაშიძის ცნობილი პოეტური ციკლი დაედო საფუძვლად.

ამ დიდებული ნაწარმოების შექმნისათვის კომპოზიტორს კვლავ მიენიჭა სახელმწიფო პრემია. მის ხაზს აგრძელებს მონუმენტური ორატორია „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ (1970).

ცალკე უნდა აღინიშნოს ნაწარმოებები, რომლებიც მთლიანად ხალხური სიმღერების დამუშავებას წარმოადგენენ: „კანტატა“ — „გურული სიმღერები“ (1971), ვოკალური სუიტა — „მეგრული სიმღერები“ (1972) და უფრო გვიან შექმნილი „ქართლური პანგები“ (1983).

კომპოზიტორის შემოქმედებითი მოღვაწეობის ნამდვილ მწვერვალად იქცა ოპერა „მთვარის მოტაცება“. „მთვარის მოტაცება“ ფართო ეპიკური ტილოა, დიდძალი მოქმედი პირით და დაძაბული სცენური სიტუაციებით. იგი მრავალპლანიანია თავისი დრამატურგიული და მუსიკალურ-სტილისტური ფაქტურით, მდიდარია მხატვრულ-გამომსახველი ხერხებით. როგორც მუდამ, თაქთაქიშვილის ნაწარმოებებში მუსიკა ფართო და გამოკვეთილ მელოდიურ პლასტებზეა აგებული.

ინტენსიური მუშაობის შესახებ მეტყველებს კომპოზიტორის მიერ ამ წლებში შექმნილ უმთავრეს ნაწარმოებთა უბრალო ჩამონათვალიც კი: ოპერები „მუსუსი“ (1978), „პირველი სიყვარული“ (1979), „მარიკა“ (1988), ვოკალურ-სიმფონიური სიუიტა „აკაკის ჩანგი“ (1983), საფორტეპიანო, სავიოლინო და სავიოლონჩელო კონცერტები (1973-(1983), საფორტეპიანო კვინტეტი (1987).

არანაკლებ შთამბეჭდავია ოთარ თაქთაქიშვილის მჩქეფარე საზოგადოებრივი და ადმინისტრაციული მოღვაწეობის შედეგები. თითქმის ოცი წელი იღვაწა ბატონმა ოთარმა საქართველოს კულტურის მინისტრის პოსტზე და დიდი საზოგადოებრივი ავტორიტეტი მოიპოვა თვით რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. ეს იყო ქართული კულტურის ინტენსიური განვითარებისა და წარმატებების, ახალი შემოქმედებითი კოლექტივების, თეატრების, მუზეუმების დაარსებისა და ჩამოყალიბების, ხალხური თვითშემოქმედების მძლავრი გაფურჩქვნის წლები. აი, ზოგიერთი უმთავრესი კულტურულ-საზოგადოებრივ ღონისძიებათა ჩამონათვალი მუსიკალური ხელოვნების სფეროში, რომლებიც განხორციელდა უშუალოდ ოთარ თაქთაქიშვილის თაოსნობით: სიმფონიური ორკესტრების ორგანიზაცია ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, თბილისის საოპერო თეატრისა და კონსერვატორიის ფილიალების დაარსება ქუთაისში, მრავალი საგუნდო კოლექტივის, მათ შორის, ცნობილი „რუსთავის“ — ჩამოყალიბება, ხოლო გორში — საოპერო სტუდიის დაარსება ადგილობრივ სამუსიკო სასწავლებელთან, ქართული ხალხური და პროფესიული შემოქმედების სისტემატური პროპაგანდა საზღვარგარეთის ქვეყნებში, ფართო საერთაშორისო კულტურული კავშირების დამყარება ურთიერთგაცვლით საწყისებზე.

ოთარი იყო დიდი ორატორული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი, რომელსაც ხელეწიფებოდა თვით ოპონენტების დარწმუნება, თუ „გადარწმუნება“.

ხელოვანი გარდაიცვალა თავისი ნიჭისა და შემოქმედებითი ძალების სრული გაფურჩქვნის ხანაში. მისი საუკეთესო ქმნილებები სამუდამოდ შევიდნენ ქართველი ხალხის კულტურულ საგანძურში. ისინი იარსებებენ და ისულდგმულებენ, ვიდრე ქართველ ხალხს ექნება ესთეტიკური გრძნობების დაკმაყოფილების მოთხოვნილება, ე. ი. მარადჟამს!

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ „დიდი ოთარის ნაკვალევზე“ კიდევ ბევრი ქართველი მუსიკოსი გაივლის და მომავალშიც არაერთი კეთილი ნაყოფი აღმოცენდება, რომელიც დაამშვენებს და გაამდიდრებს ქართულ მუსიკას.

გულბათ ტორაძე.

ხსოვნა

შოთა ნიშნიანიძე

„მე ვარ მისანი ხარი წიქარა, შენი დერიტა ვარ, მამულდედულო, ზღაპრიდან მისთვის გამოვიპარე, რომ გემსახურო და გიერთგულო...“ წერდა პოეტი **შოთა ნიშნიანიძე** და მუდამ წუხდა — „დასანანია კარგ ტრადიციას, როცა ადვილად ვგმობთ და ველევით...“

ნათელი მრწამსით, „ეჭვითა და ჯანყით მდიდარი“ პოეტური სევდა, ამაღლებული განწყობა, წინაპრებთან სულიერი ნათესაობის ფესვები მძლავრად გამოვლინდა პოეტის შემოქმედებაში მაღალკაცობრიული სინდისითა და სიფიცხით. მისი ლექსები ჩვენი წინაპრების, გმირების, ციხე-ტაძართა საგალობელია, სიტყვამძაფრნი და ხატოვანნი, პოეტური მადლით შემკობილნი კიდევ უფრო მაღლდებიან და მარადისობის უკვდავებას ეზიარებიან.

მას ვალად ედო სათქმელი, — მიუკერძოებელი ხედვა დღევანდელობისა და მწარე ტკივილი მოძალადეთა მიერ ხმლებით დაჩეხილი მამულისა.

„ვალად დამადე მარაბდა, ფრესკები, ციხე-კოშკები, ვეფხის და მოყმის ბალადა... ვალად დამადე სიკვდილიც, შენთან, ჩემთან და ღმერთთანაც სამმაგად მიწევს ჭიდილი. უნდა ვიღვაწო, ვიწვალო, მისხალს შევმატო მისხალი, „პირზე ოფლგადამდინარემ“ გადავიხადო ღვთის ვალი...“

დასანანია, რომ ჩვენგან წავიდა სიტყვაშემართული, მხნე კაცი და უცილობლად არ „გაქრება პოეტის ამაო ჯაფა, თითქოს იყო და არა იყო რა...“.

საქართველოს კულტურის ფონდი;
საზოგადოება „თბილისელი“.

შოთა ნიშნიანიძე

თავზარდამცემი ცნობა ელვის სისწრაფით მოედო მთელ საქართველოს — აღარა გვყავს **შოთა ნიშნიანიძე.**

შოთა ნიშნიანიძის სახით თანამედროვე ქართულ აზროვნებასა და პოეზიას დედაბოძი გამოეცალა.

მისი ლექსის ენერგიისა და სიტყვის ელვარების, მისი სიბრძნისა და ზებუნებრივი ნიჭიერების შესახებ ბევრი დაწერილა და კიდევ მეტი დაიწერება...

თანამედროვეებს გამოცანად დაგვრჩება ამ ბუმბერაზი შემოქმედის სულიერი სიმაღლისა და ადამიანური მოკრძალების თავსებადობა...

ბოლო ათი წელი, როგორც საქართველოსთვის, ისე შოთა ნიშნიანიძისა და ყოველი ქართველისთვის იყო არა მხოლოდ განსაცდელის, არამედ გამოცდის წლებიც...

შოთა ნიშნიანიძის ბევრმა თანამედროვემ ჩაიმუხლა, ვერ გაუძლო ამ განსაცდელის ჟამს მძიმე ტვირთზიდვას, მან კი ქედუხრელად ზიდა თავისი დროის ტვირთი, როგორც ქართული მითოსის მისგანვე გაუკვდავებულმა ხარმა და წიქარამ.

გათითოკაცებულ და მობარიკადე ბანაკებად გათიშულ საქართველოში ბუნებით ზეპარტიული შოთა ნიშნიანიძე ჯერ ეროვნული თანხმობის იდეით ასპარეზზე გამოსულ რეფორმატორთა კავშირის წევრად, მერე მოძრაობა „ცოტნე დადიანის“ პრეზიდენტად, ხოლო მოგვიანებით „ეროვნული თანხმობის დარბაზის“ საპატიო თავმჯდომარედ მოგვევლინა.

სამეგრელოში რომ უგუნურთაგან ცოდვის ბორბალი დატრიალდა, შოთა ნიშნიანიძემ ჰქმნა მისნური ხედვით გაბრწყინებული წიგნი „სიმღერა სამეგრელოზე“. ჯერ არც ერთ ქართველ პოლიტიკოსს და მეცნიერს არ მოუძებნია იმ წონის ბადალი სიტყვა და მადლი, რომელიც საქართველოს ჭრილობებს მგლეჯ დაუდო შოთა ნიშნიანიძემ...

სულ რამდენიმე თვის წინათ უარი თქვა ყოველგვარ საიუბილეო ღონისძიებაზე, არ ისურვა ხოტბისა და ქებადიდების მოსმენა. თუმცა კარგად უწყოდა, რომ ეს იყო ამ ქვეყნიურ ცხოვრებაში უკანასკნელი შანსი.

მისი პოეზია და პიროვნება სამუდამოდ დარჩება ქართული სულიერებისა და პოეზიის უკვდავ სიმაღლედ.

საქართველოს ეროვნული თანხმობის დარბაზი;
ცოტნე დადიანის საზოგადოება; საქართველოს
რეფორმატორთა და აგრარიკოსთა კავშირი.

ჟურნალ „საუნჯის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით ეთხოვებიან ჟურნალის მთავარ რედაქტორს, დიდ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს ძვირფას
შოთა ნიშნიანიძეს.

სამეგრელო-ზემო სვანეთში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული, აპარატის თანამშრომლები და საზოგადოებრიობა ულრმეს მწუხარებას გამოთქვამენ ქართული პოეზიის მშვენების, ამერ-იმერთა ჭეშმარიტი ჭირისუფლისა და გულმხურვალე მამულიშვილის
შოთა ნიშნიანიძის
გარდაცვალების გამო და გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ ოჯახს, ახლობლებს და სრულიად საქართველოს.

საქართველოს რეფორმატორთა და აგრარიკოსთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება რომ გარდაიცვალა მწერალი და პოეტი, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, ეროვნული თანხმობის დარბაზის საპატიო თავმჯდომარე, ცოტნე დადიანის საზოგადოების თავმჯდომარე, კავშირის აღმასკომის წევრი
შოთა ნიშნიანიძე
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მე-20 საუკუნის დიდი ქართველი პოეტი, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, მსოფლიო ბანკის სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე
შოთა ნიშნიანიძე
და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქციის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა რედაქციის სამეცნიერო საბჭოს წევრი, პროფესორი
დავით ბახვას ძე უკლება
და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტი იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
დავით უკლება
და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

შვილები მანანა, მაია, შვილიშვილი დათო ითონიშვილი, უახლოესი ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
დავით ბახვას ძე უკლება
პანაშვიდი 28 VII, 5 სთ. გამოსვენება 29 VII, 4 სთ. დიღმის მასივი, V კვარტალი, VIII კორპუსი, II სადარბაზო.

გახსენება

რამაზ ცხვარაძე

ჩემო უბედურო შვილო, რამაზ! დღეს შვიდი წელი შესრულდა, რაც შენს დედას თვალი არ მოუკრავს შენთვის, არ მოსულხარ მომღიმარი სახით და არ გითქვამს — ქეთევანა როგორა ხარო. რა უბედური ვარ, რა შვილი დავკარგე, მაგრამ მაინც ცოცხალი ვარ. შვილო, ვინმეს ხომ არ ვაწუხებ შენი გახსენებით, ცოტახანი კიდევ მინდა, რომ არ დაგივიწყონ, სანამ მე ცოცხალი ვარ და, მერე შენი შვილები მაინც ყოველთვის მოგიგონებენ. შენი უბედური მეუღლე დეას ამ ქვეყნიდან წასვლამ დააჩქარა შენი უბედურებაც. რა იქნებოდა იმ დალოცვილ ღმერთს ერთ-ერთი მაინც დაეტოვებინეთ თქვენი შვილების და შვილიშვილების იმედად. ჩემო დეა, კარგი შვილები დაგიზრდია, დაგცლოდა ცოტა ხანი მაინც, რა იქნებოდა, მაგრამ ორივე უბედური ბედის ყოფილხართ. მე ეხარობ თქვენი შვილებით და შვილიშვილებით, თქვენ კი სად მყევხართ. ძალიან მაგარი ქალი ვყოფილვარ, შვილებო, ამას რომ ვუძლებ. ერთს გეხვეწებით, სიზმარში მაინც მომეჩვენეთ! ილოცეთ, შვილებო, თქვენი შვილების და შვილიშვილებისთვის. ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი წმინდა სული.

დედა ქეთო ხახუბია.

ვასიკო ფხაკაძე

გავიდა, შვილო, ორმოცი დღეც, უმალ გავიდა... ჩვენს ტირილსა და ვაი-ვიშში მიილია... როგორ შევურიგდეთ იმ აზრს, რომ ცოცხალი აღარ გვყევხარ ჩვენი ვაჟკაცი, რომ შენ, 26 წლის უნიჭიერესმა იურისტმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა, სიცოცხლე მოისწრაფე და სამარადისო სასუფეველი აირჩიე... ასეთი რა გაგიჭირდა, ჩვენო ბიჭო, ჩვენო იმედო... თუმცა, ესეც, ალბათ, რჩეულთა ხვედრია. შენ კი, მართლაც რჩეული იყავი, ჩვენო **ვასიკო**, დიდ მომავალს გიწინასწარმეტყველებდნენ შენი პედაგოგები და ის ადამიანები, რომელთა გვერდითაც გაატარე შენი ხანმოკლე სიცოცხლე, ამის დასტური იყო შენი სადიპლომო ნაშრომი, რომელიც მალე მონოგრაფიად გამოვა, სამსახურიც საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში, თავდაცვის სამინისტროში, ყველგან... შენს გულწრფელობას და შრომისმოყვარეობას, უსაზღვრო პატრიოტიზმსა და ზნეობას, ანალიტიკურ ნიჭსა და სიდარბაისლეს ყველა შენატროდა და უეცრად, ასეთი შემზარავი, ენით უთქმელი ტრაგედია...

ესეც, ალბათ, შენი არაჩვეულებრივი არსებობის გამოხატულება იყო, შვილო!

ვაი, რომ მომავალიც აღარ დაგრჩა, ვაი, რომ სიყვარულით ვერ გაძეხი, ვაი, რომ ჩვენ თავს ვერ მოვიკლავთ, შვილო, რადგან შენს უნაზეს სულსაც ხომ პატივისცემა უნდა, შენ საფლავსაც ხომ პატრონი სჭირდება! იძინე, ნათელში იყავი, შენი ხსოვნა არ დაგვტოვებს, სანამ ცოცხლები ვართ!..

შენი გაუბედურებული დედ-მამა.

ქალაქ ჩოსკოვში მცხოვრები უახლოესი მეგობრები ნინო ანანიაშვილი, გივი ვაშაძე, ზურაბ წერეთელი, გია დანელია, ზურაბ სოტკილავა, ბუბა კიკაბიძე, ჯემალ სეფიაშვილი, ანზორ დარასელია, გიორგი გიგინეიშვილი, კოტე მიქელაძე, ლელიკა ჯაფარიძე, დევი დონაძე, თორნიკე კოშალეიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან
თემიკო ჩირგაძის
გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს.

ნანა ხაზარაძე, გიგა ლორთქიფანიძე, გიგო ბუაჩიძე, ლეო სალაყაია, ბექარ ყაზაიშვილი, გულო გოგიჩაიშვილი, თენგიზ ვაჩნაძე, ალიკო ტატიშვილი, ვალოდია ოდიშვილი, თამაზ თევზაძე, გაიოზ შარაშიძე, დათო მორბედაძე, შალვა კვინტრაძე, გია ბადრიძე, რამაზ ფანცხავა, ვაჟა ქლენტი, ფრიდონ თოდუა, ამირან გამყრელიძე, ოთარ გაბელაშვილი, თემო ჭიჭინაძე, რეზო წულეისკირი ღრმა მწუხარებით იუწყებიან
თემიკო ჩირგაძის
გარდაცვალებას.

მშობლები ანა, ვლადიმერ საბაურები, მეუღლე დარეჯან ჩხეიძე, შვილები ირაკლი, ანუკი, ძმა ელგუჯა, და ნონა, რძალი ნანა ხალვაში, ძმისშვილები ლადო, საბა, დისწული ლევან ალექსიძე, სიდედრი მზია ჩხეიძე, ცოლისძმა ნოდარ ჩხეიძე, ცოლისდები ქეთინო, ნანა ოჯახებით, ბიძაშვილები მიხეილ ჩარკვიანი, გარსევან ბადაშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ვაჟა ვლადიმერის ძე საბაური
პანაშვიდი 29, 30 VII, 5 სთ. გამოსვენება 31 VII, 3 სთ. ქ. თბილისი, ბალანჩივაძის ქ. კორპუსი № 5, I სადარბაზო.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს აკად. კ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ინსტიტუტის ექიმ მეან-გინეკოლოგს ნანა ფაღავას გარდაეცვალა დედა
მარგალიტა მელიტონის ასული ქაჯაია-ფაღავა
და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

თბილისის მეტროპოლიტენის ადმინისტრაცია და პროფკავშირული ორგანიზაცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ტრაგიკულად დაიღუპა
ბესარიონ ნიშაბერაშვილი
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი შპს „პრესა-98“-მა ხელმისაწვდომ ფასებში ცალკე ბროშურად დასტამბა მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული კანონები

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ბროშურის შეძენა შეუძლიათ: თბილისში — წიგნის მაღაზიებსა და სს „მაცნეს“ საგაზეთო ჯიხურებში, აგრეთვე, უშუალოდ გამომცემელთან (თბილისი, მ. კოსტავას 14. ტელ: 93-26-33), დედაქალაქის ფარგლებს გარეთ კი — შპს „საქპრესის“ საგაზეთო ჯიხურებში.

საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი

1999-2000 სასწავლო წლისათვის აცხადებს დარჩენილ ვაკანტურ ადგილებზე დამატებით საკონკურსო მიღებას შემდეგ სპეციალობებზე (საბიუჯეტო სწავლება);

1. მცენარეთა სელექცია და გენეტიკა;
2. აგროქიმია-ნიადაგმცოდნეობა;
3. სატყეო მეურნეობა;
4. ტექნიკური სერვისი სოფლის მეურნეობაში;
5. სათბობგასამართი კომპლექსები და ნავთობსაწყობები;
6. ჰიდრომელიორაცია;
7. ს.მ. ელექტრიფიკაცია და ავტომატიზაცია;
8. მევენახეობის ტექნოლოგია;
9. პურის, საკონდიტრო და მაკარონის ნაწარმთა ტექნოლოგია.

საბუთები მიიღება ა. წ. 28 ივლისიდან 8 აგვისტოს ჩათვლით.

მისაღები გამოცდები მოეწყობა 9, 10, 11 აგვისტოს.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ მიმღებ კომისიას მისამართით: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ. ტელეფონი 52-09-65.

ავტობუსი „დიდუბის“ ქვედა სადგურიდან.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა-98“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, ზურამ გოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, დავით ონოფრიშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ჭოხულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
რუსლან რუსია.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსში, ხომარაულის 29.